გრიგოლ ზარდალიშვილი

# თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1978

ქალაქ თბილისის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით ტოპონიმები (ადგილთა სახელწოდებანი) იცვლება, ბევრი ძველი ტოპონიმი სრულიად იკარგება, ხოლო ახლები ჩნდება.

წინამდებარე ნაშრომი შეიცავს თბილისისა და მისი შემოგარენის, განსაკუთრებით ძველი თბილისის ტოპონიმიას, რაც საინტერესო და ძვირფასი მასალაა ჩვენი დედაქალაქის წარსულისა და აწმყოს შესასწავლად.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1978

70101
―――――――
m 608(06)-78

## ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

უკანასკნელ წლებში ტოპონიმიურ ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შექმნილია ტოპონიმიის სპეციალური ლაბორატორია, რომელიც შეუდგა მთელი საქართველოს ტოპონიმიური მასალების შეგროვებასა და სისტემატიზაციას. ტოპონიმიის ლაბორატორია მთავარი ცენტრია საქართველოში, სადაც თავს იყრის ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი მასალა. ამ მიმართულებით ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ნ. მარი. ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და სხვ. ტოპონიმიურ კვლევა-ძიებას დიდი ამაგი დასდეს: ა. შანიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. ჯიქიამ, გ. მელიქიშვილმა, მ. ბერძნიშვილმა, ი. სიხარულიძემ, ი. მაისურაძემ, ე. ლორთქიფანიძემ, შ. ძიძიგურმა, პ. ინგოროყვამ, ალ. ღლონტმა, ვ. ითონიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, ლ. მარუაშვილმა, გ. დონდუამ. თ. ბერიძემ, ჰ. ჯანელიძემ და სხვა მრავალმა. ენერგიულად მუშაობენ, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, ამ საქმის ენთუზიასტები.

თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. მართალია, არსებობს ცალკეული ფრიად საინტერესო ნაშრომები, რომლებიც ამა თუ იმ ტოპონიმის შედარებით სრულ განმარტებას იძლევიან (უმთავრესი წყაროები ტექსტში გვაქვს მოხსენიებული), მაგრამ დღემდე სპეციალურად არავის უწარმოებია საკუთრივ თბილისისა დ მისი შემოგარენის მიკროტოპონიმიური მასალების შეგროვება.

ტოპონიმიური და მიკროტოპონიმიური მასალების შეგროვება შეიძლება სამი გზით წარიმართოს:

ა) ტოპონიმთა თავმოყრა მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრით.

ბ) ტოპონიმთა სადაურობის დადგენა (სინონიმების ჩათვლით).

გ) ტოპონიმთა ისტორია (სოფელი, დასახლებული უბანი, მოედანი, ციხე-სიმაგრე, ისტორიული ძეგლი და სხვ.).

ჩვენ ავირჩიეთ პირველი, კერძოდ — ტოპონიმთა და მიკროტოპონიმთა შეგროვება და მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. ცხადია, შესაძლებლობისამებრ ვახდენდით ამა თუ იმ ტოპონიმის სადაურობის განსაზღვრასაც. ლინგვისტურ ძიებას ავარიდეთ თავი, ვინაიდან ეს საკითხი ენათმეცნიერების კომპეტენციაში შედის. მსგავსი სამუშაოს საუკეთესო მაგალითები უკვე მოგვეპოვება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგალითად, ი. სიხარულიძის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა" (წიგნი I, 1958; წიგნი II, 1959) და მისივე „მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის" (ტოპონიმიკა), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული" (II, თბ., 1964), „მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის" (ტოპონიმიკა), (იგივე კრებული, IV, 1971), „ჭანეთი" (I, 1977), ვ. ითონიშვილი — „ხევის ტოპონიმიკა" (თბ., 1971), ალ. ღლონტი, „მცხეთის ტოპონიმია" (II, თბ., 1975). ამ უკანასკნელს ტოპონიმების სიასთან ერთად ერთვის თითოეული მათგანის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

ამჯერად მიზნად დავისახეთ შეგვეკრიბა თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიური მასალა. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი დასახლებული პუნქტი ტერიტორიულად უკვე შეუერთდა თბილისს, მაგალითად, ოქროყანა, ბაგები, ვაშლიჯვარი, ზაჰესი, გლდანი, დიღომი, ბევრი კი მთლიანად თბილისის ახალმშენებლობათა რაიონად იქცა, მკვიდრი მოსახლეობა შემცირდა და, ცხადია, ტოპონიმთა დიდი უმეტესობა დაიკარგა.

მეტად გაგვიძნელდა თბილისის შემოგარენის საზღვრების დადგენა. თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიის არეალის განსაზღვრისათვის ჩვენ ვიხელმძღვანელეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით თბილისის საზღვრების შესახებ. ნაშრომში შევიტანეთ სახელწოდებანი სოფლებისა, რომლებიც უშუალოდ თბილისის („დიდი თბილისის") შემადგენელი ნაწილებია, მაგრამ არის სოფლები, რომლებიც დედაქალაქთან ახლოსაა და უშუალოდ მისი მიზიდვის არეალშია (მაგალითად, შინდისი, ტაბახმელა, ლისი, კოჯორი, კიკეთი, გამარჯ-

ვება და სხვ.). თბილისის მიდამოების საზღვრების დადგენა განსაკუთრებული ხასიათის ამოცანად არ მიგვაჩნია. ჩვენ ვხელმძღვანელობდით, პირველ რიგში, წმინდა გეოგრაფიული მეთოდით, რომლის მიხედვით დიდ ქალაქებს გააჩნიათ „გავლენის სფერო" და „მიზიდვის არეალი", ამიტომ საზომად ავიღეთ ქალაქიდან დაახლოებით 6—10 კმ რადიუსის შემოგარენი. გარდა ამისა, ნაშრომში შეტანილი გვაქვს თბილისის გარშემო მდებარე გარდაბნის რაიონის ბევრი დასახლებული პუნქტის სახელწოდება მიკროტოპონიმების გარეშე.

ჩვენი მიზანი იყო თბილისისა და მის გარშემო მდებარე ადგილების, მდინარეების, ტბების, მთებისა და სხვა ობიექტთა სახელწოდების აღრიცხვა-შეგროვება. რაც მთავარია, იმ უბნებისა და ადგილების სახელწოდებათა აღდგენა, რომელთა დიდი ნაწილი დიდი ხანია დავიწყებას მიეცა ან სულ დაიკარგა.

საქართველოს და მისი დედაქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველ ძეგლებში კარგადაა წარმოდგენილი თბილისის 2500-მდე ქუჩის თუ შესახვევის სახელწოდებანი. თბილისის ქუჩების სახელწოდებანი შეგნებულად არ შევიტანეთ ნაშრომში შემდეგი მიზეზების გამო:

ა) დღეისათვის გამოცემულია რამდენიმე ცნობარი თბილისის ძველი და ახალი ქუჩების დასახელებით; ბ) თბილისის ქუჩების სრული ნომენკლატურა გამოსაცემად მოამზადა თბილისის ისტორიულ-გეოგრაფიულმა მუზეუმმა; გ) ქუჩების სახელწოდებანი სასურველია გამოიყოს ცალკე ტოპონიმიურ ჯგუფში და არა მიკროტოპონიმიაში. ცნობილი ტოპონიმისტი ა. სუპერანსკაია არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ შიდასაქალაქო სახელწოდებები მიკროტოპონიმიას მიეკუთვნება. მიკროტოპონიმია გულისხმობს მცირე ობიექტს მაშინ, როდესაც ზოგიერთი ქუჩა დიდ ქალაქებში კილომეტრებზეა გაგრძელებული და მათზე ბევრი მიკროობიექტია (ხე, ბოძი, ეკლესია, ტაძარი, შენობა, სასახლე, ეზო, კვარტალი და სხვ.), რომელთაც ხშირად საკუთარი სახელებიც აქვთ. ბევრმა ქალაქმა განვითარების პროცესში შემოიერთა მის გარშემო მდებარე სოფლები, რომელთა სახელწოდებები ტოპონიმიას მიეკუთვნება (ამის საუკეთესო მაგალითი გვაქვს თბილისში). ამიტომ უფრო მიზანშეწონილია ქუჩების სახელწოდებები დამოუკიდებელ ტოპონიმიურ და არა მიკროტოპონიმიურ

ჯგუფში გამოიყოს (Суперанская А., Наименование и переименование в городах. «Вопросы географии», сб. 85, 1970, стр. 86).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტბილისის გარშემო ტერიტორიაზე ოცზე მეტი ნასოფლარია, განსაკუთრებით ვერესა და დიღმურას ხეობებში, ამიტომ აღნიშნულ ნასოფლართა მიკროტოპონიმია დღეისათვის თითქმის დაკარგულია და მისი აღდგენა ძალიან ძნელი საქმე ჩანს.

დიდ ტოპონიმებთან ერთად (ავლაბარი, დიღუბე, ვაკე, საბურთალო, ღრმაღელე და სხვ.) ნაშრომში შეტანილი გვაქვს მცირე ტოპონიმებიც, ე. ი. მიკროტოპონიმები, რომლებიც აღნიშნავენ არა მარტო გარკვეულ ობიექტს, არამედ მცირე ადგილსაც. მაგალითად, ანჩისხატი, ბაყალხანა, ზარაფხანა და სხვ.

უეჭველია, ნაშრომი არ იქნება თავისუფალი ცალკეული ხარვეზისაგან. ავტორი დიდი მადლობით მიიღებს ყველა სამართლიან შენიშვნას. შესაძლოა ზოგი ტოპონიმი გამოგვრჩა, რადგან დავიწყებას მიეცა ანდა ახალმშენებლობისა და მოსახლეობის მექანიკური მატების გამო საერთოდ დაიკარგა.

ძველი თბილისის ტოპონიმთა ადგილმდებარეობის დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწია ვახუშტის მიერ შედგენილმა თბილისის გეგმამ (1735 წელი).

ტოპონიმებისა და მიკროტოპონიმების შეგროვება გვიხდებოდა ადგილზე, რომ იტყვიან, ფეხდაფეხ. მათ შეგროვებასა და დაზუსტებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს: გ. კახელიშვილმა (ბაგები), ივანე ქობელაშვილმა (დიღომი), ანტონ ყეჩლაშვილმა (გლდანი), ზ. ზუბიაშვილმა (სამადლო), ოთარ ერისთავმა (თბილისი), სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა: მიხეილ ჭიაურელმა და ვასო გოძიაშვილმა; ასევე დიდი დახმარება გაგვიწია ძველი თბილისის გეგმებმა, რომლებზედაც დატანილია თითქმის ყველა ძველი მნიშვნელოვანი ობიექტი.

გამოვიყენეთ აგრეთვე თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საფონდო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიური ლაბორატორიის მასალები, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია ტოპონიმთა დაზუსტებაში.

საყურადღებო შენიშვნები მოგვცეს ა. ს. პუშკინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგემ პროფ. ა. ღლონტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკური ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშ- რომელმა უ. სალთხუციშვილმა, აგრეთვე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ბერიძემ, ნაშრომის რედაქტორმა პროფ. ი. სიხარუ- ლიძემ, რომელმაც დიდანი გულდასმით გადაიკითხა და ტექსტში სა- თანადო შესწორებებიც შეიტანა.

## შემოკლებანი

ადგ. — ადგილი
აღმ. — აღმოსავლეთი
„აღწერა" — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"
დაახლ. — დაახლოებით
დაბლ. — დაბლობი
დას. — დასავლეთი
ზღვ. დ. — ზღვის დონიდან
თბ. — თბილისი
თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კურ. — კურორტი
მარცხ. — მარცხენა
მარჯვ. — მარჯვენა
მდ. — მდინარე
მინდ. — მინდორი
მოედ. — მოედანი
ნასოფლ. — ნასოფლარი
ნ. — ნახე
პატ. — პატარა
სათ. — სათესი
ს. — საუკუნე
სად. — სადაბო
სამხრ. — სამხრეთი
სას. საბჭო — სასოფლო საბჭო
საქ. ც. ა. — საქართველოს ცენტრალური არქივი
საქ. ხ. ი. — საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი
სახ. — სახნავი
საძ. — საძოვარი
სოფ. — სოფელი
უბ. — უბანი
ფერდ. — ფერდობი
ქვ. — ქვემო
ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება
ყოფ. — ყოფილი
ჩრდ. — ჩრდილოეთი
ცენტრ. — ცენტრალური
წ. — წელი

**აბანოსკარი (სეიდაბადისკარი)**—თბილისის 1800 წ. გეგმის მიხედვით, მდებარეობდა ქალაქის აღმ. კედელზე, მის შუა ნაწილში, წავკისისწყალზე. აბანოსკარი ქალაქს აკავშირებდა აბანოსუბანთან (ნ.) და სეიდაბადთან (ნ.).

**აბანოსუბანი (ერეკლეს, ანუ დარიას აბანო,** (ნ.)—ასე უწოდებდნენ ძველი თბილისის (ძველი ქალაქის) იმ ადგილს, სადაც გაშენებულია გოგირდის აბანოები, ძირითადად მდ. წავკისისწყლის, ანუ დაბა (ღ) ხანის ქე. წელში (აბანოსა და ახუნდოვის ქუჩების კუთხეში).

**აბასაბადის მოედანი**—ახლა ალავერდოვის მოედანი (ნ.). ეკუთვნოდა ირანელ ქვეშევრდომს ვინმე აბასს; მისი სახლი ახლაც დგას მოედანზე (დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე).

**აბოლესჭალა** — ადგ. ვიწროებისფერდობის (ნ.) კალთებზე სოფ. ბაგებთან.

**აბუაშვილების უბანი** — დასახლებული უბანი სოფ. გლდანში (შუაუბანი).

**აგარაკი** — სოფელი ლისის სას. საბჭოში, ლისის ტბის სამხრეთ-დასავლეთით (მცხეთის რაიონი).

**აგარანი** — ძველი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფლების — წავკისის, შინდისის, ტაბახმელასა და კოჯრის საზოგადო სახელწოდება. ეს იყო ქართველ მეფეთა და დიდებულთა საზაფხულო რეზიდენცია. აქ გარდაიცვალა თამარ მეფე. აგარანი—საზაფხულო დასასვენებელი ადგილი, აქედან „აგარაკი", კრებითი სახელი გარკვეული ტერიტორიისა (ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, აგარანი, „მიმომხილველი", II, თბ., 1951, გვ. 37-60), XVII—XVIII სს. აგარანთან ერთად იხმარება „საგარეო" (ნ.); აგარანი მოხსენიებული აქვს ვახუშტის. აღნიშნულია 1735 წლის თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**აგარანისციხე ან აზეულასციხე, კოჯრისციხე** (ნ.), **ქოროღლისციხე.**

**აგურხანა (საქურო, სააგურე)**—მდებარეობდა ყასაბხანასთან (ნ.) დღევანდელი 26 კომისრის სახელობის რაიონის ტერიტორიაზე.

**აგურხანა** — დასახლებული უბ. II სატრიკოტაჟო ფაბრიკასთან, კრწანისის ქუჩაზე (წინათ იქ აგურს ამზადებდნენ).

**აგურხანა** — ადგ. დაბა წყნეთის დას-ით, სამადლოს სამხ-ით (წინათ იქაც სააგურე იყო).

**ადისმიწები** — სათიბი, სოფ. კიკეთის მახლობლად.

**აეროდრომი** — ვრცელი მინდ. სამგორის აღმ-ით (შედის საქარხნო რაიონში).

**ავაზანა**—ხევი, წყარო სოფ. ოქროყანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

**ავანაანთხევი**, ანუ არხი (ნ.) — მდ., გამოდის წავკისს-სოლოლაკის მთიდან, უერთდება მტკვარს მუხრანის ხიდთან. ამჟამად მიედინება მიწის ქვეშ (შდრ. გვარი ავანაშვილები).

**ავეტარანისუბანი** — ადგ. მეტეხის ციხესთან (ძირითადად ფიგნერის სახელობის ქუჩის ტერიტორია).

**ავთანდილოვის მამული** — მიწის ნაკვეთი სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**ავლაბარი** — (ჰავლაბარი, შეერქვა XIV ს.), მდებარეობს ჩუღურეთსა (ნ.) და ნავთლუღის უბნებს შორის, მოიცავს თანამედროვე 26 კომისრის ჩრდ. დას. ნაწილს (მთავარი ღერძია შაუმიანის ქუჩა), ჰქონდა ორი გალავანი. ერთი მთელ ავლაბრის ტერიტორიას ერტყა გარს, მეტეხის გარშემო. ავლაბარი ფაქტიურად იწყებოდა მეტეხის ხიდთან. დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე ჩუღურეთს, რიყესა და ორთაჭალას შორის. წარმოადგენდა თბილისის ცალკე უბანს (ვრცლად იხ. თ. ბერიძის „და აღმოცენდა თბილისი", 1977, გვ. 106-135).

**ავლაბრის ბაღი** — წინანდლის ქუჩაზე (26 კომისრის რაიონი).

**ავლაბრისკარი** — მეტეხის გალავანზე, მტკვრის მარცხ. ნაპირზე. აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე. XVIII ს. დამდეგს თბილისს (კალას) ექვსი კარი ჰქონდა: ავლაბრის, განჯის, დიღმის, კოჯრის, მეიდნისა და ქვემო (ნ.). ავლაბრისკარით (ნ.) გზა მიდიოდა მახათას მთისაკენ („ბაღის გზა", ნ.).

**ავლაბრის მოედანი**, ანუ კახეთის მოედანი (ნ.), ახლა შაუმიანის მოედანი (ნ.).

**ავლაბრის ფერმა** — უბ. გოგირდის აბანოებთან, ეკუთვნოდა კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვს.

**ავლაბრის ტბა (ილგუნიანი, ნ.)** — ყოფ. მლაშე ტბა, ამჟამად „თბილისის ზღვის" მიერაა დაფარული.

**ავლაბრის ციხე**, ანუ **მეტეხის ციხე** (ნ.).

**ავლაბრის ხიდი**—აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე. იგი იყო ერთადერთი ხიდი, რომელიც აერთებდა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირს (მეტეხთან).

**ავშნიანი** — მიწის ნაკვეთი (საძ.). „თბილისის ზღვის“ ტერიტორიაზე.

**ავჭალა (ჰავჭალა)** — წინათ სოფ., ამჟამად თბილისის გარეუბანი საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისის დას-ით. „ავჭალა არს მტკურის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი“ (ქ. ცხ., IV, 537).

**ავჭალის გზა** — იწყებოდა ავლაბარში და მიდიოდა დას. ავჭალისაკენ. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე. ნახსენებია აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ (I,326, 349; II, 128).

**აზეულასციხე**—აგარანისციხე, ქოროღლისციხე, კოჯრისციხე (ნ.). „არს ციხე აზეულასი და აწ კოჯრისა თხემსა ზედა კლდისასა“ (ვახუშტი, ქ. ცხ. IV, 327).

**აკურისი**, ნასოფლ. ბეთანიის ჩრდ-ით (გარდაბნის რაიონი).

**ალავერდოვის მოედანი** (წინათ აბასაბადის მოედანი), ლერმონტოვისა და ალავერდოვის ქუჩებისა და ახოსპირელის გადასასვლელის გადაკვეთის ადგილზე.

**ალაფხანა, ანუ ალაფებისუბანი** — ფქვილისა და მარილის გამყიდველთა რიგი ძველად თათრის (გორგასლის) მოედანზე.

**ალექსანდერდორფი**—(„კოლონია“, „თბილისის გერმანელთა კოლონია“). 1818 წ. ვიურტემბერგიდან (გერმანია) გადმოსახლდნენ გერმანელები, რომელთა ნაწილი თბილისში დასახლდა და შექმნეს ე. წ. „თბილისის კოლონია“. მათ ბაღ-ბოსტნები ჰქონდათ თანამედროვე პლეხანოვის პროსპექტის გასწვრივაც. გერმანელებს დიდი კოლონია ჰქონდათ, რომელსაც თბილისელები „ნემცების სოფელს“ (ნ.) უწოდებდნენ, ხოლო გერმანელები — ალექსანდერდორფს.

**ალექსანდრეს** („ალექსანდროვის“) ბაღი (ნ.) — სხვა სახელებით: „ყაბახი“, „ასპარეზი“, „სალაღობო“, „დიდი მოედანი“, „სამხედრო მოედანი“. „მუზეუმის ბაღი“, ამჟამად „კომუნარების ბაღი“. მისი ზედა ნაწილი ერთხანს სასაფლაოდაც იყო გამოყენებული. XIX ს-ის 50-იან წლებში ეს ადგილი მთავარმართებელ ა. ბარიატინსკის შეუძენია. როდესაც ამ ბაღს ეწვია ალექსანდრე III და თავისი ხელით დარგო ხე, „ასპარეზის“ ნაცვლად იმპერატორის სახელი უწოდეს. როგორც ქალაქის ბაღი, იგი გაიხსნა 1855 წელს. 1892 წ. ბაღის ტერიტორიაზე გოლოვინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტის მხრიდან ააგეს „დიდების ტაძარი“ (ამჟამად სურათების გალერეა). 1903 წ. მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩის პროექტით, ბაღში დაიდგა ნ. გოგოლის

ძეგლი, ხოლო 1924 წ. — „მუზეუმის ბაღი“ უწოდეს და დადგეს ეგნატე ნინოშვილის ძეგლი (სკულპტორი ი. ნიკოლაძე).

**ალექსეევკა** — (წინათ სოფ. სამგორის სად. საბჭოში, გარდაბნის რაიონი). 1973 წელს შევიდა თბილისის საქარხნო რაიონში.

**ალიმბარაანთმიწები** ანუ **შიოს ტბები** — ადგ. და სახნავი სოფ. დიღომში, მდ. დიღმისწყლის ხეობაში. ეკუთვნოდათ ალიმბარაშვილებს, დიდი წვიმების დროს ტბა ჩნდებოდა, მას „შიოს ტბასაც“ ეძახიან.

**ალოტისხევი** — მდ. (მშრალი ხევი), მიედინება სოფ. დიღმის ტერიტორიაზე (ერთვის მტკვარს მარჯვნიდან).

**ამარათი (ამარატი)** — ადგ. გარეთუბანში (ენგელსისა და მახარაძის ქუჩების შესაყარში). „ამარატი“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „შენობას“.

**ამიერკავკასიის მოედანი** — ამჟამად ლენინის მოედანი (ნ.). ასე იწოდებოდა 1922—1932 წწ.

**ანანიასწყარო**—წყარო დაბა წყნეთის დას-ით, სამადლოს სამხრეთით.

**ანჩისხატი** (მეორენაირად „ზარის ეკლესია“) — ადგ. მდებარეობს ძველი თბილისის იმ ნაწილში, რომელსაც „კალა“ ეწოდება (შავთელის ქუჩა). აგებულია 1675 წ. ქართლის კათალიკოსის დომენტი ქაიხოსროს ძის მიერ.

**არამიანცისუბანი** — ავლაბარში, თბილისის I საავადმყოფოს ტერიტორიაზე, ეწოდა მისი პირველი მშენებლის ვაჰარ არამიანცის სახელი.

**არსენალი**—დასახლ. უბ. არსენალის გარშემო. წინათ აქ იარაღს ამზადებდნენ, მდებარეობდა ჩუღურეთის (ნ.) ჩრდ-ით, რკინიგზის ხაზის გადაღმა, შედიოდა VII უბანში. დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**არსენას ტყე** — ტყის მასივი დაბა წყნეთში (ეკუთვნოდა არსენიშვილებს).

**არტემისწილი** — ადგ. (გორა) კრწანისის დასავლეთით.

**არტილერისტების ხევი** — **(Артиллерийская балка)** უბ. თანამედროვე სასტუმრო „ივერიასთან“, სადაც წინათ არტილერისტები სასწავლო მეცადინეობას ატარებდნენ. აღნიშნულია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**არხი** — ავანაანთხევის (ნ.) მეორე სახელწოდება.

**ასპარეზი** — ყაბახი (ნ.), მდებარეობდა გარეთუბანში (ქ. ცხ., IV, 337), ახლა კომუნარების ბაღი (ნ.).

**ასპარეზისკარი** — სანავარდოსკარი (ნ.), მოედნისკარი (ნ.).

**აფთრისწყაროსხევი** — ხევი კუს ტბასთან, თრიალეთის ქედის დას. კალთებზე, სოფ. ბაგების მახლობლად (მუზეუმის — „ქართული სოფელი ღია ცის ქვეშ" ტერიტორიაზე).

**აღმამიწები**—სამ. სოფ. ოქროყანას სამხრ-ით (ადგილი თანდათანობით მაღლდება, მაღლა მიდის).

**აშკარეთისწყალი** — მდ. სოფ. ლილოსთან, საიდანაც ერეკლე II-ს თურმე სასმელი წყალი უნდა გამოეყვანა თბილისისათვის (გ. ლეონიძე. „ნამცვრევი", „მნათობი", 1960).

**აშპაშხანა** — ე. ი. „თათრების სამზარეულო". ძველი უბნის სახელწოდება თბილისში, თათრის მოედანთან, სადაც ბევრი სასადილო და ჩაიხანა იყო. მოხსენიებულია 1749 წლის გაყრის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 18, საბ. 169).

**ახალდაბა** — სოფელი, შედის წყნეთის სადაბო საბჭოში.

**ახალდაბისთავი** — ტყის ნაკვეთი სოფ. ახალდაბასთან.

**ახალდაბის (ანუ წყნეთის) ტბა** — დაბა წყნეთის დასავლეთით.

**ახალდაბისხევი** — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი.

**ახალდაბის ტბა** — უწინ პატარა ტბა წყნეთის სატყეოს ტერიტორიაზე, დამშრალია, შემდეგში ზაქარისხევის წყაროთი შექმნილია ხელოვნური ტბა, მოშენებულია თევზი.

**ახალი ბაღი** — ახლანდელი პუშკინის სკვერის ძველი სახელწოდება ლენინის მოედანზე (გაშენდა 1892 წ.).

**ახალი ნაძალადევი** — ვრცელი დასახლებული უბ. ლოტკინის გორის სამხრ-ით. დასახლდნენ XX საუკუნის დამდეგს (აღნიშნულია თბილისის 1910 წ. გეგმაზე. „კავკაზსკი კალენდარის" მიხედვით).

**ახალსოფელი** — დასახლებული ადგ. კუკიის (ნ.) ტერიტორიაზე. შეუერთდა თბილისს 1824 წ.

**ახალი ჰოლანდია** — (Новая Голландия) — უბ., მდებარეობდა სადღაც ვარდისუბანში (ამჟამად ჯანაშიას ქუჩა), ადგილმდებარეობის მეტი სიზუსტით დადგენა არ მოხერხდა. დატანილია თბილისის 1896 წ. გეგმაზე.

**ახალუბანი** — კრწანისის (ნ.) ქვ. ნაწილის ძველი სახელწოდება XVI—XVII საუკუნეებში.

**ახალშენი** — საბურთალოს ნაწილი, საკუთრივ საბურთალოსა და ვერეს ბაღებს შორის, მდ. ვერეს მარცხ. ნაპირზე.

**ბაბაყოლები** — წყარო, დაბლ., საძ., ნასოფლ. სოფ. დიღმის ჩრდილოეთით.

**ბაგები** — ქალაქის გარეუბანი, მდ. ვერეს მარჯვ. მხარეზე. XX ს. დამდეგამდე იქ ბაღ-ბოსტნები და ფარეხები ჰქონდათ წყნეთელებს, მოგვიანებით წყნეთიდანვე დაიწყო მისი თანდათანობით დასახლება (ბაგების სიმაღლე 720 მ. ზღვ. დონიდან).

**ბაგებისხევი** — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი.

**ბაზაზების რიგი** — („ბაზაზხანა") — ჩით-ფართლეულით მოვაჭრეთა რიგი მტკვრის მარჯვ. მხარეზე გორგასლის („თათრის") მოედნის მახლობლად, ძირითადად მოიცავს ახლანდელი შარდენის ქუჩის გარშემო მდებარე ტერიტორიას, იყოფოდა ქვემო და ზემო ნაწილებად (ნ.).

**ბაზარი** — ხშირად ასე უწოდებდნენ ვერცხლის ქუჩას (ნ.), რიგს, სადაც ყველა სახის დუქანი იყო (ნ. ზარგარხანა).

**ბაზარხანა**, ანუ ბნელი რიგი (ნ.), ანუ მექვაბეთა რიგი (ნ.), ანუ დახურული ბაზარი.

**ბაზირხანა** (ბაზეირხანა) — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ბაზრის მოედანი** („რუსის ბაზარი", „სალდათის ბაზარი", ნ.), ახლა კოლმეურნეობის მოედანთან არსებული უბანი და ბაზარი.

**ბალნეოლოგიური კურორტი** — თბილისში — გორგასლის მოედანზე, ძველად ერეკლეს აბანო (ნ.).

**ბამბის რიგი** — უბ. და ქუჩა სიონის ეკლესიასთან (წინათ ბამბა იყიდებოდა).

**ბანკისტყე** — ტყის მასივი ნასოფლ. ვეჯინის (ნ.) მახლობლად, სოფ. გლდანის ტერიტორიაზე. მებატონეებისაგან ტყის მასივი უყიდია ხაზინას (ე. ი. ბანკს) და სახელწოდებაშიც ეს აქტი აისახა.

**ბარათაშვილის აღმართი** — ციციანოვის (ნ.) და კალიაევის აღმართის თანამედროვე სახელწოდება, აერთებს რიყეს ავლაბართან.

**ბარბალეს უბანი** — სამგორში „წმინდა ბარბალეს" ეკლესიასთან (პირველი დეკემბრის ქუჩის ტერიტორიაზე).

**ბარონის ტყე** — ტყის მასივი დაბა წყნეთისა და სამადლოს დას-ით. ეკუთვნოდა ბარონ ნიკოლაის (ნ. ბეთანია).

**ბარონისხევი** ან დიდხევი — მდ., ხევი ბეთანიასთან.

**ბატონიანთქურდსოფელი** — სერი და გამოქვაბული სოფ. კიკეთთან — (გადმოცემით თითქოს აქ თავს აფარებდნენ ლტოლვილი ყმები და ქურდები).

**ბატონის მოედანი** — მეფის მოედანი (ნ.), გუბერნატორის, ეგზარხოსის, ბებელის მოედანი, ზემომოედანი, ანუ ზემობაზარი, სალაყბო, ახლა ერეკლე II-ის მოედანი (ნ.).

**ბატონის (ერეკლე II) ქარვასლა** — სავაჭრო ადგ. და საქონლის საწყობი სიონის მახლობლად ძველად.

**ბაქოს ბაღი**—ალექსანდრეს ბაღის (ნ.) ერთ-ერთი სახელწოდება.

**ბაღებისთავი** — უბ. სოფ. დიღომში.

**ბაღის გზა** — ასე ეწოდებოდა გზას, რომელიც თბილისიდან ავლაბრისკარით მახათას მთაზე გადავლით მიდიოდა სამხრეთისაკენ.

**ბაყალხანა** („ბაყლების რიგი") — ასე ეწოდებოდა პატარა უბანს პუშკინის ჩიხის გვერდით, ვერცხლის ქუჩაზე, სადაც დღემდე დაცულია ქულბაქის ტიპის ნაგებობა. მას არც კარი გააჩნდა, არც ფანჯრები. მათ მოვალეობას ასრულებდა დასაშლელი ფიცრის ფარები (დარაბა). აქ იყო სახელოსნო და სავაჭრო წერტებიც.

**ბაჭყალა** — ნასოფლ. და ტბა მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ბებელის მოედანი** — სალაყბო (ნ.), ზემომოედანი (ზემობაზარი), ახლა ერეკლე II-ის მოედანი (ნ.).

**ბებუთასბაღი** — ისანში, აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე, მდებარეობდა ხოჯევანქის (ნ.) ჩრდილოეთით.

**ბევრეთი** — ნასოფლ., სამთო-კლიმატური სადგური თრიალეთის ქედზე, მდ. დიღმისწყლის ზემო წელში (მარცხ. მხარეზე) — 1100—1200 მ სიმაღლეზე ზღვ. დ., თბილისიდან 22 კმ მანძილზე. თბილისიდან გზა მიდის სოფ. ლისზე გავლით.

**ბევრეთისუბანი** — უბ. ვარკეთილის მასივში. დაამკვიდრეს სოფ. ბევრეთიდან (ნ.) ჩამოსახლებულებმა.

**ბევრეთისწყალი** (ბევრეთისხევი) — მდ. დიღმისწყლის მარჯვ. შენაკადი.

**ბეთანია (ბეთენია)** — მონასტერი, სკოლა-ინტერნატი, მეურნეობა, მდებარეობს თბილისის დას-ით 30 კმ მანძილზე, 900—950 მ სი-

მაღლეზე ზღვ. დონიდან. მდ. ვერეს სათავეში, თრიალეთის მთების სამხრ. კალთებზე, დაბა წყნეთის მახლობლად. წინათ ეს მიდამოები ეკუთვნოდა მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსს ბარონ ნიკოლაის. ტაძარი აშენებულია XII ს-ში; მასში შემონახულია თამარ მეფის პორტრეტული გამოხატულება. ს. ს. ორბელიანის მიხედვით, ბეთანია არის „სახლი სათნოებისა, გინა დიდებისა, გინა მორჩილებისა".

**ბეთანიისწყალი** (ბეთანიისხევი) — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი.

**ბეთლემი** — ფეთხაინი (ნ.).

**ბეჟანას ქარავანსარაი (ქარვასლა)** — სავაჭრო უბ. კალაში, აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**ბერთახევი** — მდ. გლდანისწყლის მარჯვ. შენაკადი (ზაფხულობით თითქმის შრება).

**ბერძენთუბანი** (Греческая слобода) — უბ. ხარფუხში (ნ.), კახეთის გზატკეცილის სამხრ-ით, მტკვრის მარჯვ. მხარეზე, დატანილია თბილისის 1896 წლის გეგმაზე.

**ბერძენხანა ან ციხედიდი (ნ.)** — ადგ. კალაში (გადმოცემით, აღამაჰმად-ხანის შემოსევის დროს აქ მოკლეს საიათნოვა).

**ბერძნისხევი** — ხევი ოქროყანის დას-ით (ამჟამად თბილისის გარეუბანია).

**ბზითაგორა** — ადგ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით (სახელი წარმოსდგა ბზადან).

**ბნელი რიგი, მექვაბეთა რიგი (ნ.)** — ადგ. ახლანდელ შარდენის ქუჩასთან, თათრის მოედანზე. ბაზარი დახურული იყო, იარსება 1918 წლამდე.

**ბნელი ხიდისუბანი** — ადგ. მოქცეულია ხუდადოვის ტყესა და „მალაკნებს" (ნ.) შორის.

**ბოგირები** — ადგ. ვარკეთილის (ნ.) საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე.

**ბოინისწყალი** — დიღმისწყალი (ნ.).

**ბოინისხევი (სასაკლაოსხევი) ან დამპალო (ნ.)**—ხევი (მასზე გადის გზა ტაბახმელიდან წავკისისაკენ). უწინ აქ იყო პირუტყვის საკლავი ადგილი. ანტისანიტარიის გამო მთელ მის მიდამოებში მძაფრი სუნი იყო (აქედან წარმოსდგა „დამპალო").

**ბოსტნების ბაღი** — ხარაგაულის ქუჩაზე, ავლაბარში.

**ბოტანიკური ბაღი** — ძვ. (ციხისბაღი) — (Крепостной сад), ან თბილისის სახაზინო ბაღი (ნ.). მდებარეობდა ჩრდ.-აღმ-ით. სოლოლაკის ქედის კალთებზე, კალას აღმ-ით, ბაღები კალასაგან გამოიყოფოდა მდ. წავკისისწყლის ხევით. IX ს. გაიყვანეს სარწყავი არხი და მოაწყეეს წყალსაცავი. XVIII ს. აქ იყო მეფის სასახლე. დაინგრა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს (1795 წ.), შემდეგ სახაზინო ბაღი იყო, 1845 წლიდან ეწოდება ბოტანიკური ბაღი.

**ბოშებისუბანი** — მდებარეობდა გარეთუბანში (ნ.), დღევანდელი, ბარათაშვილის ქუჩის ტერიტორიაზე, ძირითადად დასახლებული იყო ბოშებით.

**ბოშებისუბანი** — დასახლება აელაბარში, ბაზრის მახლობლად (ძირითადად ხარაგაულის ქუჩის ტერიტორიაზე). ბოშებისუბანი არის აგრეთვე ლოტკინისგორის მთაზე.

**ბრილები** — ველი, ტყე, მდ. დიღმისწყლის ხეობაში, სოფ. დიღომთან.

**ბრილები** (იგივე ქობისხევი) — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**ბულბულისჭალა** — ადგ. კომკავშირის ხეივანზე.

**ბუტუნაანთნათივარი** — დაბლ., ადგ. სოფ. დიღომთან.

**გაბაანთხევი (გაბაანთწყარო)** — ლურჯ მონასტერთან. ლურჯი მონასტრის მიმდებარე მიწები ცნობილ ქართველ მოგზაურს რაფიელ დანიბეგაშვილს ეკუთვნოდა. გ. კახნიაშვილის ცნობით, პარკის ფართობი XIX ს. ბოლოს ეკუთვნოდა მღვდელ გამდლიშვილს, რომელმაც მას გალავანი შემოავლო (მისი ნარჩენები ახლაც შემორჩენილია ზოგან). მისივე სიტყვებით, ხეხილის ბაღები აღწევდა თანამედროვე აბრეშუმკომბინატამდე. რ. დანიბეგაშვილის მიერ ნახსენები თხრილი და ხევი ახლა ძალზე შემცირებულია, წინათ ხევი იწყებოდა დაახლოებით VI საშუალო სკოლის უკან, შემდეგში მოსწორებულ ფართობზე გაშენდა ჯერ სასაფლაო, მერე პარკი, ხოლო პარკში ახალი შენობები (მ. შ. საჭადრაკო სასახლე). ამჟამად თხრილის სიგანე 40—45 მ არ აღემატება, სიგრძე არა უმეტეს 100 მ. მის ქვევით გაშენებულია ავტობაზა, მერე კი მოდის სანაპირო ხაზი. ეს ის რიყეა, რომელიც არსებობდა სანაპიროს ნაგებობათა გაშენებამდე, თანამედროვე კიროვის პარკის ტერიტორიაზე. იყო სახნავი მიწები

და ხეხილის ბაღები, რომელიც გრძელდებოდა მდ. ვერეს შესართავამდე (წყარო ამჟამად დაკარგულია).

**გაბუაანთტყე** — ტყის მასივი დაბა წყნეთში, სარიკლდის (ნ.) მიდამოებში.

**გამოღმაუბანი** — უბ. სოფ. გლდანში.

**განდეგილის მთა**—მამადავითი, მთაწმინდა (ნ.), ფუნიკულიორის პლატო(ნ.).

**განჯისკარი** (მრავალი სახელით იწოდებოდა: ერევნისკარი, სამხრეთისკარი, სოლოლაკისკარი, კარისკარი, უჯარმისკარი (ჯუანშერი) —მდებარეობდა იმ მთავარ სავაჭრო გზაზე, რომელიც აღმ. და სამხრ. მოიმართებოდა თბილისისაკენ. ეს გზა სეიდაბადზე (ნ.) გავლით სამხრ. კედლის კარიდანაც შემოდიოდა, ამიტომ მას სამხრეთისკარიც ერქვა. აქვე შემოდიოდა გზა ტაბახმელიდან და კრწანისიდანაც. ეს იყო მთავარი კარი, ამიტომ მას კარისკარსაც (ნ.) უწოდებდნენ. გაშენებული იყო მტკვრის მარცხ. ნაპირზე, კალას დას. კედელზე, ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან (აბანოების მხრიდან).

**გარათხევი** — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი.

**გარეთუბანი („წინქალაქი")** — აღნიშნულია თბილისის 1867 წლის გეგმაზე. წარმოადგენდა ცალკე უბანს (მეორე უბანი იყო — საკუთრივ ძველი თბილისი, მესამე — ავლაბარი, მეოთხე — კუკია). ჩუღურეთი და ახლანდელი სამგორის მიდამოები ცალკე ერთეულად ითვლებოდა ქალაქის IV ნაწილი საკუთრივ თბილისის კალასა და სოლდებილის შემდეგ. XVIII ს. პირველ ნახევარში ქალაქის გალავნის ფარგლებს გარეთ იყო და ამიტომ გარეთუბანი ეწოდებოდა.

გარეთუბნის მასიური დასახლება დაიწყო 1833 წლიდან — ქალაქის ახალ დაგეგმარებასთან დაკავშირებით, ძირითადად ეკავა ახლანდელი ლენინის მოედნის, მოსწავლეთა სასახლის ტერიტორია. აქ გაშენებული ბაღები მეფე გიორგი XII-ს ეკუთვნოდა, ირწყვებოდა მდ. წავკისისწყლიდან გამოყვანილი ორი არხით. 1803 წ. „გიორგის ბაღი" მთავარმართებელმა ციციანოვმა (ციციშვილმა) აღადგინა, შემდეგ დაისაკუთრა და შიგ თავისი რეზიდენცია ააგო (მ. ჩორგოლაშვილი, თბილისის ბაღების ისტორიისათვის ჟურნ. „საქ. ბუნება", 1973), გიორგის ბაღის ნაწილი დღესაც შემორჩენილია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტერიტორიაზე.

**გასაყარი გზა** — მიდიოდა სოფ. შინდისიდან კრწანისისაკენ.

**გალმაუბანი** — უბ. სოფ. გლდანში.

**გაჩიანი** — მერე ყარაია, ამჟამად გარდაბანი (ნ.). ძველი ქალაქი.

**გახიდულასგორა** — ადგილი ძველი დიდუბის ტერიტორიაზე, ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

**გეგასწყარო** — წყარო დაბა წყნეთის სამხ-ით (გეგა კაცის სახელია).

**გეოანთსერი** — მთა (134 მ), მდ. ვენახებისხევის (ნ.) სათავეში, ბეთანიასთან.

**გველიანჭალა** — ჭალა ბეთანიასთან.

**გვერდიბაღები** — ბაღების სახელწოდება სოფ. გლდანთან.

**გვირაბმშენის დასახლება** — მეტრომშენის დასახლება (ნ.).

**გზაზევიდან** — ტყე, ფერდ. ოქროყანის სამხრეთით.

**გზაქვევიდან** — ტყე, ფერდ. ოქროყანის სამხრეთით.

**გიგლასკლდეები** — აღმართისა და კლდის სახელწოდება სოფ. ოქროყანასთან, სოლოლაკში (ამჟამად თბილისის გარეუბანი). გადმოცემით ეს სახელწოდება დაკავშირებულია ვინმე გიგლას სახელთან, რომელიც იქ ნადირობისას დაღუპულა თითქოს.

**გიორგობიანებისუბანი** — უბ. სოფ. გლდანში (შუაუბანი).

**გიოსნაბინავარი** — მინდ. კიკეთის სამხრ-ით (ეკუთვნოდა ვინმე გიოს).

**გიშერაკლდე** — მთა მდ. ვერეს ხეობაში (დაბა წყნეთთან, სახელი ეწოდა გიშრისფერის გამო).

**გლდანი** — სოფ. მცხეთის რაიონში, სას. საბჭოს ცენტრი. თბილისის ჩრდ-დას., საგარეუბნო აგარაკი ქართლის ქედის სამხრ. კალთებზე, 660—680 მ სიმაღლეზე ზღვ. დ., სოფელს გადაჰკვეთს მდ. გლდანისწყალი (ნ.). ვახუშტი უწოდებს გრდანს.

**გლდანის დასახლება** — ახალი დასახლებული უბანი თბილისში, სოფ. გლდანსა და თემქას (ნ.) შორის.

**გლდანის დიდი ტბა** — სოფ. გლდანის აღმ-ით, 590 მ სიმაღლეზე ზღვ. დ., უდიდესი სიგრძე — 480 მ, უდიდესი სიგანე — 120 მ, ფართობი — 30800 კვ. მ. იქთიოფაუნა არ არის. წყალი მლაშეა.

**გლდანის პატარა ტბა** — სოფ. გლდანის აღმოსავლეთით.

**გლდანისწყალი (ლელუბნისწყალი, გლდანისხევი, რიყე)** — მდ. მიედინება საგურამოს ქედის სამხრ. კალთებიდან, სიგრძე 19,6 კმ,

სათავე — 1160 მ და შესართავი — 416 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან. მისი სათავე სამი წყაროა, რომლებიც სოფ. გლდანში იკრიბებიან, ერთვის მტკვარს ავჭალასთან.

**გლიბულისხევი (დაბლებისხევი)** — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი, უერთდება უძოსხევს სოფ. ბაგებთან.

**გმირთა მოედანი** — ვრცელი მოედანი მდ. ვერეს შესართავთან.

**გოგოლასციხისსერი** — სერი და ადგ. დაბა წყნეთთან.

**გოლაანთუბანი** — ვერის ტერიტორიის ნაწილი (ცხოვრობდნენ გოლაძეები).

**გომურები** — საძ. კიკეთთან.

**გორგასლის მოედანი** — (თათრის მოედანი), (ნ.), ქვემო ბაზარი, ქვემო მოედანი, შეითანბაზარი (ნ.), ციხის მოედანი (ნ.), ფართო ადგილი მეტეხის ციხის წინ, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო უბანი.

**გოხები** — დაბლობი ადგ. დიდძალი ქვაყრილებით სოფ. დიღომთან.

**გრაკლეები** — საძ. მთაწმინდის სამხრეთით.

**გრიგოლისწყარო** — წყარო და ტყე ნასოფლარ კვესეთთან (ეკუთვნოდა გრიგოლ ორბელიანს).

**გრიშუას ბაღი** — ყველაზე პოპულარული საჭიდაო ადგილი თბილისში, მას ხან ცინცაძეების ცირკს (ნ.) უწოდებდნენ, მდებარეობდა დიდუბის ეკლესიის უკან.

**გრძელი მიწები** — ადგილი ღვინის III ქარხნისა და შამპანკომბინატს შუა.

**გრძელი რიგი ან როსტაბაზარი** (ნ.).

**გუბარნატორის მოედანი** — ერეკლე II-ს მოედანი (ნ.).

**გუდელისი** — სატყეო უბ. სოფ. კოჯრის ტერიტორიაზე.

**გუნდაძისხევი**—მდ., სიგრძე 6,3 კმ, სათავე—872 მ და შესართავი 418 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან. ერთმანეთისაგან გამოყოფს ქვემო და ზემო ავჭალას.

**დაბაღხანა** — მდ., თბილისის ჩრდ.-აღმ-ით, ცნობილია კიდევ სამი სახელწოდებით: ლეღვთახევი (ნ.), სოლოლაკისწყალი და წავკისისწყალი (ნ.). მდინარე მოედინება უძოს მთის კალთებიდან, უერთდება მტკვარს გორგასლის მოედანთან, მეტეხის ციხის პირდაპირ, 381 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან. სათავეში იგი წავკისისწყლად იწოდება

(რადგანაც სოფ. წავკისზე გაივლის), შემდეგ ფართო ხევში შედის და ლეღვთახევს უწოდებენ (ამ ხევში ლეღვის ხის სიხშირის გამო), ხოლო შესართავთან — დაბაღხანას. უკანასკნელი სახელწოდება იმ სამუშაოს უკავშირდება, რომელსაც აქ ერთ დროს დაბაღები (მეტყავეები) ასრულებდნენ.

**დაბლაკარი** — ქვემოკარი, წყლისკარი (ნ.), მუხრანისკარი (ნ.), თბილისის კართა შორის ყველაზე დაბალი იყო, მდებარეობდა ახლანდელი შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში (ძველად ზემოუბანი, ნ.).

**დაბლამიწები** — უბ. და მიწის ნაკვეთი სოფ. დიღომში.

**დაბლატყე** — ტყის მასივი სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**დაბლებისხევი ანუ გლიბულისხევი** (ნ.) — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი.

**დაბლებისხევი** — მდ. მილიხევის სათავე დიღმისწყლის სათავეში (თელოვანისხევსა და ბაყაურებისხევთან ერთად).

**დავითურებისსერი** — ადგ. დაბა წყნეთთან.

**დათვის სოროების მიწები** — ადგ. დაბა წყნეთთან.

**დათიკასგორა** — ადგ. და მთა შავნაბადას მთასთან.

**დამზღრეულები** — დაბ. ადგილი სოფ. დიღომთან (ბევრი ქვაა მოზღვავებული).

**დამიანესუბანი** — ადგ. და ეკლესია დღევანდელი ენგელსის ქუჩის სამხრ-ით, ქვემოუბანში (ნ.). დამიანე კაცის სახელია.

**დამოუნა** — ადგ. კოლონიაში, სახენაცვალი ფორმა «Таможня» (ქართულად საბაჟე). აღნიშნულია თბილისის 1896 წ. გეგმაზე, მებაღეთა სკოლის მახლობლად (რკინიგზის მარცხენა მხარეს).

**დამპალო** — ადგ. და დასახლებული უბ. სამგორსა და თბილისს შუა, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობასთან. ახლა ცნობილია სასაკლაოსხევის („ბოინისხევის") სახელწოდებით. წინათ დიდი ფართობი ეკავა მლაშე ხელოვნურ ტბას, რომელსაც ელიზბარისწყარო (ნ.) ავსებდა.

**დამპალწყალი** — ადგ. და წყარო სოფ. დიღომთან.

**დამპალხევი** — ადგ. კუს ტბასთან (წყალი მდგრადია და უსიამოვნო სუნი აქვს).

**დამწვრისსერი** — სერი სოფ. კიკეთის მახლობლად.

**დარიასაბანო** — ერეკლესაბანოს მეორე სახელი.

**დარიჯელი** — ერთ-ერთი ციხის სახელწოდება კალაში, ბაგრატ მეფემ „აღილო ციხე ქალაქისა დარიჯელი" (ქ. ცხ., I, 299).

**დაღესტნის გზა** — მეორენაირად: კახეთის გზა. იწყებოდა კახეთის მოედანზე (ამჟამად შაუმიანის სახელობის მოედანი, ნ.).

**დაჭრილები** — მთიანი ადგ. სოფ. ოქროყანის ჩრდ.-აღმ-ით, მთაწმინდის პლატოსთან (ამჟამად თბილისის გარეუბანია). აგრეთვე სახნავი ნაკვეთი და ხევი სოფ. დიღმის სამხ. დასავლეთით.

**დაჭრილი გზა** — მოდიოდა დიდგორიდან დიღმისაკენ (ალაგ-ალაგ წყლები ჭრიან და ამიტომ უწოდებენ ხოლმე ასე).

**დახერგილი გზა** — სოფ. დიღომთან.

**დახურული ბაზარი** — მექვაბეთა რიგი (ნ.), ბნელი რიგი (ნ.), ბაზარხანა (ნ.).

**დედაციხე** — ნარიყალა (ნ.).

**დედოფლის ბაღები** — გარეთუბანში, აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**დევისნამუხლი** — კლდე და მასში გაჭრილი გზა ნაქულბაქევის (ნ.) ზევით, დიღმის მასივში, საქართველოს სამხედრო გზაზე.

**დევრისქედი** — მთა (746 მ) სოფ. გლდანის ჩრდილოეთით.

**დეზერტირის ბაზარი** — თბილისის რკინიგზის სადგურთან.

**დელისი** — ნასოფლ. ლისის ტბის სამხრ-ით, ახლა თბილისის გარეუბანია.

**დელისი** — ვრცელი ტერიტორია (მინდორი) საბურთალოში, დაწყებული თანამედროვე იპოდრომიდან მის დას. მდებარე გორხანამდე (ამჟამად ახალმშენებლობათა რაიონია).

**დიდგორი** — სოფ. დიღმის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**დიდგორი** — ადგ. და მთა (1275 მ) დიდგორის ქედზე.

**დიდგორის ქედი**—საწკეპელა-სათოვლიას ქედის დას. ნაწილი, მდ. ვერესა და დიღმისწყლის წყალგამყოფი.

**დიდებური** — სატყეო უბანი სოფ. კოჯრის ტერიტორიაზე.

**დიდვაკე** — საძ. სოფ. დიღმის ჩრდილოეთით.

**დიდვარცლა** — მაღალმთიანი ადგ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**დიდვარცლეები** — ადგ. წმინდანისწყლისხევის (ნ.) სამხრ.-დასავლეთით მდ. ვერეს მარჯვ. ნაპირზე.

**დიდვარცლის ტბა** — მდ. დიღმისწყლის ხეობაში (ვარცლის ფორმა აქვს).

**დიდეელი** — მთა სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით (ნასოფლარ ვეჯინთან).

**დიდეელი** — სატყეო უბანი სოფ. კოჯრის ტერიტორიაზე.

**დიდეელისსერი** — ადგ. ლისის ქედის სამხრ. კალთებზე.

**დიდი ბაზარი** — (როსტაბაზარი, ნ.).

**დიდმანიანთკარი** — ნასოფლ. სოფ. გლდანის ჩრდ. დას-ით (სოფელი დაცარიელებულია ლეკიანობის დროს).

**დიდი მოედანი** — ახლა **კომუნარების ბაღი** (ნ.).

**დიდი სირაჯხანა ან ღვინის აღმართი** (ნ.) — მდებარეობს ავლაბრის ყელთან (ნ.), მეტეხის ხიდიდან კახეთის მოედნისაკენ მიმავალ აღმართზე.

**დიდი ტბა** — **გლდანის ტბა** (ნ.).

**დიდი ჩორსუ** — (**ღია ბაზარი**) — მდებარეობდა როსტაბაზრისა (ნ.) და ჭონხანის (ნ.) გადაკვეთის ადგილზე. ცნობილი იყო „ჭონხანის თავზე მდებარე ჩორსუს" სახელწოდებით.

**დიდი ხარაზხანა** — (**ხარაზების უბანი**), ბატონის მოედნის (ნ.) სამხრ. ნაწილში (იხსენიება „კალმასობაში").

**დიდქვარათხევი**.— მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი, ერთეის ძველ ვეძისთან.

**დიდნატბეურა** — ადგ. ნატბეურას (ნ.) დას-ით, ბაგების სამხრ.-დასავლეთით (გზის მხარეზე).

**დიდსერი** — მთა და საძ. ოქროყანის სამხრეთით.

**დიდტყე** — მდ., ხევი. ოქროყანის დასავლეთით.

**დიდუბე** (**ცხენისტერფი**) ადრე სოფელი — ვრცელი დასახლებული უბ. თბილისის ჩრდ. დას.-ით. წინათ ეკავა დიდი ფართობი დღევანდელი ნაძალადევის ჩათვლით, ვახუშტის მიხედვით „ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსაც პირველ ეწოდა „ცხენისტერფი" („აღწერა," გვ. 54). რკინიგზის გაყვანის შემდეგ დიდუბის ვრცელი ფართობი ორად გაიყო, ერთ ნაწილს დიდუბის სახელი შემორჩა, ხოლო მეორეს (რკინიგზის გადაღმა) ნაძალადევი (ნ.) ეწოდა. ძველად დიდუბე იყო ქალაქის კედლებს გარეთ, სადაც მეფის სასახლეც იყო. („თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი"). სახელწოდება ადგილის ფიზიკურ თავისებურებას („ჩავარდნილი") უკავშირდება. 1896 წ. თბილისის გეგმის მიხედვით შედიოდა X უბანში (კოლონია) და მდებარეობდა მუშტაიდსა და მება-

ღეთა სასწავლებლის მახლობლად. დიდუბეში იქორწინეს თურმე თამარ მეფემ და დავით სოსლანმა (ქ. ცხ., II, 47,122). 1846 წ. დიდუბეში მოეწყო ჰიპოდრომი (ნ.), 1883 წ. აშენდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, ცხენის ტრამვაის პარკი, 1826 წ. აშენდა მაუდის ფაბრიკა (მერე კომბინატი). 1839 წ. მდ. მტკვარზე გადებულმა ხიდმა ერთმანეთს დააკავშირა დიდუბე და საბურთალო. ხოლო მტკვარზე არსებული ბორანი გაუქმდა.

**დიდფერდობი** — ტყე და ფერდობი სოფ. ოქროყანის სამხრეთით.

**დიდღელე** — ღელე და საძ. ქვემო ავჭალის ალმ-ით (ელმავალმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე).

**დიდჭანჭრობი** — ველი სოფ. დიღომთან (ჭანჭრობი — ნესტიანი მიწებია).

**დიდხევი** — მეორენაირად „ბარონისხევი"—მდ. (ხევი ბეთანიასთან).

**დიდხევი** — სხვა სახელით „ოხერხევი"—მდ. (მშრალხევი) სოფ. ოქროყანის სამხრ.-აღმოსავლეთით.

**დიდხევი** — მდ. ლეღვთახევის ადგილობრივი სახელწოდება (სოფ. ოქროყანაში).

**დივანხანა (სამდივნო)** — ადგ. ბატონის მოედანზე (ნ.), ქართლის მეფის სვიმონის სასახლესთან, დაინგრა 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

**დირსიჭალა (დარსიჭალა)** — ვრცელი ტერიტორია ბაღ-ბოსტნისათვის ორთაჭალასთან, სამგორიდან გამოყოფს მტკვარი, აღნიშნულია თბილისის 1896 და 1910 წლის გეგმებზე, დატანილია 1914 წ. გეგმაზე, მდებარეობდა თბილისის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ნავთლუღს, ხარფუხსა და ავლაბარს შორის (მტკვრის მიერ შექმნილ მოზრდილ კუნძულზე).

**დირსიჭალას მოედანი** — დირსიჭალას ბაღებთან, მამუკასსოფლის (ნ.) დასავლეთით.

**დიღმის გზა** — გადიოდა თანამედროვე რუსთაველის პროსპექტზე (გარეთუბნიდან დიღმისაკენ), (ნ.) ე. წ. „სადიღმო შარა".

**დიღმის ველი** — მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, სოფ. დიღმის დას-ით, ვაკე, დაახლოებით 440 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან, სიგანე 5-6 კმ.

**დიღმისკარი**, სხვა სახელით შუაკარი (ნ.), — გაშენებული იყო

კალას კედლის უკიდურეს დას. კუთხეში, კოჯრისკარის დას-ით, მცხეთიდან მომავალი გზა ორ ტოტად იყოფოდა: ერთი წავკისისკარით (ნ.) შემოდიოდა თბილისში, ხოლო მეორე — დიღმისკარით. მისი ნაშთი (მ. შ. კოშკის ნაშთები) შემორჩენილია პუშკინის ჩიხში (ლენინის მოედანთან) პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარში. ეს ე. წ. „სადიღმო შარა" მოხსენიებულია 1740 წ. ნასყიდობის წიგნში.

**დიღმისწყალი** — (დიღმისხევი, დიღმურა, „ბოინისწყალი") — მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი (ერთვის დიღმის მასივთან), მოედინება საწკეპელას ქედის ალმ. ფერდობიდან, სოფ. წოდორეთზე გავლით. სიგრძე 26 კმ, სათავე — 1333 მ და შესართავი 339 მ სიმაღლეზე (ზღვ. დონიდან) მდებარეობენ.

**დიღომი** — დიღვამი, სოფ. თბილისის ჩრდილო დას. სას. საბჭოს ცენტრი (მცხეთის რაიონი), 740—750 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან. ალმ-ით ესაზღვრება მდ. დიღმისწყლის ხეობა, სამხრ.-ით—დიდვარცლისა და ლისის ტბები, დას-ით—მსხალდიდის, სათოვლიისა და დიდგორის მთები. ილია ალხაზიშვილის ცნობით „დიღომი იყო მეფეთა ხელსახოცი", ე. ი. ყოველდღე დიღმიდან თბილისში მეფის კარზე ჩაჰქონდათ ხილი, მწვანილი და ყოველივე მიწის მოსავალი (ჟურნ. „განათლება", 1914, 7, გვ. 520).

**დოიანი** — სახნავი ადგ. ქვ. ავჭალის ალმ-ით, კონიაკის დასახლებასთან (თანამედროვე ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე).

**დოლაბაური** — უბ. და ხევი სამგორსა და შავსოფელს (ნ.) შუა.

**დრე** — ნასოფლ. მდ. ვერეს ზემო წელში, მარჯვ. მხარეზე.

**დუქნისმიწები** — ფერდ. და სახნავი მიწა კიკეთის ჩრდ-ით, სამადლოსთან.

**დუქნისხევი** — მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკ., ერთვის სამგორთან.

**ებრაელთა უბანი** — სხვა სახელით ფეთხაინი (ნ.).

**ეგზარხოსის მოედანი** — ახლა ერეკლე II-ს მოედანი (ნ.), აღნიშნულია თბილისის 1896 წლის გეგმაზე.

**ეკალხევი** — ადგ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე.

**ელია** — მთა (1061 მ) თბილისის დასავლეთით.

**ელია** — ელიასუბანი (ილია. სხვა სახელებია: მახათა, ელიაბარი, მეხთამთა), კიბალჩიჩის ხევისა და რკინიგზის გადაღმა მდებარე უბანი. ძველი ქართული მითოლოგიით ელია (ილია) იყო „ღრუბელთა

წინამძღვარი", ღვთაება, იქვე, ზედ მახათას ქედზე აშენებული იყო ილიას ეკლესია (თ. ბერიძე — „ელია", „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში", 3, 1969 წ.).

**ელიზბარისწყარო** — მოედინება მახათას მთიდან ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობასთან. წინათ ქმნიდა ხელოვნურ ტბას, სადაც ნავებით სეირნობდნენ, გადმონადენი წყალი მტკვარს უერთდებოდა.

**ელფია** — მინდ. და ეკლესია კიკეთთან.

**ერგოზავისხევი** — მდ., (მშრალხევი), სოფ. ოქროყანის სამხრეთით.

**ერევანსკის მოედანი** — ახლა ლენინის მოედანი, ეწოდა გენერალ პასკევიჩ-ერევანსკის პატივსაცემად (1829 წ.), ხშირად იმართებოდა ღია ცის ქვეშ ვაჭრობა (პუშკინის ქუჩასთან). ვაჭრობის დროს იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა, რის გამოც მას თეატრალურ მოედანსაც უწოდებდნენ.

**ერეკლე II-ს მოედანი** — წინათ მრავალი სახელით იყო ცნობილი: ბატონის, მეფის, ბებელის, ეგზარხოსის, თავრიზის, გუბერნატორის, ზემო ბაზარი, ზემო მოედანი, სალაყბო. ძირითადად მოიცავს შავთელის ქუჩის ტერიტორიას.

**ერეკლესაბანო**—სხვა სახელები: დარიასაბანო, აბანოსუბანი (ნ.).

**ერეკლესწყარო** — მეორენაირად: მეფე ერეკლეს წყარო (ნ.).

**ერევნის გზა** — თბილისიდან მიდიოდა ხარფუხსა და ორთაჭალაზე გავლით სამხრეთისაკენ (დატანილია 1896 წლის თბილისის გეგმაზე).

**ერევნისკარი** — ერევნიდან მიმავალ გზაზე, სხვადასხვა დროს ერქვა: განჯისკარი, კარისკარი (ნ.), სამხრეთისკარი, სოლოლაკისხევისკარი და სხვ.

**ერეკლესციხე** — ნასოფლ. და ნაციხარი, მდებარეობს თბილისის სამხრ.-აღმოსავლეთით 12 კმ-ზე. დაანგრიეს XIX ს. დამდეგს. კ. ხარაძის აზრით, ამ ტერიტორიის სახელი მეფე ერეკლეს მიერ ციხის მშენებლობამდე თითქოს „ნავთლუღი იყო"; ამ მშენებლობის მოშლის შემდეგ მისთვის კვლავ აღუდგენიათ ეს სახელწოდება, მაგრამ უფრო ფართო გაგებით — ერეკლესციხის სანახებიდან ვიდრე ავლაბრამდე (კ. ხარაძე, ერთი ქართული ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის, საქ. გეოგრ. საზ. შრ., ტ. XII, გვ. 287).

**ერიქალას მთა** — დიდგორის ქედზე — თბილისის ჩრდ.-დას-ით. მოხსენიებული აქვს ვახუშტის („აღწერა", გვ. 52).

**ეურდა** — ტყის ნაკვეთი სოფ. დიღომთან.

**ეფრემისწყალი** — წყარო სოფ. გლდანის ჩრდ.-დასავლეთით.

**ეშმაკთხევი** — ტყიანი ადგ. გლდანის დასავლეთით.

**ვაკე** — ვრცელი დასახლებული უბ. მდ. ვერეს მარჯვ. სანაპიროზე. უბნის მთავარ ღერძს შეადგენს ჭავჭავაძის გამზირი და სტუდქალაქი. შეუერთდა თბილისს 1907 წ. (ფაქტიურად იწყებოდა ვარდისუბნის დას-ით და გრძელდებოდა ბაგებამდე).

**ვაკე** — ტყე, სერი, საძ. სოფ. ოქროყანის სამხრ.-დასავლეთით.

**ვაკეტყისხევი** — მდ. (მშრალიხევი) სოფ. ოქროყანის ჩრდ.-დასავლეთით.

**ვაკის პარკი** — („ბურევესტნიკის" სტადიონი), მოიცავს ვრცელ ტერიტორიას მამადავითის (ნ.) ქედის ჩრდ. კალთებზე.

**ვაკის ტყე** — ტყიანი ადგ. სოფ. კოჯორთან.

**ვაკისუბანი** — ადგ. ავლაბარში, ძაღლისუბნის (ნ.) ერთ-ერთი სახელწოდება.

**ვანეთი** — ნასოფლ. მდ. ვერეს ზემო წელში, მარჯვ. მხარეზე.

**ვანქი (ფაშავანქი)** — ადგ. საკოლმეურნეო ბაზართან. მუხრანბატონის უბნის ჩრდ. და ჩრდ.-დასავლეთით, სადაც წინათ სომხური ეკლესია იყო (ახლა იქ საშუალო სკოლაა).

**ვანქისუბანი** — იმავე სახელწოდების ადგილის (ვანქის) გარშემო დასახლება (ნ. ავანაანთხევი). 1896 წ. თბილისის გეგმის მიხედვით მდებარეობდა მადათოვის კუნძულთან (ნ.), მის მარჯვ. მხარეზე.

**ვარაზისხევი** — მდ. და ხევი, ვერეს მარჯვ. შენაკ., მოედინება მთაწმინდიდან, უერთდება მდ. ვერეს ზოოპარკთან. ხევი სპეციალურად ამოივსო 1957 წელს და ვაკე უშუალოდ დააკავშირა გმირთა მოედანს.

**ვარდანასხჭალა** — ადგ. მდ. მტკვარზე, თელეთსა და კრწანისს შორის (საქ. სიძველეები, III, 425).

**ვარდიგორა** — გვიანდელი სემიონოვკა (ნ.) თბილისში.

**ვარდისუბანი** — ავლაბარში — გვიანდელი ძაღლისუბანი (ნ.).

**ვარდისუბანი** — სოფ. XIX ს. დამდეგს ვერესთან (მთავარი ღერძია ს. ჯანაშიას ქუჩა).

**ვარდისუბნისხევი** — მდ., მიედინებოდა ამავე სახელწოდების ქუჩაზე.

**ვარკეთილი** — უბ. თბილისის ჩრდ.-აღმ-ით, კახეთის გზაზე, 1973 წლამდე შედიოდა სამგორის სადაბო საბჭოში (დღეს თბილისის საქარხნო რაიონშია).

**ვარკეთილი** — მთა (665 მ), თბილისის ჩრდ-ით, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე.

**ვარცხლისკარი** — ადგ. სოფ. დიღომთან.

**ვაშლაჯვარი** — ყოფ. სოფ. დიღმის სას. საბჭოში, მდ. დიღმისწყლის მარჯვ. მხარეზე, შეუერთდა თბილისს.

**ვაშლოვნისხევი** — ხევი და ადგ. სოფ. ოქროყანის დას-ით, ამჟამად თბილისის გარეუბანია.

**ვაჩნაალაგი** — სათესი ნაკვეთი სოფ. კიკეთთან (გადმოცემით ეკუთვნოდათ მებატონე ვაჩნაძეებს).

**ვაწაძიანთბაღი** — სოფ. გლდანში (ეკუთვნოდა ექიმ ვაწაძეს).

**ვენახები** — ვაზის ადგ. წყნეთში (ახლა დასახლებული უბანია).

**ვენახებისფერდობი** — ადგ. თრიალეთის ქედის კალთებზე, დაბა წყნეთის სამხრ.-დასავლეთით.

**ვენახებისხევი** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი. ერთვის ბეთანიასთან.

**ვერე** (**ვერა**, ძველად **სკვირეთი**, ნ.) — მდ. მოედინება დიდგორის მთიდან, უერთდება მტკვარს შუა თბილისში (აბრეშუმის კომბინატთან). სიგრძე — 45,2 კმ, სათავე 1682 მ, შესართავი — 390 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან.

**ვერე** (**ვერა**) — უწინ სოფ. მდ. ვერეს მარჯვ. სანაპიროზე, დაფარული იყო ბაღებით (საგაბაშვილო მამული). დატანილია თბილისის 1896 წ. გეგმაზე და შედიოდა ე. წ. ვერისუბანში.

**ვერის პარკი** — ხეხილის ბაღები მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ლურჯ მონასტერთან, ეკუთვნოდა ქართველ მოგზაურ რ. დანიბეგაშვილს (ნ., გაბაანთწყარო), შემდეგ გადაიქცა სასაფლაოდ. 1898 წ. საქართველოს ეგზარხოსმა ფ. ფლაბიანემ ნება დართო ქალაქის გამგეობას ვერის სასაფლაოზე ბაღი გაეშენებინა (ამჟამად კიროვის სახ. პარკი).

**ვერისხევი**—ადგ. მდ. ვერეს ხეობაში, დიდნატბეურას (ნ.) სამხრ.-დასავლეთით.

**ვერცხლის რიგი (ქუჩა)** — სხვა სახელებია: ოქრომჭედლების ბაზარი ან ზარგარხანა (ნ.).

**ვეძისი** — წინათ სოფელი მდ. დიღმისწყლის ორივე მხარეზე (სახასო-სამეფო მამული). ამჟამად თბილისის ტერიტორიაზეა (ძირითადად თანამედროვე კანდელაკისა და მისი მიმდებარე ქუჩების ტერიტორია).

**ვეჯინი** — ნასოფლ. სოფ. გლდანის ჩრდ.-ალმ-ით (გადმოცემით ამ სოფლებისაგან შერქმევია თითქოს სახელი კახეთის ერთ სოფელს).

**ვეჯინისუბანი** — სხვა სახელით — ჯოხტანი (ნ.), უბ. სოფ. გლდანში.

**ვირისხიდი** — ვიწრო ხიდი მტკვარზე, მეტეხიდან გორგასლის (თათრის) მოედნისაკენ.

**ვიწროებისგზა** — ადგ. და გზა მდ. ვერეს მარცხ. ნაპირზე (გზა მიდის ნასოფლ. ნახშირგორასა და სოფ. მსხალდიდისაკენ).

**ვიწროებისფერდობი (ვიწროებისსერი)** — მოსწორებული სერი მდ. ვერეს მარცხ. მხარეზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან დელისის დასასრულამდე. აქ გადიოდა გზა ნახშირგორის, ზიმონიკის, ნაოხარის, დრეს, წყრულეთის, ვანეთის, ლასტისციხისა და სხვა სოფლებისაკენ (ამჟამად ყველა ნასოფლარია).

**ვორონცოვის ბაღები** — სხვა სახელით ავლაბრის ფერმა (ნ.).

**ვორონცოვის მოედანი** — ახლა კარლ მარქსის სახ. მოედანი, მტკვრის მარცხ. მხარეზე.

**ზარაფხანა** — ადგ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე, ბებელის მოედანთან, ფასულხანასთან (ნ.). მტკვრის სანაპიროზე ახლაც დგას ნიში წარწერით, რომელიც გვატყობინებს, რომ ამ ადგილას იჭრებოდა ფული („თეთრი“) და იყო სასინჯი პალატა — ზარაფხანა. მოხსენიებულია 1678 წ. ნასყიდობის წიგნში. უნახავს აკად. გიულდენშტედტსაც. 1795 წ. დაინგრა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს (იქვე ყოფილა ზარაფთა ქუჩაც).

**ზარგარხანა** — სხვა სახელებით: „ოქრომჭედლების რიგი“, „ვერცხლის რიგი“ (ნ.).

**ზარის ეკლესია** — სხვაგვარად ანჩისხატი (ნ.).

**ზაჰესი** — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, აშენდა

1927 წ. გოელროს გეგმით. მერე შეიქმნა დასახლება. ამჟამად ნაწილობრივ თბილისში ერთიანდება, ნაწილობრივ კი — მცხეთის რაიონში.

**ზედა ვეძისი** — მდებარეობს ქვ. ვეძისის (ნ.) სამხრ.-დასავლეთით, მტკვრის მარჯვ. მხარეზე (ამჟამად თბილისის გარეუბანია).

**ზედაციხე** — სხვა სახელებია: შურისციხე, თბილისისციხე, თავადისციხე, მაღალიციხე, მთავარიციხე, დედაციხე, ისკანდერისციხე, ნარიყალა (ნ.). იყო კალას სამხრ. კედელზე, ავლაბრისკართან (ნ.).

**ზემელი** — ადგ. თბილისში, რუსთაველის მოედანთან. სახელწოდება უკავშირდება გერმანელი ფარმაცევტის გვარსახელს. მისი ყოფილი აფთიაქის შენობა დღესაცაა რუსთაველის ძეგლის პირდაპირ ლენინისა და ელბაქიძის ქუჩების კუთხეში.

**ზემო ავჭალა** — დასახლება თბილისის ჩრდ.-დასავლეთით.

**ზემო ბაზაზხანა** — ფართლით მოვაჭრეთა პატარა ადგ. გორგასლის მოედანთან (ნ.).

**ზემო ბაზარი** — სხვა სახელები: ზემო მოედანი (ნ.), ბატონის, მეფის, ეგზარხოსის, გუბერნატორის, ბებელის მოედანი, სალაყბო, ამჟამად ერეკლე II-ს მოედანი, შედიოდა ქვემოუბანში (ნ.).

**ზემო (კუკიის) ტბა** — ამჟამად თბილისის წყალსაცავშია მოქცეული.

**ზემო გზა** — იწყებოდა მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე და მიდიოდა ავჭალისაკენ (აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე).

**ზემო მოედანი** — ახლა ერეკლე II-ს მოედანი (ნ.). შარდენის თქმით, ეს ოთხკუთხა მოედანი ათასამდე ცხენოსანს იტევდა.

**ზემოუბანი** — კალას ერთი ნაწილი ქვ. უბანთან (ნ.) ერთად მდებარეობდა მტკვარს, ნარიყალას, შ. დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის, მარჯვ. მხარეზე. ზემოუბნის ცენტრი იყო — ბატონის მოედანი. აქ იყო ეკლესიები — სიონი, ანჩისხატი, წმინდა-გიორგი ნათლისმცემელი, კვირაცხოველი და სომხური ეკლესია სუბნიშანი.

**ზემო ზუბიანთუბანი** — ადგ. ჩუღურეთში, სადაც ცხოვრობდნენ ცნობილი მეზურნეები ზუბიაშვილები, ნახსენებია 1768 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 226, № 4644).

**ზემო ცხრაპურიანთუბანი** — მ. ჯიაურელის ცნობით, მდებარეობდა ავლაბარში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასთან.

**ზემო წყლისკარი** — მოხსენიებულია 1769 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 226, საბ. 279). ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

**ზვარი** — ვენახების დიდი ფართობი ორთაჭალაში, ეკუთვნოდა მეფისწულ იულონსა და დედოფალ ანასტასიას.

**ზვრები** — ადგ. სოფ. დიღომში.

**ზიმონიკი** — (რუს. Зимовник-დან) ნასოფლ. მდ. ვერეს სათავეში. მისი ძველი სახელი ვერ დავადგინეთ.

**ზირკინაანთადგილი** — სომხურ ეკლესიასთან (იდგა თანამედროვე გაზ. „ზარია ვოსტოკას" შენობის უკან).

**ზლეთისსერი** — მთა (891 მ) დაბა წყნეთის ჩრდილოეთით.

**ზოოპარკი** — ვარაზისხევსა და ლენინის ქუჩის კუთხეში, გმირთა მოედანთან (ნ.).

**ზურგოვანი** — ადგ. სოფ. დიღომთან, საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე.

**ზღვისუბანი** — ახალი ტოპონიმი, ტერიტორიის სახელწოდება „თბილისის ზღვის" გარშემო. მოიცავს დღევანდელი ლოტკინისგორის (ნ.) დასახლებასა და აგრეთვე ავჭალის მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიას.

**თაბორის კოშკი** — ტფილისის კარზე (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 33).

**თაბორისმთა** — მთაბორი — თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განტოტებაა, სოლოლაკის ქედის პარალელურად. მათ შუა დაბაღხანასხევია. აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე.

**თაბორის ციხე** — სხვა სახელებით: „ციხე", „ყორჩა კალა" (ნ.), მდებარეობდა თაბორის ქედზე, იცავდა განჯისკარს ან სამხრეთისკარს და ჰქონდა საკუთარი ზღუდე, დაინგრა ირანელთა 1795 წლის შემოსევის დროს.

**თავამთა** — საძ. და უბ. დაბა წყნეთში.

**თავადციხე** — ნარიყალა (ნ.).

**თავისუფლების მოედანი** — ახლანდელი ლენინის მოედნის (ნ.) ერთ-ერთი ძველი სახელწოდება.

**თავრიზის მოედანი** — ერეკლე II-ს მოედნის (ნ.) ერთ-ერთი ძველი სახელწოდება.

**თათრის მოედანი** — სხვა სახელებით: ციხის მოედანი (ნ.), შეითანბაზარი (ნ.), ქვემო ბაზარი, ახლა გორგასლის მოედანი — მეტეხის ხიდთან მტკვრის მარჯვ. მხარეზე. იყო სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის მთავარი ადგილი თბილისში, შედიოდა ქვემოუბანში (ნ.).

**თათრის ბაზარი** — სხვა სახელწოდებით — როსტაბაზარი (ნ.).

**თათრისხევი** — მშრალიხევი ორხევთან (ნ.), თბილისის აღმოსავლეთით.

**თაკვერები** — ვაკე ადგ. პატარა გლდანთან.

**თამამშაანთუბანი** — ადგ. თათრის მოედანთან, ქვემოუბანში (ნ.).

**თამარასბაღი** — ადგ. (ბაღები), ქვ. ავჭალის აღმოსავლეთით.

**თამარ დედოფლის მიწები** — მინდ. სოფ. კიკეთთან (გადმოცემით ეს მიწა თამარ დედოფალს შეუწირავს მთაწმინდის ეკლესიისათვის).

**თამარ დედოფლის ტახტი** — ადგ. სოფ. კოჯორთან (თამარ მეფის საზაფხულო სადგომი).

**თამაშაანთბაღი** — ადგ. სოფ. დიღმის აღმ. (ეკუთვნოდა ვინმე თამაშაშვილებს).

**თანდილას ნაგომურალი** — კლდის ძირი ორთაჭალის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, თელეთის ქედზე, კრწანისის გაღმა მხარეზე, თბილისის გარეუბანში (ვინმე მწყემს თანდილას ცხვრის სადგომი).

**თბილელის ქარვასლა (ქარავანსარაი)** — მდებარეობდა მტკვრის მარცხ. ნაპირზე, სიონის მახლობლად. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**თბილისი** — საქართველოს სსრ დედაქალაქი. სახელი ეწოდა გოგირდის ცხელი წყაროების გამო, უძველესი დასახლებიდან თბილისი ათასწლეულებს ითვლის. სატახტო ქალაქად გახდომა კი ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდს უკავშირდება (V ს.).

**თბილისის ბაღები** — მტკვრის მარჯვ. მხარეზე, სეიდაბადში, (ნ.), კალას სამხრ. კედლის სამხრეთით უერთდება ორთაჭალის ბაღებს. ვახუშტის მიხედვით „ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა, ისნი" („აღწერა", გვ. 52).

**თბილისის ზღვა (წყალსაცავი)** — მდებარეობს თბილისის ჩრდ. აღმ-ით, ქალაქიდან გამოყოფილია 600-650 მ სიმაღლის ძეძვი-მახა-

თას ქედით. წინათ აქ იყო სამი მლაშე ტბა (ავლაბრის, ილგუნიანის და კუკიისა). 1952 წ. მდ. იორიდან გამოყვანილი სარწყავი არხით შეივსო ეს ტბები და შეიქმნა „თბილისის ზღვა". მაქს. მოცულობა — 320 მლნ მ$^3$. მაქს. ფართობი — 30 კვ კმ, სრულწყლიანობის დროს მაქს. სიგრძე 42-43 კმ. სამეურნეო ფუნქციასთან (მორწყვა) აქ კარგადაა შეთავსებული მშრომელთა კულტურული დასვენების ფუნქციაც. აქვს წყალსადგური და სხვ.

**თბილისის კოლონია** — სხვა სახელები: „ნემცების სოფელი", ალექსანდერდორფი (ნ.), კოლონია.

**თბილისის სახაზინო ბაღი** — ახლანდელი ბოტანიკური ბაღი (ნ.).

**თბილისის უბნები** — 1921-24 წწ. თბილისი დაყოფილი იყო 12 უბნად (რაიონად): I უბანი — საბურთალო; ვაკე, ვარდისუბანი, ვერე, დალმართი მტკვრამდე; II უბანი — ყოფ. დავითის (ახლა ბესიკის) ქუჩის ტერიტორია. რუსთაველის გამზირამდე და მადათოვის კუნძულამდე; III უბანი — სოლოლაკი, პუშკინის ქუჩით მადათოვის კუნძულამდე; IV უბანი — იერუსალიმის (ახლა რიჟინაშვილის) ქუჩის ტერიტორია მტკვრამდე; V უბანი — ხარფუხი, ორთაჭალა, კრწანისის ბაღები, აღმოსავლეთით გრძელდებოდა ქალაქის ბოლომდე; VI უბანი — ნავთლუღი შავსოფლით, კახეთის გზის ტერიტორია; VII უბანი — ავლაბარი; VIII უბანი — რიყე, ჩუღურეთი და მადათოვის კუნძული; IX უბანი — კუკია, კირკის ან ჟორესის ქუჩამდე; X უბანი—ბორჯომისა და აბასთუმნის ქუჩების ტერიტორია; XI უბანი — მთელი ნაძალადევი; XII უბანი — მთელი დიდუბე.

**თბილისის ციხე ან ნარიყალა** (ნ.) მოხსენიებულია 1736 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ხ. ი., ფ. Hd, № 13015).

**თბილისის ხიდი** (ციხესიმაგრესთან) — აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე. აერთებდა კალას სეიდაბადთან.

**თეატრალური მოედანი** — ახლა ლენინის მოედანი (ნ.).

**თეატრი და ბაღი „ფანტაზია"** — მდებარეობდა მიხეილის (ახლა პლეხანოვის) გამზირზე. 1894 წლამდე პუშკინის სახელობის ბაღი, ამჟამად გორკის ბაღი (ნ.).

**თეზმისხევი** (მეორენაირად თეზმისწყალი) — მდ. გლდანისწყლის ხეობაში.

**თეთრაანი** — (სხვაგვარად თეთრაძე) — ნასოფლ. დიღმისწყლის ხეობაში.

**თეთრაანი** — საძ. და წყარო სოფ. დიღმის მახლობლად (უკავშირდება თეთრაშვილებს).

**თეთრიმინდვრის ფერდობი** — ადგ. თრიალეთის ქედზე ჩრდ. კალთებზე, დაბა წყნეთის სამხრ.-დასავლეთით.

**თეთრიქვის ვაკე**—ადგ. და გზა, მიდის წყნეთიდან სამადლოსაკენ.

**თეთრიხევი** (ზემო წელში — **ორხევი**) — მდ. ერთვის ქვემო სამგორის არხს დაბა სამგორთან.

**თეკენამის ადგილი** სომხურ ეკლესიასთან (თანამედროვე ბარათაშვილის ქუჩაზე).

**თეკლე ბატონიშვილის ქარვასლა** — უფრო ადრე ეკუთვნოდა მეფე ერეკლეს და ეწოდებოდა ბატონის ქარვასლა (ნ.).

**თელისწყარო,** სადღაც დიდუბის ტერიტორიაზე (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**თელისწყარო** — წყარო და ხევი სოფ. დიღმის სამხრეთით. კიდევ ლოტკინის გორაზე, ახლა ეწოდება ლეღვისწყარო.

**თელოვანი** — სოფ. დიღმის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**თელოვანისხევი** — მდ. მილისხევის სათავე (ბაყაურებისხევსა და დაბლობისხევთან ერთად).

**თემურაღოვის ტყე** — ადგ. ტყე და სათიბი დაბა წყნეთთან, სამადლოს აღმ. სხვა სახელწოდებით — „კაზაჩი პოკოსი", Казачьий покос (ნ.).

**თემქა** — თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლება ღრმაღელეში (თიანეთისაკენ მიმავალ გზაზე).

**თექაძეების უბანი** — უბ. სოფ. გლდანში (სხვა სახელი: ქვემოუბანი).

**თეჯიგები**—მთა და მინდ. დიდი ლილოს სამხრ.-დას.-ით (თელასა და ჯაგების სიხშირის გამო).

**თივის მოედანი** — („Сенная площадь") ადგ. მტკვრის მარცხ. მხარეზე, გორგასლის (თათრის) მოედნის დასავლეთით.

**თინაანთკალო** — ნაკალოარი სოფ. დიდი ლილოს ჩრდ.-ით (უკავშირდება თინაშვილების გვარს).

**თომას ნაკაფევი** — სათესი ადგ. სოფ. ტაბახმელასთან.

**თონეების მიწა** — სათესი ადგ. და სერი სოფ. ტაბახმელას სამხრ. აღმ-ით; აქ იღებდნენ მიწას თონეებისა და სხვა სახის ჭურჭლის დასამზადებლად.

**თონეთის მოედანი** — რიყინაშვილისა და თუმანიანის ქუჩების გადანაკვეთზე, გორგასლის მოედანთან.

**თოფხანა** — თოფის (იარაღის) შესანახი ადგილი ბატონის (ერეკლე II) მოედანთან. დაახლოებით შეეფარდება ა. აკოფიანის სახელობის ქუჩის ტერიტორიას.

**თრელეები** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**თრელეები** — ქვაბები მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**თუთიანთხევი** — ადგ. დელისის ჩრდ.-დას-ით, მდ. ვერეს მარცხ. ნაპირზე.

**თურაშაულისწყარო** — ახლანდელი რუსთაველის გამზირზე, კომუნარების ბაღის თავზე, XVIII ს. დამდეგს იყო ამ სახელწოდების წყარო (გ. ლეონიძე, ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან, „ლიტ. გაზეთი", 25/I, 1957).

**თუშ-ფშაველთა საცხვრო გზა** — მიემართებოდა თაბორით შინდისისაკენ.

**თხილიანველი** — მინდ. სოფ. წყნეთის (სამადლოს) დას. ტყეში ბევრი ხილის არსებობის გამო.

**თხინვალი** — სოფ. ლისის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**თრილებისხევი** — ხევი სოფ. თელოვანთან.

**იარმუკა** — ბაზარი მუხრან-ბატონის სასახლის წინ (ახლა კოლმეურნეობის მოედანთან). მოეწყო 1886 წ.

**ილგუნიანი** — სხვა სახელით: ავლაბრის ტბა — დაფარა „თბილისის ზღვამ". სწორი სახელწოდებაა იალღუნიანი ან ილღუნიანი; მცენარე ჰალური, ანუ ილღუნი (რუს. Тамариск, бисерное дерево). გავრცელებული იყო ტბისპირა, ჭაობიან ადგილებში (ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ. 32). სწორედ აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდება და იალღუნიანი გადაკეთდა ილგუნიანად.

**ილია** — მთა, უბ. (ნ. ელია).

**ინჟინერთა ბაღი** — უნდა ყოფილიყო სადღაც გოლოვინის (ახლა რუსთაველის) გამზირზე.

**იობის ნაფარეხი** — (ნაფარეხალი) — ადგ. წმინდანისწყლისხევის (ნ.) სამხრეთით.

**იპოდრომი (დელისისა)** — მოიცავს ვრცელ ტერიტორიას საბურთალოს, პავლოვისა და გურამიშვილის ქუჩებს შორის.

**იპოდრომი (დიდუბისა)** — ახლა „სამხრეთ პარკი" (ნ.), ადგ. დიდუბეში, დოღის ადგილი.

**ისანი** — ვახუშტის მიხედვით — ისნი. XI—XII სს. მეტად გაიზარდა მტკვრის მარცხენა ნაპირის მნიშვნელობა, ძველი სოღდებილის (ნ.) ერთ გამაგრებულ ნაწილს ისანი ეწოდა. ისანში იყო მეფის სასახლე. „ყუთლუ-ასლანმა ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისნისა" (ქ. ცხ., I. 314).

**ისკანდერისციხე** — ნარიყალას (ნ.) ერთ-ერთი სახელწოდება.

**ისნის ველი** — მოზრდილი ადგილი ისნის ციხესთან (ქ. ცხ., I, 300).

**იფნარისხევი** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი.

**იფნისბაღი** — ადგ. და უბ. დაბა წყნეთში.

**იშიტუტრუქი** — დასახლ. უბ. თრიალეთის კალთებზე. „იშიტუტრუქის კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმინდისა" (ქ. ცხ., IV, 338). ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, იშიტუტრუქი არის მცენარის (ლანძილი) სახელწოდება, რომლითაც დაფარული ყოფილა ეს ადგილი. აქვე ყოფილა როსტომ მეფის მიერ გაშენებული ბაღები. თ. ბერიძემ დააზუსტა, რომ იშიტუტრუქი ზუსტად მდებარეობდა წავკისისწყლის მარცხ. ნაპირზე (მდინარესა და კოჯრის გზას შორის, მთაზე). მისი აზრით, სოლოლაკისა და იშიტუტრუქის ქედების სახელი იდენტურია. ვახუშტის თავის შედგენილ თბილისის გეგმაზე (1735) აღნიშნული აქვს, რომ მდებარეობდა მთაწმინდის მახლობლად.

**კაზაჩი პოკოსი** („Казачий покос") — მეორენაირად თემურალოვის ტყე.

**კაკლებისწყარო** — წყარო და ხევი კიკეთთან.

**კაკულის ბაღი** — ვერის უბანში, აბრეშუმკომბინატთან.

**კალა** — თბილისის ცალკე უბანი იყო თავდაპირველად, ჰქონდა თავისი ციხე-კალა, აუშენებია სტეფანოზ ერისმთავარს (ქ. ცხ., I, 223). წარმოიშვა როგორც ციხე-სიმაგრე ძველი თბილისის დასაცავად და თბილისიდან გამოიყოფა სოლოლაკის ხევით (ვახუშტი, „აღწერა...", გვ. 52). კალას ზღუდეს ვახუშტი 1642—1667 წ-ით ათარიღებს. კედელი იწყებოდა ქალაქის ციტადელიდან და მიდიოდა სოლოლაკის ქედამდე და შ. დადიანისა და პუშკინის ქუჩებით აღწევდა ბარათაშვილის უბანს. მტკვართან, კალას სამხრეთით საზღვრავდა

ძველი კალას კედელი, რომელიც ნარიყალასთან წავკისისწყლისხევის პარალელურად მიდიოდა მტკვრისპირამდე. კალაში იყო მეფის სასახლე, სამეფო დაწესებულებები, ეკლესიები, ბაზრები. კალა იყოფოდა ორ უბნად: ზემოუბანი (ნ.) და ქვემოუბანი (ნ.). ჯ. ლომაშვილის აზრით, „კალა" ქვას ნიშნავს (გაზ. „ლიტ. საქართველო", 29 მარტი, 1974).

**კალაის ველი** — ადგ. კალაში (ქ. ცხ., I, 181).

**კალიაევის** (რუსი მოღვაწე) **აღმართი** — ახლა ბარათაშვილის აღმართი, რიყეს აკავშირებს ავლაბართან.

**კალობანი** — კალოუბანი — მოიცავდა ქაშვეთის ეკლესიისა და კინოთეატრ „რუსთაველის" მიდამოებს კეცხოველის ქუჩის ჩათვლით; პიონერთა სასახლეს, სახელმწიფო მუზეუმს, ნაწილობრივ სოლოლაკის ტერიტორიასაც.

**კალობანის (კალოუბნის )ეკლესია** — მდებარეობდა გარეთუბანში (აღნიშნულია თბილისის 1735 წლის ვახუშტისეულ გეგმაზე).

**კარისკარი** — განჯისკარი (ნ.), არაბი გეოგრაფის ალ-ტაბარის ცნობით, თბილისში ყოფილა ხუთი კარი — მოედნისკარი, კარისკარი, პატარა კარი, ანუ მცირეკარი, რაბათისკარი, ანუ ციხისკარი და სოლდებილისკარი. მათ შორის ყველაზე მთავარი ყოფილა კარისკარი, რომელიც მდებარეობდა სამხრ. კედელზე. აკავშირებდა თბილისს ა/კ სამხრ. და აღმ. ქალაქებთან. მათ შორის კართან (ყარსი), საიდანაც, შესაძლებელია, წარმოიშვა მისი სახელწოდებაც.

**კარლ მარქსის მოედანი** — ადრინდელი სახელწოდებით—ვორონცოვის მოედანი (ნ.).

**კაჭკაჭისხევი** — ხევი და წყარო სოფ. გლდანის ჩრდილოეთით.

**კახეთის გზა** — სხვა სახელით დაღესტნის გზა — იწყებოდა კახეთის (ახლა შაუმიანის) მოედანთან.

**კეჭათწყარო** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**კვარათხევი** — (კორათხეთი) — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**კვეხეთი** — ნასოფლ. და მთა (988 მ) ბეთანიის დასავლეთით.

**კვეხეთისწყალი** — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი.

**კვირაცხოველი** — ადგ. და ეკლესია კალაში, ზემოუბანში. მდებარეობს ახლანდელი ავლევის ქუჩის (ძველი თომას ქუჩა) ტერიტორიაზე.

**კვირიკობის მთა** (680 მ), „თბილისის ზღვის" ჩრდ. სანაპიროზე.

**კვირიკობისხევი** — მდ., (მშრალხევი), ჩაედინება სამგორის არხში. სიგრძე — 8,9 კმ, სათავე — 865 მ, შესართავი — 536 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან.

**კვირტაციხე** — ნაციხარი, მთა ოქროყანის სამხრეთით.

**კვრინჩხები** — ტყე, ველი სოფ. დილმის ჩრდილოეთით.

**კიდობანები** — უბ. სოფ. დილომში.

**კიკეთი** — სოფ. კოჯრის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი); საგარეუბნო სამთო-კლიმატური კურორტი, საყარაულოს ქედის აღმ. ნაწილში, 1200-1250 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 20 კმ მანძილზე სამხრ.-დასავლეთით.

**კირჰა (კიროჩნი)** — ქუჩა და უბ. მარჯანიშვილის მოედანთან. წინათ აქ გერმანული ეკლესია (კირჰენ) იყო და სახელწოდებაც მისგან წარმოსდგა.

**კლდეკარი** — ადგ. და ტყის ნაკვეთი ორთაჭალის სატყეო მეურნეობის ტერიტორიასთან, თელეთის ქედზე, თბილისის გარეუბანში.

**კლდისუბანი** — ხევი და უბ. სოფ. კოჯორში.

**კლდისუბანი** — მდებარეობდა თანამედროვე აზიზბეკოვის ქუჩის ბოლოს, მაღალ ადგილას, ქვემოუბანში. ი. გრიშაშვილის მიხედვით თბილისის ცენტრი იყო კლდისუბანი — თათრის მოედნის ზემო ნაწილი ფეთხაინამდე (ნ.). მოხსენიებულია 1695 წ. ნასყიდობის წიგნში. აღნიშნულია თბილისის 1735 წლის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**კლდისწყარო** — წყარო ბარონის ტყეში (ნ.).

**კოზმანისუბანი (შემოკლებით კოზმანი)** — დღევანდელი ენგელსის ქუჩის სამხრ. ნაწილში, ქვემოუბანში (ნ.), უკავშირდება წმ. კოზმანის სახელობის ეკლესიას.

**კოლონია** (გერმანელების) — ალექსანდერდორფი (ნ.).

**კოლოტაანთფერდი** — ადგ. „თბილისის ზღვის" აღმ., იქ, სადაც არხის წყალი ზღვაში ჩაედინება.

**კოლიუჩაია ბალკა (Колючая балка)** — ხევი, თანამედროვე მოსკოვის ხევსა და რუსთაველის მოედნიდან ეშვებოდა მტკვრის სანაპიროსაკენ, დაფარული იყო ტყე-ბუჩქნარით, სადაც იმართებოდა საქანელა, დღესასწაულები. აღნიშნულია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**კოლმეურნეობის მოედანი** — ყოფ. რუსის ბაზარი (ნ.), მოედანი (იქვეა ამავე სახელწოდების ბაზარიც).

**კომკავშირის ხეივანი** — ადგ. სოლოლაკის ქედზე.

**კომუნარების ბაღი** — ან ყაბახი (ნ.).

**კონიაკის დასახლება** — ახალი დასახლ. უბ. კონიაკის ქარხანასთან. ღრმაღელეში.

**კორათხევი** — ნასოფლ. და ტყე სოფ. დიღმის დასავლეთით.

**კორობები (კორომები)**—ველი სოფ. დიდი ლილოს ჩრდ.-დას.-ით. გადმოცემით აქ მეფე ერეკლე თავის ჯარს წვრთნიდა (დღეისათვის მისი ერთ-ერთი ნაწილი თბილისის ფარგლებშია).

**კორქეები** — ადგ. შუბლასმთასთან, სოფ. ბაგების სამხრეთით.

**კორქისხევი** — მდ. (მშრალხევი), მტკვრის მარჯვ. მხარეზე, სოფ. ბაგებთან, ჩამოდის უძოს მთიდან.

**კოშკისსერი** — ნასოფლ. მდ. დიღმისხეობაში.

**კოჯორი (კოჟორი)** — სოფ. და საგარეუბნო სამთოკლიმატ. კურორტი თბილისის სამხრ.-დას-ით, 1350-1400 მ სიმაღლეზე. ძველად სოფლების—ტაბახმელას, წავკისს, ოქროყანასა და შინდისთან ერთად ცნობილი იყო „აგარანის" (ნ.) სახელწოდებით, წარმოადგენდა თამარ მეფის რეზიდენციას. XV ს. ეკუთვნოდა სოლოღაშვილებს. 1568 წ. ქართლის მეფე სვიმონმა ამ მიდამოებში დაამარცხა თურქები. კოჯრის ტერიტორიაზეა: უძოს, საყვირისმთის, გუდელისის, ჯიგრაშენის, ნახლაჯევის, დიდველის, ელფეას, დიდებულის და სხვათა უბნები.

**კოჯრის გზა** — ერთი მიდიოდა კოჯრისაკენ, მეორე — სოლოლაკის ქედით აგრეთვე კოჯრისაკენ. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**კოჯრისციხე** — მდებარეობდა კურ. კოჯორთან. ვახუშტი მას აზეულასციხეს უწოდებს; ზოგიერთ წყაროში აგარანისციხედ იწოდება. გვიან, შუა საუკუნეებში ქოროღლისციხეც შეურქმევიათ.

**კოჯრისკარი** — წავკისისკარი (ნ.), მდებარეობდა კალას ჩრდ. კედლის შუა ნაწილში, კედლის დას. კუთხეში იყო შაისტახტი (ნ.), აღმ. კუთხეში კი — დილმისკარი (ნ.); მდებარეობდა იქ, სადაც ლესელიძის ქუჩა ლენინის მოედანს უერთდება. იმ ადგილას დღეს თბილისის საქალაქო საბჭოს შენობა დგას (ი. გრიშაშვილი). აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე (კალას ჩრდ. კედლის შიგნით).

**კრუგი** — საჰიდაო ადგ. სოფ. გლდანში (ალბათ წარმოსდგა რუსულიდან круг,-ე. ი. წრე).

**კრწანისი** — მდ., მოედინება თრიალეთის მთაწმინდიდან და უერთდება მტკვარს თბილისის აღმოსავლეთით.

**კრწანისი** —ძველად სოფ. თბილისის გარეუბანში, მასვე მიეკუთვნებოდა ორთაჭალის ბაღებიც (450 —500 მ სიმაღლეზე) კრწანისის ხეობაში. აქ მოხდა ცნობილი ბრძოლა 1795 წელს. XVI—XVII სს. კრწანისის ქვედა ნაწილს ახალუბანი (ნ.) ეწოდებოდა; აქ ყოფილა კრწანისის ვრცელი ბაღები, თბილისის ალმ-ით, მტკვრის მარჯვ. მხარეზე. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**კუი** — წყარო სოფ. დიღომთან.

**კუკია** — ძველად სოფელი, ამჟამად უბ. თბილისში. კუკიის ვრცელი ტერიტორია დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე და წარმოადგენდა ცალკე ადმინისტრაციულ უბანს (IX). მდებარეობდა „კოლონიას" და ჩუღურეთს შორის, მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ძირითადად მოიცავს შირშოვის, როსტოვის, ნორიოს, კოჩეტკოვისა და სხვა ქუჩების ტერიტორიას. იწყება „მალაკნების ბაზრის" (ნ.) მახლობლად მდებარე ხიდთან, წინათ აქვე ყოფილა სოფ. ახალსოფელი (შეუერთდა თბილისს 1824 წ.).

**კუკიის (ზემო) ტბა** — 1952 წ. დაფარა „თბილისის ზღვამ".

**კუმისის ტბა** — იაღლუჯისა და თელეთის ქედებს შორის. ფართობი — 3,26 კვ კმ, სიგრძე — 2,8 კმ, უდიდესი სიგანე — 1.16 კმ. მასში ჩაედინება პატარა მდინარეები — უკანხევი (ნ.) და ბულამისხევი (ნ.). თელეთის მექანიკური არხით ტბა ივსება მტკვრის წყლით, აშენებენ თევზს.

**კუმისის გზა** — იწყებოდა ავლაბარში და მიდიოდა ჩრდ.-დას-ით. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**კუნკულაანთუბანი** — უბ. სოფ. დიღომში.

**კურდღლისჭალა** — ადგ. სადღაც ავლაბარში (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**კუს (ქორჭის) ტბა** — ვაკეში, მამადავითის მთის ძირში, 691 მ სიმაღლეზე, ფართობი 9500 კვმ, უდიდესი სიგანე — 90 მ, უდიდესი სიგრძე — 280 მ. იკვებება ატმოსფერული ნალექებით (მლაშეა).

**ლაბორატორიის დასახლება** (Лабораторное поселение) —უბა-

ნი, „კოლიუჩაია ბალკას“ (ნ.) სამხრ-ით, მოსკოვისხევის პარალელურად. აღნიშნულია თბილისის 1896 და 1920 წ. გეგმებზე.

**ლაგერნაია** — მთა (6698), თბილისის ზღვის ჩრდილოეთით.

**ლამაზველი** — ადგ. დიდვარცლეების (ნ.) სამხრ.-დას-ით, მდ. ვერეს მარჯვ. ნაპირზე.

**ლარიანთველი** — მინდ. დაბა წყნეთში (ეკუთვნოდა ლარიაშვილებს).

**ლასტისციხე** — ნაციხვარი და ნასოფლ. მდ. ვერეს ხეობაში.

**ლასტისციხისხევი** — მდ. ვერეს მარჯვ. შენაკადი (იქ არსებული ლასტისციხის გამო).

**ლეკების ნასადგომარი** — ტყე სოფ. დიღომთან (გადმოცემით აქ ლეკები აფარებდნენ თავს).

**ლეკისქვა** — ქვიანი ადგ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით (აქვეა გამოქვაბული, რომელსაც ლეკების სადგომად მიიჩნევენ).

**ლელობი** — ნასოფლ. ლისის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი), მდებარეობს თბილისის დას-ით („ლელი“ — „წვრილი ლერწამი“, საბა).

**ლელუბანი** — ნასოფლ. იალნოს ქედზე. თბილისიდან ჩრდ.-აღმ-ით. ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1722 წ. (მ. ჯანგიძე. ლელუბანი. „თბილისი“, 20/X, 1973).

**ლელუბნისწყალი** — სხვა სახელწოდებით გლდანისწყალი (ნ.), რიყე.

**ლენინის მოედანი** — თავდაპირველად მას „შტაბის“ მოედანი ეწოდებოდა. 1829—1830 წწ. პასკევიჩის მიერ ერევნის ციხე-სიმაგრის აღების გამო ეწოდა ერევანსკის (ნ.) მოედანი, ანუ პასკევიჩ-ერევნელის მოედანი, მდებარეობდა გარეუბანსა და შუაბაზარს შორის. მოედნის შუაგულში დიდი ბაზარი იყო, აქედან იწყებოდა სოლოლაკი (თანამედროვე კიროვის ქუჩა), ვერცხლის რიგი (ლესელიძის ქუჩა, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტი) და სხვ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეწოდა ჯერ „თავისუფლების“, მერე კი „ამიერკავკასიის“ მოედანი (სამი რესპუბლიკის ფედერაციის აღსანიშნავად). მოედანს შემდეგაც შეეცვალა სახელი. 1953 წ. ეწოდა ლენინის სახელი.

**ლენინისი** — სოფ. თბილისის ზღვის ჩრდ.-აღმ-ით (გარდაბნის რაიონის გლდანის სას. საბჭო).

**ლეღვთახევი** — მდ. წავკისისწყლის (ნ.) ერთი ნაწილის სახელწოდება (მონაკვეთი, რომელიც კომკავშირის ხეივნის ტერიტორიაზე მიედინება).

**ლეღვიანიჭალა** — ადგ. ვიწროებისფერდობის (ნ.) კალთებზე, სოფ. ბაგებთან.

**ლილახანა** — სხვა სახელით — სამღებროსუბანი (ნ.).

**ლილო** — დაბა, დიდი და პატარა ლილო (გარდაბნის რაიონი). რკინიგზის სადგური ლილო —თბილისის საქარხნო რაიონშია. როგორც ვახუშტი აღნიშნავს თავის გეგმაზე (1735 წ.), თბილისში ყოფილა აგრეთვე „შრომის ლილო", რომელიც ქალაქს აღმოსავლეთიდან ეკვროდა.

**ლილოს გზა** — ასე უწოდებს ვახუშტი ბატონიშვილი ბებუთასბაღიდან (ნ.) სოფ. ლილოსაკენ მიმავალ გზას.

**ლილოხევი** — მდ. (მშრალხევი) ორხევთან ერთვის ქვ. სამგორის არხს.

**ლისის ტბა** — მდებარეობს თბილისიდან ჩრდ.-დას. 5-6 კმ მანძილზე, მტკვრის მარჯვ. მხარეზე, 630 მ სიმაღლეზე ზღვ.დონიდან, სოფ. ლისის მახლობლად. უდიდესი სიგრძე 1 კმ, უდიდესი სიგანე — 750 მ, სიღრმე — 3 მ, ტბის ფართობი — 0,52 კვმ. ძირითადად იკვებება მიწისქვეშა წყლებით და ატმოსფერული ნალექებით. საზაფხულო დასასვენებელი ადგილი, საწყლოსნო სადგური. სახელწოდება ლისის მრავალი განმარტება არსებობს. ზოგი მას ფლორონიმ ლიას (ჭაობის მცენარე) უკავშირებს (ი. მაისურაძე, „საიდან წარმოსდგა ლისის ტბის სახელწოდება". თბილისი, 11/II, 1969). იგივე მცენარე ლისის (БОЛОТНИЦА) ფორმითაც არის დადასტურებული (ა. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 84, შდრ. სოფ. ლისა ზნაურის რაიონში, სოფ. ლია წალენჯიხის რაიონში). გ. ლეონიძის აზრით „ლისი" ნიშნავს ტბის ჭავლს. ქართლში ამ ტერმინით „სახლის ნაპირა კედელს" აღნიშნავენ (გ. ლეონიძე, „ნამცვრევი"). ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ლისი გაცრილ ქვიშობსაც ეწოდება. ასევეა რაჭაში, ლისი — სილა — წვრილი ქვიშა (ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, იმერულ და რაჭულ თქმათა, 27). ვახუშტის მიხედვით ლისი ყოფილა თბილისის (IV საპასპეტოს) საზღვრებში.

**ლისი** — სოფელი, სასოფლო საბჭოს ცენტრი (მცხეთის რაიონი).

**ლისის ქედი** — საწკეპელა — სათოვლიას ქედის აღმ. ნაწილი (მდინარეების — ვერესა და დიღმისწყლის წყალგამყოფი).

**ლოლაძისუბანი** — მტკვრის მარჯვ. მხარეზე არსებული სანაპირო ადგ., თანამედროვე ცირკის შენობის ქვევით. წინათ ამ ადგილას მტკვარი ორ ტოტად მიედინებოდა, შუაში პატარა კუნძული იყო, რომელიც ვინმე ლოლაძეს ეკუთვნოდა. ზაფხულობით ლოლაძის კუნძულთან ნავებით სეირნობა იმართებოდა, ხოლო ზამთრობით აქ ყინულს ამზადებდნენ.

**ლომისხევი** — მდ. დიღმისწყლის მარჯვ. შენაკადი.

**ლოტკინის გორა** (ლოტიკის გორა) — ვრცელი ტერიტორია მახათას ქედის სამხრ. კალთებზე. ეწოდა მუშა-რევოლუციონერის — ლოტკინის სახელი. აქვეა მისი სახ. ქუჩაზე მემორიალური დაფა, რომელიც რსდმპ თბილისის კომიტეტის I არალეგალური სტამბის (1900 წ.) ადგილსამყოფელს მიუთითებს (სადაც მუშაობდა ლოტკინი).

**ლოჭინი** (ლოჭინისხევი, ძველად ომანისხევი) — ხევი და მდ., მოედინება იალნოს ქედის სამხრ. ფერდობზე, წარმოიქმნება მდ. ნორიოსწყლისა და მარტყოფისწყლის შეერთებით. ვაზიანთან მას ერთვის საცხენისისწყალი, რომელიც იქვე იალნოს ქედიდან მომდინარეობს. მდინარის სიგრძე 43 კმ, სათავე — 1327 მ და შესართავი 351 მ სიმაღლეზეა ზღვ. დონიდან, ერთვის მტკვარს რკინიგზის სადგურ გაჩიანთან. უწინ ყოფილა ამავე სახელწოდების დასახლებაც. ტოპონიმი უკავშირდება „ლოჭს", რაც გაუსხეპავად დატოვებულ მოჭრილ ხეს ნიშნავდა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ადიდებული მდინარის მიერ ჩახერგილი ლოჭი (მ. ჯანგიძე, ისტორიული ლოჭინი, გაზ. „თბილისი", 3/IX, 1974).

**ლურჯი მონასტერი** — დგას მტკვრის მარჯვ. ნაპირზე (ვერაზე), სანაპირო ქუჩის თავზე, კიროვის პარკის ტერიტორიაზე. აშენებულია ქართლის მთავარი ეპისკოპოსის ბასილ იაკობის ძის მიერ. მრავალგზისაა დაზიანებული და შეკეთებული. 1873 წ. დაადგეს გუმბათი.

**ლურჯისერი** — მთა (769 მ) სოფ. გლდანის ჩრდილოეთით.

**ლურჯქედი** — სოფ. გლდანის ჩრდ-ით, ჯოხტანის ხევში (ნ.), სახელი ეწოდა ნიადაგის ფერის (მოლურჯო) გამო.

**მადათოვის კუნძული** — (სხვა სახელებით: ორბელიანის კუნძული, სარდარა). იყო მტკვრის ორ ტოტს შორის, ახლა მტკვრის მარჯვ. სანაპიროს ტერიტორიაა. ძველად თბილისის მცხოვრებთა ნავის საყრელი და მედროშკეთა თავშეყრის ადგილი. სარდალმა დავით ორბელიანმა ხელოვნურად გააღრმავა მტკვრის კალაპოტი თავისი სასახლის წინ (ახლა მარქსის ხიდთან) და ეწოდა ორბელიანის კუნძული. XIX ს. 20-იანი წლებიდან ორბელიანებმა კუნძული დაუთმეს მეგობარ გენერალს მირზაჯან მადათოვს. 1933 წ. მტკვრის მარჯვ. ტოტი მთავარ კალაპოტს შეუერთდა და შეიქმნა ახალი დასახლებული ადგილი (ახლა კუნძული აღარ არის).

**მაისურაძეებისუბანი** — უბ. სოფ. გლდანში (შუა უბანი). დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**მალაკნები** — (Слобода), უბ. თბილისის რკინიგზის სადგურთან, ძირითადად მოიცავს ფიროსმანის (ყოფ. მალაკნის) ქუჩის ტერიტორიას. მალაკნების უბანი ყოფილა სვანეთის უბანშიც.

**მალაკნების ბაზარი** — თბილისის რკინიგზის სადგურის მახლობლად, ხიდთან, ახლა კი იქ საკოლმეურნეო ბაზარია.

**მალაკნისფერდა** — ტყიანი ადგ. სოფ. კოჯორთან (გადმოცემით ვინმე მალაკანს აქ დუქანი ჰქონია).

**მამადავითი** — მთაწმინდა (ნ.) ან განდეგილისმთა, ახლა ფუნიკულიორის პლატო, ქედი, ადგ. ეკლესია, პანთეონი თბილისში.

**მამადალაანთუბანი** — უბ. სოფ. დიღომში.

**მამასახლისის ბაღები** — გარეთუბანში, აღნიშნულია 1735 წლის თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**მამუკასსოფელი** — დიდი დასახლ. უბ. დაწყებული წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან № 31 ქარხნის ტერიტორიაზე, მისი ძირითადი ღერძია ხმელნიცკის სახ. ქუჩა (წინათ ეკუთვნოდათ თავად სუმბათაშვილებს).

**მანდენაანთუბანი** — ადგ. ქვემოუბანში (ნ.).

**მანიანთკარი** — არის დიდი და პატარა მანიანთკარი, სოფ. გლდანის ჩრდ.-დასავლეთით.

**მაჟალოიანი** — საძ. ყეენისგორის ფერდობზე, ქვემო ავჭალის აღმ., სადაც სახლობდნენ მაჟალიშვილები.

**მაჟალოსმიწები** — სახნ. ადგ. კიკეთთან.

**მარმარილოს წყარო** — ყოფილა თანამედროვე ოპერის თეატრის მახლობლად.

**მარტყოფი** — ძველი სახელი აკრიანი — სოფ., სას. საბჭოს ცენტრი გარდაბნის რაიონში. VI ს. აქ მოსულა საეკლესიო მოღვაწე ანტონი, რომელიც მარტო ცხოვრობდა, ამიტომ ამ ადგილს მარტომყოფელი, ანუ მარტყოფი შეარქვეს. იქვე გაშენდა მისი სახელწოდების მონასტერი.

**მარუთაანთუბანი** — ადგ. ქვ. უბანში (ნ.), თათრის მოედანთან.

**მარჯანიშვილის მოედანი** — ყოფ. კირჰა (ნ.).

**მაქოიანი** — ნასოფლ. და საძ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**მაქოიანისხევი** — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**მაღალი ციხე** — ნარიყალას (ნ.) დას. კედელზე არსებული კოშკის სახელი, მდებარეობდა შაისტახტის (ნ.) დას-ით, სადაც ახლა ლესელიძის ქუჩა უერთდება ლენინის მოედანს.

**მაღლაკარი** — სხვა სახელია — წავკისისკარი (ნ.).

**მაღაროსმიწები** — ფერდ. თბილისში, ვაკის სტადიონის სამხრეთით.

**მაყაურები** — საძ. სოფ. დიღმის ჩრდ.-დასავლეთით.

**მაყაურებისხევი** — მდ. მილიხევის სათავე დიღმისწყლის ხეობაში (დაბლობისხევსა და თელოვანისხევთან ერთად).

**მაყვლიანიველი** — სათესი, საძ. და მთა სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით. (მაყვლის ბუჩქის სიმრავლის გამო).

**მაჩხაანი** — ნასოფლ. ლელობის აღმ-ით (გარდაბნის რაიონი). არის ძველი ეკლესია. ძნელბედობის დროს აქედან მოსახლეობა კახეთში გადასახლებულა და დაუარსებიათ ორი სოფელი — ქვ. მაჩხაანი და ზემო მაჩხაანი (მოხსენიებული აქვს ვახუშტის).

**მახათა (მეხთამთა)** — მთა და ქედი ვარკეთილის მასივის ჩრდ.-აღმ-ით (ნ. ელია).

**მახათასსერი** — დაბალი სერი მახათას მთის ძირში.

**მახაროწყარო** — მდ., ხევი სოფ. ოქროყანის სამხრ.-დასავლეთით.

**მახნიანთგორა** — გორა ქვ. ავჭალის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**მ. გორკის სახ. ბაღი** — 1894 წლამდე პუშკინის ბაღი (ნ.), მერე თეატრი და ბაღი „ფანტაზია", მდებარეობს პლეხანოვის გამზირზე.

**მგლისკარი** — სადღაც ავლაბარში უნდა იყოს (ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**მდივნიშვილის მამული** — სოფ. კოჯრის დას-ით (გადმოცემით ეკუთვნოდა მეფე ერეკლე II-ს მდივანს ბარათაშვილს).

**მებაღეთა სასწავლებელი** — მდებარეობდა ამავე სახელწოდების ბაღში, ტერიტორიაზე, მუშტაიდის ჩრდილოეთით.

**მეზანდუკეებისუბანი (რიგი)** — ადგ. ძველად რიყეში. ამზადებდნენ ზანდუკებს (სკივრებს). მოხსენიებულია 1724 წ. ნასყიდობის წიგნში.

**მეთევზეთა რიგი** — ადგ. თათრის მოედანთან (სადაც თევზს ყიდდნენ).

**მეიდანი („თათრის მოედანი", ნ.)** — ახლა გორგასლის მოედანი.

**მეიდნისკარი** — კალას დას. კედელზე, ქვემოკარის (ნ.) მახლობლად.

**მეიდნის ახალი ბაღები** — კალაში, აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**მეკერააანთხევი** — ადგ. სადღაც ძველი დიდუბის ტერიტორიაზე (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**მელისგორა** — ადგ. სადღაც ძველი დიდუბის ტერიტორიაზე. (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**მელისხორო** — წინათ საძოვრები, ახლა უბ. ქვ. ავჭალის ჩრდილოეთით.

**მელიქისუბანი** — ადგ. ქვემოუბანში (ნ.), კალაში.

**მესამე მასივი** — დიდი უბ. სამგორში.

**მესანგრეთა ბატალიონის დასახლება** (Хутор саперного батальона), თბილისის ზღვასთან.

**მეტეხი** (ციხე-ქალაქი) — მდებარეობს მტკვრის მარცხ. ნაპირზე, შემაღლებულ კლდოვან ადგილზე, აქვე მეტეხის დიდი ღვთისმშობლის, ანუ კარის ეკლესია, მეფემან (დიმიტრიმ) „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობლისა" (ქ. ცხ., II, 272). იოანე საბანისძის ცნობით, აქ ყოფილა სატუსაღო (ტუსაღხანა), რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე სადილეგოს, ანუ ჯინჯილხანას სახელწოდებით (ნ.). აღნიშნულია 1735 წლის თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**მეტრომშენი** — უბ. ავლაბარში, ძირითადად დასახლდნენ მეტრომშენებლები.

**მეტრომშენის გორა** — პატარა მთა მეტრომშენის დასახლებასთან.

**მეფის დიდი ბაღები** — გარეთუბანში, აღნიშნულია 1735 წლის თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე (1735 წ.).

**მეფის მოედანი** — ამჟამად ერეკლე II-ს მოედანი, აღნიშნულია თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე (1735 წ.).

**მეფის (ბატონის) ქარვასლა** — სიონისა და ლესელიძის ქუჩების შესაყარზე, შემდეგ ეკუთვნოდა თეკლე ბატონიშვილს.

**მექვაბეთა რიგი** — ბნელი რიგი (ნ.).

**მეპურპლეთა რიგი** (ქესახანა) — პურპლის მკეთებელთა და გამყიდველთა რიგი თათრის მოედანთან (ნ.).

**მეხაშეთა რიგი** — ადგ. თათრის მოედანთან, მოხსენიებულია 1762 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც.ა., ფ. 1450, დავთ. 4, საბ. 224).

**მეხდაკრული** — სხვა სახელით დიდვარცლის მთა (ნ.).

**მეხთამთა** — მახათა (ნ.), ვარკეთილის მასივის ჩრდ.-აღმ-ით, მთა და უბანი.

**მთაბორა (მთაბორი)**—ადგ. ციხე, აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე.

**მთავარეპისკოპოსის საყდარი ან კვირაცხოველი** (ნ.) — ადგ. და ეკლესია კალაში.

**მთავარი ციხე** — ნარიყალა (ნ.).

**მთაწმინდა** — ახლა ფუნიკულიორის პლატო. ლეგენდის მიხედვით, პირველი ბინადარი ყოფილა „13 სირიელ მამათაგან" დავითი (VI ს.). იყო პატარა სამლოცველო; ამიტომ ამ ადგილს „განდეგილს" უწოდებდნენ, შემდეგ აშენდა ეკლესია. იყო უმთავრესად ქალთა სამლოცველო. მთაწმინდა მოხსენიებულია — „ქართლის ცხოვრებაში" (II, 353, 368). 1905 წ. ბელგიელებმა გაიყვანეს ტრამვაი. რეკონსტრუქციის შემდეგ (1938 წ.) გზის სიგრძე უდრის 501 მ, ზედა და ქვედა სადგურებს შორის სიმაღლე 215 მ. აქვეა პანთეონი, რომელიც 1929 წელს გაიხსნა. მთაწმინდა საბაგირო გზით დაუკავშირდა რუსთაველის მოედანს. 1938 წელს მთაწმინდაზე გაშენდა ი. ბ. სტალინის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი. ფართობი 20 ჰა. აქვეა მეტეოსადგური, ელექტროსადგური, პლანეტარიუმი და

სხვ. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე. ყოფილა მონასტერი (იშიტუტრუქის. ნ.) კლდესა შინა („აღწერა“, 54).

**მილიონა** — მთა სოფ. დიღმის დასავლეთით ნასოფლ. კორათხევთან (ნ.)

**მილიწყარო** — მდ., ხევი ოქროყანის ჩრდ.-დასავლეთით.

**მილიწყაროსხევი** — მდ. (მშრალხევი) დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**მილიხევი** — მდ. (მშრალხევი), ერთვის მდ. მტკვარს მარჯვნიდან.

**მირზაბადი** — უბ. გორგასლის მოედანთან, გოგირდის აბანოების მახლობლად.

**მიხასწყარო** — პატარა მდ. და ხევი წყნეთის სატყეოს ტერიტორიაზე.

**მლაშეხევი** — მდ. და ხევი ოქროყანის აღმოსავლეთით.

**მლაშობისხევი** — მდ. (მშრალხევი), ერთვის მდ. ლოჭინს მარჯვენიდან.

**მოედანი** — ახლა ერეკლე II-ს მოედანი.

**მოედნის ბაზარი** — „თათრის ბაზარი“ (ნ.).

**მოედნისკარი** (მაიდნისკარი) — ძველქართულად სანავარდოსკარი (ნ.), მდებარეობდა დაახლოებით სიონის ჩრდ-ით, მტკვრის ნაპირზე. აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**მოედნის სასახლის ადგილი ან ორბელიანების უბანი** (გარეთუბანში).

**მოლდაველთა დასახლება** — დასახლ. უბ. ლოტკინის გორასთან. ძირითადად მოიცავს კიშინიოვის, სვირის, ავიაქიმიისა და ზეკარის ქუჩებს.

**მომწყვდეული ხევი** — ხევი და წყარო სოფ. კოჯრის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**მოსაცური** — მთა და ადგ. სოფ. გლდანის ჩრდ-ით (ცუდი გზების გამო ხშირად ურემი ცურდება).

**მოსკოვისხევი** — მდ., ამჟამად მიედინება მიწისქვეშ და ერთვის მტკვარს (ახლა ლენინის ქუჩა, რუსთაველის მოედანთან).

**მოღნი (მოღნინი)** — უბ. და ეკლესია ქვემოუბანში (ნ.), ახოსპირელის ქუჩაზე, იყო ამავე სახელწოდების ქუჩაც, დატანილია 1896 წლის თბილისის გეგმაზე.

**მრავალგორა** — ადგ. ვიწროებისსერისფერდობზე, სოფ. ბაგებთან.

**მრგვალი მიწა** –– ადგ. ტურბაზასთან (ვაკის სასაფლაოსთან).

**მსხალდიდი** — სოფ. ლისის სას. საბჭოში, ბაგების ჩრდ.-დას-ით და ლისის ტბის ჲას.-ით, მდ. ვერეს მარცხ. ნაპირზე (ცხოვრობენ აზერბაიჯანელები).

**მტკვარი** — საქართველოს დედამდინარე. მოედინება კოლას მთიდან, ვახუშტის მიხედვით, ყოფს „მტკვარი კალას, ტფილისსა და ისანს: ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს **სოლოლაკის წყალი**" („აღწერა...", გვ. 52). კალა თავდაპირველად ყოფილა დაბა, ე. ი. სოფელი, სადაც ვარაზბაკურის მეფობის დროს აუგიათ ციხე.

**მუზეუმის ბაღი** — ახლანდელი კოლმეურნეობის ბაღი (ნ.).

**მურკანაანთუბანი** — სოფ. დიღომში (მურკანი თითქოს კოტორაშვილების წინაპრის სახელია).

**მუშტეიდი (მუშტაიდი)** — XIX ს. 30-იან წლებში დიდი ბაღების სახელწოდება მტკვრის მარცხ. ნაპირზე, თბილისში. ეკუთვნოდა ირანიდან საქართველოში ჩამოსულ შიიტთა სექტის მეთაურს, ირანელ აღა-მირ-ოფეტ მუშტეიდს. 1853 წ. აღნიშნული ბაღები შეისყიდა ხაზინამ სასოფლო-სამეურნეო ფერმისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშტეიდის ბაღს ეწოდა ჯერ გ. ჩოდრიშვილის, მერე ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი. ამჟამად მისი ფართობი საკმაოდ შეკვეცილია და მდებარეობს პლეხანოვის გამზირის ბოლოში, „დინამოს" სტადიონთან, მისი უშუალო გაგრძელება იყო მებაღეთა სასწავლებლის ბაღი, დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**მუხათგვერდი** — უბ. ავჭალის დას-ით (მცხეთის რაიონი). დაარსდა 1935 წ. მანამდე აქ ბაღ-ბოსტნების ადგილი იყო.

**მუხათგვერდი** — ადგ. დიღმისწყლის ხეობაში.

**მუხათგვერდის ტბა** — მდ. დიღმისწყლის ხეობაში, სოფ. მუხათგვერდის თავზე.

**მუხათგვერდისხევი** — მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**მუხათწყარო** — ნასოფლ., ცხენისჭამიახევის (ნ.) ჩრდ.-დას-ით, მდ. ვერეს მარცხ. ნაპირზე.

**მუხაძისტყე** — ტყის ნაკვეთი სოფ. კოჯრის დასავლეთით.

**მუხიანი** — უბ. სოფ. გლდანის აღმ. ნაწილში, მდ. ხევძმარას მარცხნივ.

**მუხრან-ბატონიაანთუბანი** და სასახლე — გარეთუბანში (ნ.), წყლისკართან (ნ.), ავანაანთხევის ორივე მხარეს მდებარე ტერიტორიის სახელი.

**მუხრანთუბანი** — უბ. შუა ბაზართან (ნ.), გარეთუბანში. აქ იყო ეკლესიები, სასახლე,მთავრობის დაწესებულებები, მსხვილი ქარავანსარაები, ვაჭართა და დიდკაცთა სახლები.

**მუხრანისკარი** — წყლისკარი (ნ.), ჩატანებული იყო ნარიყალას კედელში. ამ კარით თბილისში შემოდიოდა მცხეთიდან მომავალი გზის ერთი ტოტი.

**მღვდლისადგილი** — ტყიანი სერი კოჯრის ჩრდ.-დასავლეთით.

**მშრალხევი** — სოფ. გლდანის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**მცირეკარი** — პატარაკარი (ნ.).

**მცირე ხარაზხანა** — პატარა ხარაზხანა (ნ.).

**მწარეღელე** — ხევი ყეენის გორასთან, თბილისში.

**მწარეღელეები** — საძ. ქვ. ავჭალის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**მწვანემშენი** — სოფელი დიღმის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**მწირის (ჯვრის) ტბა** — ჯვრის მონასტერთან.

**მჭედლისკარი** — ადგ. (მისი ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**მჭედლისუბანი** — ადგ. მეტეხის ციხესთან, სადაც თავმოყრილი იყო სამჭედლოები ძველად.

**ნაბამბრევი**—ადგ. და დასახლ. უბ. სოფ. გლდანსა და ზაჰესს შორის (ქარხანა „ცენტროლიტთან").

**ნაბამბრევი** — ადგ. სადღაც ავლაბარში (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**ნაბაღრევი** — მინდ. და უბ. სოფ. ქვემო ლისის დას-ით. მოგვიანებით დასახლდა დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები.

**ნაბაღრები** (ნაბაღევი, ნამარნევი) — ადგ. სოფ. ბაგების დას-ით, წმინდაწყლისმიწების (ნ.) დასავლეთით.

**ნაბაჭურები** — ნასოფლ. და საძ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ნაგომრები** — ფერდ. შუბლასმთასთან, სოფ. ბაგების სამხრეთით.

**ნადიკვარი** — უბ. კრწანისთან, თბილისის აღმ-ით.

**ნადუქნარი** — ადგ. ორთაჭალის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, თელეთის ქუჩაზე (გარდაბნის რაიონი), წინათ აქ გზატკეცილზე დუქანი ყოფილა.

**ნადუღაბრები** — ადგ. ბაგების ჩრდ.-დას.-ით, დიდნატბეურას (ნ.) მახლობლად, მდ. ვერეს ვიწრო ადგილას. თამარ მეფის დროს ყოფილა კაშხალი, წყალი გუბდებოდა და აქედან არხით მიდიოდა დელისისა (ნ.) და ნაციხრისსერის (ნ.) შუამდებარე ველზე მიწების მოსარწყავად (მტკვრამდე).

**ნავთისხევი** — მდ., ერთვის ქვ. სამგორის არხს (გარდაბნის რაიონი), სიგრძე — 15,2 კმ, სათავე —1048 და შესართავი 358 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან.

**ნავთლუღი** — ვახუშტის მიხედვით — ნათლუსი — სადაც „დის ნავთი" („აღწერა", 54). XVIII ს. II ნახევარში სოფელი ყოფილა. მოგზაურ გიულდენშტედტის ცნობით სოფ. ნავთლუღში ცხოვრობდა 50 კომლი; მათ ჰქონდათ საკუთარი ციხე-კოშკი, რომელიც ყაფლანიშვილებს ეკუთვნოდათ. რკინიგზის გაყვანის შემდეგ უშუალოდ დაუკავშირდა თბილისს. აქ იყო ნავთობის ჭაბურღილები (საიდანაც მიიღო თავისი სახელწოდება). ნავთლუღის ქედის ტერიტორიას და თბილისის მხარეს სამხრ. მტკვრისაგან გამოყოფდა ვრცელი ადგილი დირსიჭალა (ნ.), ნავთლუღი, როგორც თბილისის ნაწილი აღმოცენდა მხოლოდ XIX ს. დამდეგს, როდესაც მეფის მთავრობამ აქ დაასახლა გადამდგარი ჯარისკაცები და რუსი მოხელეები — ადგილის კოლონიზაციის მიზნით (ნ. ერეკლესციხე).

**ნავისწყალი** — წყარო სოფ. კოჯრის სამხრეთით.

**ნაზარველები** — საძ. და მთა-ტყიანი ადგ. სოფ. კოჯრის სამხრეთით.

**ნაზვრები** — ადგ. სოფ. დიღმის სამხრ.-აღმ-ით (ყოფ. საბატონო ადგილი), გაშენებული იყო ზვრები, ამჟამად დასახლებული უბანია.

**ნათლისმცემელისსერი** — სხვა სახელებით — სათოელე მთა (645 მ), ლისის ტბის ჩრდ. ფერდობზე.

**ნაკალოარი** — ადგ. შუბლასმთასთან (ნ.), სოფ. ბაგებთან.

**ნაკარევი** — ადგ., სადაც კარი იყო (მდებარეობდა მეტეხის გალავანში), კალაში.

**ნალავემები** — ადგ. თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანასთან. წინათ აქ სახნავ-სათესი ადგილი ყოფილა.

**ნალბანდების რიგი** — ნალების გამყიდველ ხელოსანთა რიგი თათრის მოედანზე (ნ.).

**ნახლაჯები** — სატყეო უბ. სოფ. კოჯრის ტერიტორიაზე.

**ნამარნევი** (ნაბალრევი, ნაბალები) — ადგ. სოფ. ბაგების დასავლეთით.

**ნამგალები** — ადგ. შუბლასმთასთან, სოფ. ბაგებთან.

**ნამგალამიწები** — ადგ. სოფ. დიღმის სამხრ. დას-ით (მიწის ნაკვეთს ნამგლის ფორმა აქვს).

**ნამწვინისწვერი** — მთის ფერდობის სახელი დაბა წყნეთის თავზე.

**ნაოხარი** — სხვა სახელით „ყია ვეზირის აბანო". ადრე ეკუთვნოდა სუმბათაშვილებს, მდებარეობდა გოგირდისაბანოების უბანში.

**ნარიყალა** — ზედაციხე, შურისციხე, თბილისის (კალას) ციხე, მთავარი ციხე, თავადიციხე, დედაციხე, მაღალიციხე, თბილისის მკვიდრი მაჰმადიანები ისკანდერისციხეს უწოდებდნენ. მდებარეობს სოლოლაკის მთაზე, გადაჰყურებს მთას. ნარიყალა ეწოდება საკუთრივ ციხესა (კალას, ნ.) და მის გარშემო ადგილს. გ. ლეონიძის აზრით, ნარიყალა არის მომცრო ზღუდე, გალავანი, რიყის ქვით ნაშენი. ნარიყალები ბევრი ყოფილა ქართლ-კახეთში (შდრ. ციხე-სიმაგრე ნარინ-ყალა დერბენდში, გაზ. „იზვესტია", 19/XI, 1973 წ., გვ. 4).

**ნარუსელა** (ნარუსალა) —მინდ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**ნარხაჯები** — დაბლ. ადგ. სოფ. კიკეთთან.

**ნასამგლისსერი** — სერი სოფ. კიკეთთან (ნაწარმოებია სანგრილან).

**ნასომხარი** — ნასოფლ. ახალსოფლის სას. საბჭოს ტერიტორიაზე (გარდაბნის რაიონი).

**ნასოფლარი** — ადგ. სახელწოდება ძველ პატარა ლილოში, თანამედროვე სოფ. პატარა ლილოს ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**ნასაყდრისხევი** — მშრალიხევი სოფ. ოქროყანის სამხრ.-დასავლეთით.

**ნატბეები** — ადგ. სოფ. დიღმის აღმ.-ით. ახალდასახლებულია (წინათ აქ ტბა ყოფილა).

**ნატბეურა** — ადგ. სოფ. ბაგების სამხრ.-დას-ით. გზის ორივე მხარეზე მდ. ვერეს ხეობამდე.

**ნატუსები** — ნასოფლ. მდ. მილიხევის სათავეში (დიღომთან).

**ნაფეტვარა** — სათ. ადგ. სოფ. კიკეთთან.

**ნაფეტურებისსერი** — ნაფეტურებისხევი (ნ.).

**ნაფეტურებისხევი** — მდ. (მშრალხევი), წმინდაწყლისხევის (ნ.) ჩრდილოეთით.

**ნაფოსტარი** — ადგ., სადაც წინათ ფოსტა იყო და იდგა დაცვა. სოფ. გლდანთან (ქვ. ავჭალის აღმოსავლეთით).

**ნაფოტაველი** — ველი ბარონისტყესთან (ნ.).

**ნაქულბაქევი** — ნასოფლ. და დაბლ. ადგ. სოფ. დიღომთან. დიღმის ველზე არსებული ყოფ. „დიდი მცხეთის" უბანი. ახლა იმ ადგილას დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა (ქულბაქი იგივე დუქანია).

**ნაღარხანა** — ადგ. ბატონის მოედანთან (ნ.), სამხრეთ ნაწილში. პუპლი ორბელიანის თქმით, „რომელსაცა უწოდებდნენ ნაღარხანად, რაზედაც დაუკრამდნენ დილას, საღამოს დაფდაფებსა და ქოსნაღარას" (მამისა ბერძნიშვილი).

**ნაციხრისსერი** — მცირე სიმაღლის მთა. ყოფს ვაკეს საბურთალოსაგან. ამჟამად მთაზე გაჭრილია ამ ორი უბნის შემაერთებელი გზა.

**ნაძალადევი** — იყო ახალი ნაძალადევი (ნ.) და ძველი ნაძალადევი (ნ.).

**ნაძალადევი** (ნახალოვკა) — დასახლ. უბ. თბილისის დას. ნაწილში (შდრ. ძალათუბანი, ნ.).

**ნაჩხატები** — საძ. და უბ. სოფ. გლდანის ჩრდ-ით, ქვ. ავჭალის აღმოსავლეთით.

**ნახალნი პასიოლოკი** — ძალათუბანი (ნ.).

**ნახშირგორა** — ნასოფლ. მდ. ვერეს ხეობაში, თბილისის ჩრდ.-აღმ-ით. ესაზღვრება ნასოფლარ წყრულეთს.

**ნაჯბადინი** — ადგ. იხსენიებს ვახუშტი სადღაც ავლაბარში (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**ნემცების სოფელი** ან ალექსანდერდორფი (ნ.).

**ნენავისსერი** — ნასოფლ. და სათიბი სოფ. დიღმის სამხრ.-დასავლეთით.

**ნივრის ველი** — სხვა სახელით შუაველი (ნ.).

**ნინაურები** — ადგ. დიღმის მასივში.

**ნიშნისმთა** — სერი კოჯრის დას-ით (გადმოცემით მტრის თავდასხმების დროს ამ ადგილას კოცონს ანთებდნენ ხალხის შესატყობინებლად).

**ნოვოტროიცკის დასახლება** (Новотроицкое поселение), ძველად დასახლებული უბ. თბილისის აღმ-ით, შავსოფლის (ნ.) ჩრდილოეთით.

**ნორაშენი (ნორაშენისუბანი)** — ადგ. და ეკლესია ქვემოუბანში (ნ.).

**ოლგინსკოე** — ამჟამად სოფ. ლენინისი.

**ოლღას დასახლება** — მლაშე ტბების მახლობლად (ახლა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე).

**ომანისხევი (ლომჲინისხევი, ნ)** — ომანისხევი ყოფილა „სამგორსა და ჩადივარს შორის" (ქ. ცხ., IV, გვ. 333).

**ონადირი** — ნასოფლ. და გამოქვაბული მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ორბელი** — სამთო-კლიმატური კურ. თბილისის დას-ით (გარდაბნის რაიონი).

**ორბელიანებისუბანი** — (მეორენაირად ორბელიანთაული), ადგ. 26 კომისრის ბაღსა (ყაბახი) და მტკვარს შუა (გარეთუბანი), საკარმიდამო გალავნის საგუშაგო კოშკის ნაშთებით. მდებარეობს ახლანდელი ორბელიანის ქუჩის მიდამოებში. ყოფილა გალავნით შემოზღუდული, იქვე იყო ადგილობრივი მნიშვნელობის საოჯახო სალაყბო, მოიშალა 1847 წ.— ქალაქის ახალ დაგეგმვასთან დაკავშირებით.

**ორბელიანის კუნძული — მადათოვის კუნძული** (ნ.).

**ორთაჭალა** — დიდი უბანი თბილისის აღმ-ით. წინათ იყო კუნძული მტკვრის ტოტებს შუა.

**ორთაჭალის ბაღი** — ახლა სამასი არაგველის ბაღი. გაშენდა მეფე ერეკლე II-ს მითითებით. ეკუთვნოდა მეფე გიორგი XII-ს. მისი გარდაცვალების შემდეგ ბაღები გადავიდა არქიეპისკოპოსის დოსითეოს ფიცხელაურის ხელში. მდებარეობდა თბილისის აღმ-ით, საკუთრივ მტკვარსა და მის ერთი მცირე ტოტით შექმნილ კუნძულზე, ხარფუხსა, ნავთლუხსა და დირსიჭალას შორის. იყო თბილისელთა დასასვენებელი ადგილი ზაფხულობით. აქ მოუწყეს საზეიმო შეხვე-

დრა ა. პუშკინს. მდებარეობდა საკუთრივ მტკვარსა და მის მარჯვ. ტოტს შორის, ჰქონდა წრისებური ფორმა. მის აღმოსავლეთით იყო დირსიჰალის ბაღები, დასავლეთით — კრწანისის ბაღები.

**ორთახევი** — მდ. (მშრალხევი) ოქროყანის სამხრეთით.

**ორსული კლდე** — კლდე ორთაჭალის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, თელეთის ქედზე (გარდაბნის რაიონი). კლდეს ისეთი ფორმა აქვს, რომ ამართლებს სახელწოდებას.

**ორქვები** — მთა გლდანის ჩრდ.-აღმ-ით (ტყეში ორი ქვის სვეტი არის).

**ორჩაყალა** — მთის ფერდობი ვერისხევში, დაბა წყნეთთან.

**ორხევი** — ხევის და მდინარის სახელწოდება ზემო წელში (ქვემო წელში თეთრისხევად იწოდება), სიგრძე — 15,7 კმ, სათავე — 101,0 მ და შესართავი — 354 მ. სიმაღლეზე ზღვ. დონიდან. ერთვის ქვ. სამგორის არხს.

**ორხევშუა**—მინდ. ნაკვეთი სოფ. კოჯრის სამხრ.-აღმოსავლეთით.

**ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი** — მდებარეობს თბილისში, პლეხანოვის გამზირის ბოლოში, მტკვრის მარცხ. ნაპირზე (ნ. მუშტაიდი). 1935 წ. პარკში გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი საბავშვო რკინიგზა.

**ოსიანთუბანი** — უბ. სოფ. გლდანში (ქვემოუბანი).

**ოქროანთხევი** — ადგ. წითელ სახლთან (ნ.), ბოტანიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე.

**ოქრომჭედლების ბაზარი (რიგი)** — ვერცხლის რიგი (ნ.). მდებარეობდა მეფის მოედნის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ძირითადად ლესელიძის ქუჩა).

**ოქროსუბანი** — ადგ. (რიგი), მოქცეულია მარჯანიშვილისა და ჩელუსკინის ქუჩებს შორის და, მეორე მხრივ, გოგოლისა და კლარა ცეტკინის ქუჩებს შორის (წინათ აქ ცხოვრობდნენ მეეტლეები და ოქრომჭედლები).

**ოქროყანისწყარო** — წყარო და ხევი ოქროყანასთან (ამჟამად თბილისის გარეუბანია).

**ოქროყანა** — ქალაქის უბანი და აგარაკი მთაწმინდის მთის აღმ. კალთებზე, 650—700 მ სიმაღლეზე. 1973 წ. შეუერთდა თბილისს.

**ოხერბაღი** — მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ორთაჭალჰესთან (გორგასლის ქუჩა).

**ოხერხევი**, სხვა სახელით—დიდხევი (ნ.), მდ., ოქროყანის სამხრ.-აღმოსავლეთით.

**ოჩხარჩხის ჩანჩქერი** — თბილისში — ბოტანიკურ ბაღში.

**პანთეონი დიდუბისა** — მტკვრის მარცხ. ნაპირზე. ქართველ მოღვაწეთა პანთეონი, ძველი ტაძრით.

**პანთეონი მთაწმინდისა** მამადავითზე. გაიხსნა 1929 წ.

**პანსიონი** — ნაკვეთი იმ ადგილას, სადაც ახლა კოჯრის სკოლა-ინტერნატია (წინათ ქალთა პანსიონი იყო).

**პანტიანი** — ნასოფლ., სამთო-კლიმატური სადგური თბილისის დასავლეთით.

**პანტიანი**—საძ. ტყის ნაკვეთი, ველი, სოფ. დიღმის დასავლეთით.

**პასკევიჩ- ერევანსკის მოედანი** — ახლა ლენინის მოედანი (ნ.).

**პატარა გლდანი** — სოფ. დიდი გლდანის ნაწილი.

**პატარა ვანი** — წყარო წყნეთის სატყეოს ტერიტორიაზე.

**პატარა ვარცლა** — მთა დიღმისწყლის ხეობაში, სოფ. დიღომთან.

**პატარაკარი (მცირეკარი, ნ.).** — ყოფილა ყველაზე პატარა და დაბალი თბილისის კართა შორის (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, ტ. II. 1965, გვ. 66).

**პატარა ლილო** — სოფ. თბილისის ჩრდ.-აღმ-ით, შედის გარდაბნის რაიონში (სიმაღლე 1100 მ ზღვ. დონიდან).

**პატარა მანიანთკარი** — ნასოფლ. სოფ. გლდანის ჩრდ.-დასავლეთით (მოსახლეობა აიყარა ლეკიანობის დროს).

**პატარა სირაჯხანა** — ღვინის გამყიდველთა უბ. თათრის მოედანთან (სიონიდან მიმავალი გზის ერთ-ერთი განტოტება).

**პატარა ტბა** — სოფ. გლდანის აღმოსავლეთით.

**პატარა ჩორსუ**—ადგ. და ბაზარი დიდი ჩორსუს (ნ.) მახლობლად.

**პატარა წყარო**—(მშრალიხევი)—წყარო ოქროყანის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**პატარა ჭანჭრობი** — მინდ. ტყეში, სოფ. დიღომთან.

**პატარა ხარაზხანა** — ხარაზების უბ. სიონის მახლობლად. მოხსენიებულია 1771 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 22, საბ. 13).

**პატაშურები** — საძ. ველი სოფ. დიღმის დასავლეთით.

**პატრების საყდრისუბანი** — ძირითადად მოიცავდა დღევანდელი პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე ეკლესიის ტერიტორიას. მოხსენი-

ებულია 1733 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 24, საბ. 84).

**პეტასწყარო** — წყარო და ხევი სოფ. დიღმის ალმ.-ით (წყარო ეკუთვნოდა ვინმე პეტა ზოიძეს).

**პეტრეპავლეს დასახლება** — პეტრეპავლეს სასაფლაოსთან თბილისში.

**პლანეროდრომი** — ახლანდელი ვაკის პარკის ტერიტორიის ძველი სახელწოდება (სადაც წინათ პლანერებით ვარჯიშობდნენ).

**პლატონას დუქანი** — დუქნისა და ადგ. სახელწოდება აკჰალის გზატკეცილის დასაწყისში (მოიცავს მცირე ზომის უბანს).

**პურის მოედანი** (Хлебная площадь) — მიასნიკოვის, კაშენის, ამიზბეკოვის, ენგელსისა და რიყინაშვილის ქუჩების გადაკვეთამდე, აბასაბადის (ალავერდოვის) და თონეთის მოედნებს შორის.

**პუშკინის სკვერი** — თბილისში, ლენინის მოედანთან. პუშკინის სახელი ეწოდა 1892 წ., როდესაც მისი ძეგლი დადგეს. ადრინდელი სახელია „ახალი ბაღი" (ნ.).

**პუშკინის ბაღი** — ეწოდება ბაღსა და საზაფხულო თეატრს თბილისში. მიხეილის (ახლა პლეხანოვის) გამზირზე. 1894 წ. მისმა მეპატრონემ სახელი შეუცვალა და უწოდა „თეატრი და ბაღი „ფანტაზია" (ნ.). ახლა გორკის სახ. ბაღი.

**რაბათისკარი**—ციხისკარი (ნ.), გარეთუბნისკარი (ნ.), აერთიანებდა ციხეს რაბათთან.

**რაუდენასბაღი** — ვერის უბანში, ჩადიოდა მტკვრის სანაპირომდე.

**რიყე** — მოზრდილი უბ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. 1809 წ. თბილისის გეგმაზე აღნიშნულია ორბელიანის კუნძულთან (ახლა პეტრიწის ქუჩაა), XIX ს. 20-იან წლებში მდინარის ტოტი შეთხელდა, ხოლო შემდეგ სულ მოისპო, შემოკავებულ უბანზე სასწრაფოდ დაიწყო მშენებლობა. მტკვრის ტოტის დინების ძველ ადგილს რიყე ეწოდა. არის მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ბარათაშვილის აღმართიდან სანაპიროს გაყოლებით. 1972 წ. დიდი წყალდიდობის შემდეგ სრულიად გაიწმინდა ნაგებობებისაგან და ძველი რიყისაგან აღარაფერი დარჩა. 1896 წ, თბილისის გეგმით მდებარეობდა მტკვრის მარცხ. ნაპირზე.

**რიყე** — გლდანისწყალი (ნ.).

**რიყიანი** — უბ. გლდანში (ნ.),თბილისში შემოსასვლელ გზაზე.

**რიყიანველი** — სერი სოფ. დიღმის დასავლეთით.

**რკინისციხე** — ციხის ნანგრევები დაბა წყნეთის თავზე, სამადლოსთან.

**როზოვი** (ვარდისფერი) — მოედანი ავლაბარში, ბაზრის მახლობლად.

**როსტაბაზარი — ჩორსუ (ნ.) ან გრძელი ბაზარი.** მდებარეობდა ბატონის მოედანსა და თათრის ბაზარს შორის. დამახასიათებელი იყო ვიწრო სავაჭრო კვარტალები, შემოკავებული იყო კამარებით და მათი მილებით ბაზარში სინათლე შედიოდა. როსტაბაზარი სპარსულად ნიშნავს „ერთ მწკრივზე განლაგებულ სავაჭროთა რიგს". ტერიტორიულად მასვე მიეკუთვნებოდა სირაჯხანა, მოხსენიებულია 1679 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 5, საბ. 87). 1800 წ. მას დიდი ბაზარი ეწოდა.

**როსტომ მეფის სასახლე** — მდებარეობდა ანჩისხატის ქუჩაზე.

**როტონდა** — ასე ეწოდებოდა საძოვრებს ფუნიკულიორის მიდამოებში, როტონდა მრგვალი, ანუ ნახევრადმრგვალი შენობაა გუმბათით (როდესაც აქ ბელგიელებმა ტრამვაის ხაზი გაიყვანეს. ზედა სადგურზე დადგეს მრგვალი შენობა, რომელსაც როტონდა ეწოდებოდა).

**რუისბოლო** — სოფ. ქესალოს სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**რუსის ბაზარი — სალდათის ბაზარი** (ნ.), ახლა კოლმეურნეობის ბაზარი (ნ.).

**რუსისგორისსერი** — მთა (1405 მ), ლისის ქედის სამხრ. კალთებზე.

**რუსის ნასახლარი** — ადგ. სოფ. დიღმის ჩრდ.-დასავლეთით (ვინმე გადამდგარი რუსი ოფიცრის ნასახლარი).

**საავგურე** — სხვა სახელებით: **საქურო, აგურხანა** (ნ.), მოხსენიებულია 1719 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, საბ. 58).

**საავკაშენისუბანი** — ადგ. ქვ. უბანში (ნ.), ნორაშენის უბანსა (ნ.). და თათრის მოედანს შორის. ეკლესია აუშენებია ვინმე აბედინაანთ საავკას, საიდანაც წარმოსდგა უბნის სახელწოდება.

**საავქლემო გზა** — მიდიოდა ირანიდან თბილისისაკენ, იაღლუჯისა და თელეთის გავლით.

**საავთრისხევი** — მდ. (მშრალხევი), ერთვის ხევძმარას ძვ. ავჭალასთან.

**საბაზიერო უბანი** — მეფის საბაზიერო ადგ. ბატონის მოედანთან. (ნ.) დამგეშველი ფრინველთა — ქორთა, მიმინოთა, შევარდენთა და სხვათა სადგომი ადგილი.

**საბანაკო დასახლება** — (Лагерный поселок) — მთა ლაგერნაიას მახლობლად, ამავე სახელწოდების ქუჩაზე. თბილისის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**საბარგოს დასახლება** — (Товарный поселок) — უბ. სამგორში, წინათ აქ დიდი საწყობები იყო.

**საბატე** — უბ. სოფ. დიღმის ჩრდ. ნაწილში.

**საბატონო მინდვრები** — სოფ. გლდანში.

**საბურთალო** — ვრცელი უბ. თბილისის დას-ით. წინათ საბურთალო-საასპარეზო ადგილი ყოფილა. თბილისს შეუერთდა 1917 წ.

**საბძელგორა** — მთა (625 მ) თბილისის ზღვის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**საგანელიძეებისუბანი** — უბ. სოფ. გლდანში (შუაუბანი).

**საგარეჯო** — „აგარანის" გვიანდელი სახელწოდება XVII-XVIII სს.

**საგოდებელი** (სეიდაბადის უბანში) — ძეგლი-სასაფლაო, მდებარეობდა სოლდებილის (ნ.) გაუმაგრებელ ნაწილში. ივ. ჯავახიშვილი წერს „ისანში, მტკვრის პირას ხიდთან კლდეზე უკვე VIII ს. „სადილეგო", საპყრობილე იდგა. იქვე მახლობლად, მაშინ და შემდეგაც თურმე სასაფლავო „საგოდებელი" ყოფილა" (ქართ. ერის ისტ., ტ. II, 1965, გვ. 33).

**საგოდებლისკარი** — (სულხან-საბა ორბელიანით საგოდისი) — შესაძლებელია იყოს სოლდებილისკარი (ნ.).

**საგუბარი** — ამოქვაბული ადგ. ოქროყანის (სამხრ-ით, სადაც წინათ წყალს აგუბებდნენ, ყინულს ამზადებდნენ და თბილისში მოჰქონდათ.

**სადილეგო** — მეტეხი (ნ.).

**სადილმო შარა** — დილმისკარის (ნ.) მეორე სახელწოდება.

**სავაჭრო რიგი** — შუაბაზარი (ნ.).

**საზამთროს მოედანი** — (Арбузная площадь) — ადგ. მდება-

რეობდა მტკვრის მარჯვ. მხარეზე, გოგირდის აბანოებთან, ახლა სამასი არაგველის სახ. ბაღი.

**სათათრო გზა** — ადგ. ძვ. დიდუბის ტერიტორიაზე (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**სათბურები** — ადგ. სოფ. გლდანთან (გაშენებულია სათბურები).

**სათიბისწყარო** — წყარო მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**სათოვლე** — სხვა სახელით ნათლისმცემლის მთა — დიდგორის ქედზე, სოფ. ლისის ჩრდილოეთით.

**სათოვლე** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**საირმე** — ტბა სოფ. წყნეთის სამხრ.-აღმ-ით, ტბა დაფარულია ლელით. XX ს. დამდეგამდე მის მიდამოებში მრავლად ბინადრობდა ირემი და სახელიც ამას უკავშირდება. დღეს ამ ტბას წავკისის ტბასაც უწოდებენ.

**საირმის ფერდობი** — ადგ., მთა უძოს სამხრ.-დასავლეთით, სოფ. ბაგებთან.

**საკახო გზა** — კახეთის გზა (ნ.).

**საკურდღლისხევი** — მდ., უერთდება მილიწყაროსხევს, დელისის ჩრდ.-დას-ით, თრიალეთის ქედზე.

**სალათგარი** — ადგ. მტკვრის მარჯვ. მხარეზე, თბილისის ბაღების (ნ.) სამხრეთით.

**სალალაკი** — სოლოლაკი (ნ.).

**სალასუბანი** — მდებარეობდა ბატონის მოედანთან (ნ.).

**სალაღობო** — ახლა კომუნარების ბაღი (ნ.) და ადგ. სოფ. დიღომში.

**სალაყბო** — ახლა ერეკლე II-ს მოედანი. თავდაპირველად სალაყბო იყო ერეკლე II-ს სასახლის წინ. XIX ს. 30-იანი წლებიდან სალაყბომ გადაინაცვლა პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე (ნ.), პრესის გავრცელების შემდეგ კი მოიშალა.

**სალდათის ბაზარი** — რუსის ბაზარი (ახლა ბაზარი კოლმეურნეობის მოედანთან, ნ.). წინათ აქ ძველმანს ყიდდნენ, განსაკუთრებით ჯარისკაცები, საიდანაც წარმოსდგა მისი სახელი. დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**სალერწმისხევი** — საძ. ქვემო ავჭალის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**სალოკები** — მინდ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით (მიწა მლაშეა და ნადირი ეტანება მარილის სალოკად).

**სამადლო** — ადგ. სოფ. წყნეთის თავზე (1400 მ ზღვ. დ). ვახუშტის მიხედვით აქ ყოფილა რკინისციხე (ნ.). აქედან იყრება გზები კოჯრისა და მანგლისის მიმართულებით.

**სამადლოსწყალი** — მდ., ერთვის ვერეს.

**სამარხევი (სათავები, წავკისისწყალი)** — ერთვის მდ. მტკვარს მარჯვ. მხრიდან, ნარიყალასთან.

**სამასი არაგველის აღმართი** — ორთაჭალაში.

**სამასი არაგველის ბაღი** — ყოფ. ორთაჭალის ბაღი (ნ.).

**სამგლეგორი** — ხევი თელეთის ქედზე (გარდაბნის რაიონი).

**სამგლეები** — ადგ. ძვ. დიდუბის ტერიტორიაზე (ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**სამგორი** — ველი, მდებარეობს თბილისის აღმ-ით, სამგორის ტერიტორიაზე. რამდენიმე მლაშე ტბა იყო, რომლიდანაც შეიქმნა თბილისის (სამგორის) წყალსაცავი (ნ.), ახლომახლო ადგილებს კი სამგორი ეწოდა (ლეგენდის თანახმად სამი გორის მიხედვით).

**სამგორი** — დაბა, ყოფ. რაიონის ცენტრი (1973 წლამდე).

**სამდივნო** — **მდივანხანა** (ნ.) — ქართველ მეფეთა დაწესებულება (ქართლის მეფის სვიმონის სასახლეში).

**სამებისუბანი** (Троицкое поселение) — უბ. შავსოფელთან (ნ.).

**სამების ქედი** — მდებარეობს სოფ. გლდანის დასავლეთით.

**სამღებროს უბანი** — თბილისში რამოდენიმე დიდი სამღებრო იყო: სამღებროსუბნის სახელწოდებით ცნობილი იყო მღებავთა რიგი თათრის მოედანთან (შეესაბამება თანამედროვე სამღებრო ქუჩის ტერიტორიას), მეორე სამღებროსუბანი (ლილახანა) მდებარეობდა ვერცხლის რიგთან (ამჟამად ლესელიძის ქუჩა) ბატონის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე.

**სამრეწველო გამოფენა** — მუდმივი გამოფენა საქართველოს სახალხო მეურნეობის პროდუქციისა, მდებარეობს დიდუბის ტერიტორიაზე (გაიხსნა 1959 წ.).

**სამხედრო მოედანი** — ყაბახი (ნ.), ახლა კომუნარების ბაღი (ნ.).

**სამხრეთისკარი** — კარისკარი (ნ.).

**სანავარდოსკარი** — მოედნისკარი (ნ.).

**სანალუე** — სახ., საძ., სოფ. დიღმის ჩრდ.-დასავლეთით.

**სანიტარული ზონა (სანზონა)** — მოზრდილი უბ. „პლატონას დუქანთან" (ნ.). მოიცავდა ხეხილის ბაღების დიდ ფართობს (ავჭალის

გზატკეცილის მიდამოებში — ქსნის, ვაზისუბნის, არბოს ქუჩები, ქალაქის VIII საავადმყოფო). დიდძალი მწვანე სამოსელის გამო სანიტარული ზონა შეარქვეს.

**სანკა ან სრიალა წყარო**—დაბა წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე (სანკა საკუთარი სახელია).

**სარაჯიანთბაღი** — სოფ. დიღომში, დიღმისწყალზე (ეკუთვნოდა ვინმე სარაჯიშვილებს).

**სარდარის კუნძული** — ორბელიანის კუნძული (ნ.).

**სარიკლდე** — კლდიან-ტყიანი ადგ. დაბა წყნეთის სამხრ.-დასავლეთით.

**სარიმაჯისუბანი** — ადგ. ზარაფხანის (ნ.) სამხრ.-აღმოსავლეთით. სარიმაჯი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „უღელს", ე. ი. უღლის შემკეთებელ ხელოსანთა რიგი (მ. ბერძნიშვილი. „თბილისის გარევანი სახე XVIII ს." თბ., 1965); მოხსენიებულია 1716 წ. მამულის გაცვლის წიგნში (საქ. ხ. ი., ფ. Hd, საბ. 13, 004; საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 15, საბ. 99).

**სასაკლაოსხევი ან დამპალო** (ნ.).

**სასარიხევი** — ხევი და ადგ. სოფ. დიღომთან.

**სასახლისუბანი** — ციხისუბანი (ნ.).

**სატიო (სატივო)** — ასე იწოდებოდა მტკვრის მარჯვ. სანაპიროსთან ადგ., დაახლოებით რესტორან „არაგვი"-დან ჩელუსკინის ხიდამდე. ამ ადგილამდე მოდიოდა შეკრული ტივები, აქ ტივებს დაშლიდნენ და მორები დასახერხად მიჰქონდათ.

**სატიოსუბანი (სატივოსუბანი)** — ძველ თბილისში ორთაჭალის შემდეგ ყველაზე განთქმული ბაღი.

**სატუსაღო** — მეტეხი (ნ.).

**საურმისხევი** — გზა ნასოფლ. ნახშირგორადან თბილისისაკენ.

**საფოსტე გზა** — კოჯრიდან კუმისისაკენ მიმავალი გზა.

**საფსიტე გზა** — ტყიანი ადგ. მშრალხევთან (გლდანის დას-ით), სადაც წინათ ფსიტები (არჩვები) ბინადრობდნენ.

**საქანელას დაღმართი** — უბ. სამაიას ბაღთან, მტკვრის მარჯვ. მხარეზე გამართული იყო საქანელა, გასართობი ადგილი, კოლიუჩაია ბალკას (ნ.) ნაწილი.

**საქერეები** — ადგ. და საძ. სოფ. დიღომთან.

**საქნავთის დასახლება** (Поселок Грузнефти) — ახალი დასახლ.

უბ. თბილისის აღმ-ით, რკინიგზის სადგურ ლილოს გარშემო (წითელწყაროს რაიონში ნავთობის საბადოებისა და წარმოების ლიკვიდაციის შემდეგ მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი აქ გადმოსახლდა).

**საქსოფლმანქანათმშენი** (Грузсельмаш) — დასახლება თბილისის აღმ-ით, რკინიგზის სადგურ ლილოს აღმოსავლეთით.

**საქურო**,— აგურხანა (ნ.).

**საღოდებელი** — ადგ., სანახები ისნის ველზე (ქ. ცხ., II, 31).

**საღორეები** — ტყის ნაკვეთი სოფ. დიღომთან.

**საღორისი** — ადგ. კოჯრის ქვემოთ, კიკეთსა და კოჯორს შუა (ვახუშტის მოხსენიებული აქვს როგორც სოფელი).

**საღუდებელი** — იყო ძველი სოღდებილის (ნ.) მეორე გამაგრებული ადგ.

**საყარაულო მთა** (1974 მ.) — კოჯორ-საყარაულოს ქედზე, სოფ. ოქროყანის სამხრეთით.

**საყარაულო** (სხვა სახელით **წითელი კლდე**) — ადგ. და სერი სოფ. დიღმის სამხრ.-დასავლეთით.

**საყარაულო** — ნასოფლ. ახლანდელ წავკისსა და ოქროყანას შორის.

**საყარი** — ველი სოფ. კოჯორთან (საქონლის თავშესაყარი ადგილი).

**საყეენო გორა** — ადგ., დაფარა „თბილისის ზღვამ".

**საყევარა** — ადგ. სოფ. დიღომში.

**საყინულე** — ადგ., წყარო, საყინულე მთაში, სოფ. გლდანის ჩრდ-ით, ბანკის ტყესთან (მეტად ცივი წყალია და საყინულეც ამიტომ შეურქმევიათ).

**საყორნა** — ადგ. მტკვარზე, ივჲალის ზევით (ყოფილა მორევი, რომელიც თურმე ხშირად ტივებს აფუჰებდა).

**საყვირისმთა** — სატყეო უბ. სოფ. კოჯრის ტერიტორიაზე.

**საჩინო** — ერეკლე II-ის მეუღლის დედოფალ დარიას (დარეჯანის) სასახლე, მდებარეობს ღვინის აღმართზე (სირაჯხანა). აშენდა 1776 წ.

**საწკეპელა** — მთა (1580 მ), ნასოფლ. ბევრეთის მახლობლად.

**საწკეპელას ქედი** — გამოყოფს თრიალეთის ქედს მდ. ვერეს სათავისაგან.

**სახაზინო ბაღი** — ახლა ბოტანიკური ბაღი (ნ.).

**სახასო სასახლის ადგილი** — ორბელიანთუბანი (ნ.).

**სახატე** — ადგ. შავნაბადას (ნ.) მთაზე.

**საჯეირნო** — ადგ. თბილისის ზღვასთან (უწინ დიდძალი ჯეირანი ყოფილა).

**საჯოგისპალა** — მდებარეობს სადღაც ლოჰინთან (ნ.), ადგილმდებარეობა ზუსტად ვერ დავადგინეთ. იხსენიებს მეფე ვახტანგ VI ერთ-ერთ ლექსში: „ლოჰინს შეექცნენ კაკაბსა, ჩადივარს მცირე წყალია, საჯოგისპალას მიეიდნენ, ცეცხლს ჰქონდეს მაღლა ალია".

**სევებისხევი** — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**სეიდაბადი** — ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოკურორტების რაიონი. მოედანი გრძელდებოდა თითქმის 5 კმ-ის მანძილზე ქვემოთ, მტკვრის გაყოლებით. ვახუშტის ცნობით შაჰ-სეფის (1629 — 1642) აქ სეიდების ტომი დაუსახლებია და სახელიც აქედან წარმომდგარა („აღწერა"... გვ. 52), აქვე იყო სეიდაბადის ცნობილი ბაღებიც. (სეიდაბადზე ვრცლად იხ. თ. ბერიძის... „და აღმოცენდა თბილისი", 1977, გვ. 53—71).

**სეიდაბადის აბანოები** — ბალნეოკურორტთან თბილისში.

**სეიდაბადის ბაღები** — თბილისის ბაღები (ნ.).

**სეიდაბადისკარი** — აბანოსკარი (ნ.).

**სემიონოვკა** — დასახლ., წინათ ვარდისგორა (ნ.), თბილისში, გოგებაშვილის სახ. ქუჩის თავზე.

**სვანეთის უბანი** — უბ. თბილისში. თავდაპირველად დასახლებული იყო სვანებით, შემდეგში ეწოდა შრომისუბანი (ნ.).

**სიაფები** — მინდ. და სახნავი სოფ. დიღმის სამხრ.-დასავლეთით.

**სინოდის კანტორა** — მდებარეობდა მეფის მოედანზე (ნ.).

**სიონი** — კათედრალური ტაძარი კალაში. აშენდა VI-VII სს., ნაწილობრივ დაინგრა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს (1795 წ.), აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**სირაჯხანა (სირაჯხანის ან ღვინის აღმართი)** — ღვინის გამყიდველთა უბანი, შედიოდა როსტაბაზრის (ნ.) ფარგლებში, იყო დიდი და პატარა სირაჯხანა (ნ.).

**სკვირეთი (სკორეთი)** — სკორეთისწყალი — ვერე (ნ.). მდინარე და ისტ.-გეოგრაფიული ოლქი თბილისის დასავლეთით.

**სლობოდა** — მალაკნების დასახლება (ნ.) სადგურთან.

(სოლოლაკი) — ვრცელი უბ., არის ამავე სახელწოდების ქედიც (ამ ქედზე ამჟამად კომკავშირის ხეივანია გაშენებული). დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე.

**სოლოლაკისქედი** — მდებარეობს თბილისის სამხრ.-აღმოსავლეთით.

**სოლოლაკისკარი** — კარისკარი (ნ.). ვახუშტის მიხედვით იგივეა, რაც განჯისკარი („აღწერა". . . . გვ. 52).

**სოლოლაკისყელი** — ადგ. თანამედროვე დავითაშვილის ქუჩის მიდამოებში, აქედან ერთ დროს მოედინებოდა მდინარე ჯაფარიძის, მახარაძის, მაჩაბლის ქუჩებით ერევნის მოედნისაკენ და მტკვარში ჩაედინებოდა მუხრანის (ამჟამად ბარათაშვილის) ხიდის ქვეშ.

**სომხისბაზარი (შუაბაზარი, ნ.)** — კალას ყოფდა ორ ნაწილად — მუხრანთუბანი (ნ.) და მთიან ნაწილად — კლდისუბნად (ნ.), მდებარეობდა ქვემობაზარსა (ნ.) და ზემობაზარს (ნ.) შუა. აღნიშნულია თბილისის 1895 წ. გეგმაზე.

**სორსორები** — სერი სოფ. დიღმის ჩრდ.-დასავლეთით.

**სოღანლუღი** — ძველი ყურყუთა, ახლა ფონიჭალა (ნ.). სოფელი, პლ. იოსელიანის ცნობით სოღანლუღს უწინ თურმე გზისკარსაც უწოდებდნენ. ამჟამად თბილისის გარეუბანია (შედის საქარხნო რაიონში).

**სოღდებილი** — საკუთრივ თბილისისა და კალას შემდეგ III უბანი. XII-XIII სს. სოღდებილს გამოეყო ციხე-სიმაგრე ისანი (ისნი), იხსენიება IX-X სს. არაბი ისტორიკოსების საისტორიო ნაშრომებში. სოღდებილი ყოფილა სასაზღვრო ციხე მტკვრის მარცხ. ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. თბილისსა და სოღდებილს ყოფდა მდ. მტკვარი.

**სოღდებილისკარი** — თბილისის ერთ-ერთი კარი, აერთებდა ძვ. თბილისს ისან-ავლაბართან (შესაძლებელია ეს იყო იგივე საგოდებლისკარი).

**სტამბოლის კოშკი (გოდოლი)** — მაღალი ციხის კოშკის აღმ-ით, ნარიყალაზე (ნ.). აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**სტელა** — ბაღი და უბ. სოლოლაკში, კიროვის ქუჩაზე, მის ადგილზე ახლა მსახიობთა სახლი და ბაღია.

**სტუდენტთა ქალაქი (სტუდქალაქი)** — ადგ. ვაკეში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.

**სუბნიშანი** — ადგ. და ეკლესია ვერცხლის (ნ.) ქუჩაზე.

**სურდოსხევი** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი (ერთვის ბეთანიასთან).

**სქელჯაგები** — მინდ. სოფ. დიღომთან (უწინ გაუვალი ჯაგნარი ყოფილა).

**ტაბარუკი** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის სათავეში (აქ გადიოდა სადიღმე გზა), საავარაკო ადგილი. XIXს. ბოლოს გადასახლებულან სამგორში, ზოგი დიღომში. აქაური მოსახლეობა ჩამოსახლებული ყოფილა გუდამაყრის ხეობიდან.

**ტაბახმელა** — სოფ., სას. საბჭოს ცენტრი (გარდაბნის რაიონი), მდებარეობს თბილისის სამხრეთით 12 კმ-ზე, 910 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან. აქ იყო ქართლის მეფეთა რეზიდენცია (აქ დაიბადა გიორგი ლაშა თამარის ძე). ძველად ტაბახმელა კოჯორ-შინდის-წავკისთან ერთად ცნობილი იყო აგარანის (ნ.) სახელწოდებით. „ტაბახმელა" ნიშნავს „ტბა — ხმელს", ანუ „ამომშრალ ტბას".

**ტაბახმელისწყალი (ტაბახმელახევი)** — მდ., სიგრძე 10,8 კმ, სათავე 1032 მ და შესართავი — 375 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან.

**ტატოსმიწები** — სათესი ადგ. სოფ. ოქროყანის სამხრეთით, ამჟამად თბილისის გარეუბანია.

**ტახტობები** — ტყე და საძ. სოფ. ოქროყანის სამხრეთით.

**ტბა** — მინდ. სოფ. ახალდაბასთან (ნატბეური ადგილია).

**ტბები** — სახნავი ადგ. სოფ. დიღმის დასავლეთით.

**ტეტიასნაგომრები** — ველი და ტყე სოფ. დიღმის დასავლეთით.

**ტინწყარო** — მდ. (მშრალხევი), ერთვის ქვ. სამგორის არხს.

**ტირიფიანი** — დაბლ. ადგ. სოფ. კოჯრის დასავლეთით (ტირიფის სიმრავლის გამო).

**ტიტიანები** — ფერდ. კუს ტბის ზემოთ.

**ტოტი** — ორთაჭალჰესთან. მტკვარს მეორე ტოტი ჰქონდა, ამოაშრეს, ახლა იქ ორთაჭალჰესის ტერიტორიაა.

**ტრუტუნახევი (წრუწუნახევი)** — ხევი და წყარო სოფ. ოქროყანასთან, ფუნიკულიორის პლატოს სამხრეთით.

**ტუპანოზას ბაღი** — თანამედროვე დენდროლოგიური ბაღის ძველი სახელწოდება თბილისში.

**ტურისხევი** — გლდანისწყლის მარცხ. შენაკადი (ზაფხულობით თითქმის შრება).

**ტუსაღხანა** — მეტეხი (ნ.).

**ტფილისის გალავანი** — მეტეხის გალავნის მეორე სახელწოდება.

**ტყემლისწყარო** — სოფ. დიღომთან.

**უდელი** — ადგ. და ღვინის ქარხანა ახლანდელი პეტრიაშვილის ქუჩაზე.

**უმისწყალი** — ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

**უკანახევი, ანუ კოჟრისხევი** (მშრალხევი) — მოედინება კოჯრის ალმ. მხრიდან, ჩაედინება კუმისის ტბაში, სიგრძე 15,8 კმ, სათავე 1310 და შესართავი 469 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან.

**უკუღმახევი** — სხვა სახელით უკუღმართი რუ — სოფ. დიღმის ჩრდ-ით. გაყვანილია არხი და წყალი აღმართში ნელა მიდის (ამიტომ უკუღმართი უწოდეს).

**უმედეული** — მოზრდილი უბ. თბილისის მიდამოებში; შესაძლებელია ეს იყოს საბურთალოს ერთ-ერთი ძვ. სახელწოდება (გ. ლეონიძე). როდესაც თბილისმა მეფე ბაგრატ IV მოიწვია „ყოველი ერი ქვეითი დაკაზმული უმედეულსა დახვდა“ (ქ. ცხ., I, 299).

**უმზერასუბანი** — ადგ. სადღაც ძველი დიდუბის ტერიტორიაზე (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**უპიტო** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ურგებელა** — ადგ. სოფ. დიღმის სამხრ.-დასავლეთით.

**ურდვარხანა** — უბ. სიონის ქუჩაზე, სიონის ტაძრის სამხრეთით. მ. ბერძნიშვილის აზრით ბაზაზხანა და ურდვარხანა ერთი და იგივეა (იხ. მისი „თბილისის გარეგანი სახე XVIII ს.,“ 1965, გვ. 21). ურდვარხანა მოხსენიებულია 1732 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 226, საბ. 1113).

**ურდვარხანის ბაზარი** — სავაჭრო რიგი ურდვარხანასთან (ნ.).

**ურიათუბანი** — პურის მოედანთან (ნ.), ძირითადად აზიზბეკოვისა და აგრეთვე თუმანიანის ქუჩის ტერიტორია.

**უღელტეხილი** — ადგ. და საძ. ქვ. ავჭალის აღმოსავლეთით.

**უღელტეხილი** — გზა (გადასასვლელი), მიდის თბილისიდან ნასოფლარ ბევრეთისაკენ.

**უძო** — მთა თბილისის დას-ით (1418 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან). უძოზე შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის დარბაზის

ტიპის ეკლესია, თავდაპირველად ძველი საკულტო ნაგებობა ყოფილა, რომლის დანგრევის შემდეგ ახალი ეკლესია აუგიათ.

**უძოსნიში** — ადგ. დაბა წყნეთის დასავლეთით (ზემოწყნეთში).

**უძოსფერდობი** — ადგ. და მთა წყნეთის სამხრ.-დასავლეთით, თრიალეთის ქედზე.

**უძოსხევი** — მდ. (მშრალხევი), ჩამოდის უძოს მთიდან სოფ. ბაგებთან.

**უჭარმისკარი** — კარისკარი (ნ.).

**ფასულხანა** — ადგ. თათრის მოედნის ჩრდ.-აღმ-ით, ზარაფხანასთან (ნ.). მოხსენიებულია 1678 წ. ნასყიდობის წიგნში.

**ფაფანი** — ნასოფლ. მდ დიღმისწყლის ხეობაში.

**ფეთხაინი — ბეთლემი** — ადგ. თანამედროვე ენგელსის ქუჩის სამხრ. ნაწილში. თავდაპირველად აქ ყოფილა ბეთლემის ეკლესია, მერე ეწოდა ფეთხაინი. აქვე ყოფილა საქორწინო გასაქირავებელი სახლი ე. წ. მუნთუაშვილების სახლი, რომელსაც „მუნთუაანთდარბაზს უწოდებდნენ", შედიოდა ქვემოუბანში (ნ.), დატანილია 1896 წ. თბილისის გეგმაზე, ბოტანიკური ბაღის მახლობლად.

**ფერმიანთხევი** — ადგ. ვიწროებისფერდობის (ნ.) კალთებზე, მდ. ვერეს ხეობაში.

**ფერმისუბანი** — ავლაბარში (ძირითადად მელაანის ქუჩის ტერიტორია).

**ფიდუაანთუბანი** — მდებარეობდა ქვემოუბანში (ნ). მოხსენიებულია XVIII ს. უცნობი ქართველი მღვდლის სამწყოს ნუსხაში.

**ფიქრისგორა** — ავლაბარში, ორთაჭალჰესთან, იქვეა საცურაო აუზი. ფეიქრისგორა — გორა ვარაზისხევის ბოლოს, მარცხენა მხარეზე, საჯიდაო ადგილი ყოფილა ძველ თბილისში, ვარაუდობენ, რომ სახელწოდება (ფიქრისგორა) ნაწარმოებია ფეიქრისგორისაგან.

**ფონიჭალა** ან ძვ. **სოღდებილი**, სოფ. თბილისის აღმ-ით, 1973 წ. შეუერთდა თბილისის საქარხნო რაიონის ტერიტორიას.

**ფორაქაანთხევი** — მდ. (ხევი), ერთვის ქვემო სამგორის არხს სამგორთან.

**ფოსტლებისრიგი** — ფეხსაცმლის მკერავთა რიგი (ქუჩა) თათრის (გორგასლის) მოედანზე.

**ფუნიკულიორის პლატო** (დასახლება მთაწმინდაზე, ნ.).

**ფშატები** — დაბლ. ადგ. სოფ. დიღომთან (ფშატისხის სიმრავლის გამო).

**ქამოიანთადგილი** — სომხურ ეკლესიასთან (თანამედროვე ნ. ეაჩნაძის ქუჩის ტერიტორია).

**ქარავანსარაი** — წინათ სავაჭრო ადგ. ლენინის მოედანთან.

**ქარაღალი** — ტყიანი ნაკვეთი კოჯრის ტყეში.

**ქართლისკარი** — მდებარეობდა სადღაც თბილისის აღმ.-ით. თბილისის კართა შორის რიგით მეექვსე იყო. ვახტანგ მეფემ „დაუბანაკა მათ დიღმით, ვიდრე ქართლის კარამდე" (ქ. ცხ., I, 179).

**ქართული მუზეუმი ღია ცის ქვეშ** — თბილისში, კუს ტბის ტერასებზე, შეიქმნა 1960 წ. — ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით.

**ქარისები** — უბ. ახლანდელი ვარკეთილის, სამგორის, ალექსეევკისა და აეროპორტის ტერიტორიაზე, იყო ამ უზარმაზარი ტერიტორიის საზოგადო სახელწოდება, სადაც მუდმივად ქარი ქროდა (ამჟამად თბილისის გარეუბანია).

**ქარხანა** — ტყე და ადგ., სადაც უწინ ქვას ტეხდნენ (ოქროყანის ჩრდ.-დასავლეთით).

**ქაშაგორა** — მთა და ფერდ. თანამედროვე სას. სამეურნეო ინსტიტუტის ტერიტორიაზე (ე. წ. სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე).

**ქაშვეთი** — XVIII ს. იყო ქალაქის გარეთუბანში, წარმოადგენდა ავადმყოფების (კეთროვანთა) თავშესაფარს. ი. აბულაძის განმარტებით „ქაშვეთი-კეთრი მეტად ავი სნეულებაა, ავთვისებიანი განუკურნებელი სენია", ეკლესია აშენდა 1904—1910 წლებში. ფასადის ჩუქურთმები დაამზადეს ქვის ცნობილმა ოსტატებმა ძმებმა აგლაძეებმა. ქაშუეთის ეკლესია არის კიდევ სოფ. პატარა ლილოში.

**ქაშუეთისგორა** — მთა „თბილისის ზღვის" ჩრდ.-აღმ.-ით, სოფ. ლილოსთან.

**ქაცობანი** — ადგ. და უბ. დაბა წყნეთში.

**ქაჯანწყარო** — უბ. სოფ. დიღომში.

**ქედისბოლო** — მინდ. სოფ. დიღმის ჩრდილოეთით.

**ქეთქეთები** — ადგ. და უბ. დაბა წყნეთში (ზემოწყნეთში).

**ქესალო** — სოფელი, სას. საბჭოს ცენტრი (გარდაბნის რაიონი).

**ქესახანა** — მეჭურჭლეთა რიგი თათრის მოედანთან (ნ.). მოხსენიებულია 1678 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ხ. ი., ფ. Qd, № 283ა).

**ქვაბები** — გამოქვაბული სოფ. დიღმის ჩრდ.-დას-ით (ლეკიანობის დროს თითქოს ხალხი აქ იხიზნებოდა).

**ქვაბებისგორა** — მთა (612 მ), ვაშლაჯვარის (ნ) დასავლეთით.

**ქვაბთა** — ნასოფლ. დიღმისწყლის ხეობაში (ლეგენდის მიხედვით ფარნავაზ მეფემ თითქოს აქ იპოვა აურაცხელი განძი).

**ქვაბის (მექვაბეთა) რიგი** — ქვაბისმკეთებელთა უბ. ძვ. რიყეში.

**ქვაბისხევი** — ხევი და წყარო სოფ. ოქროყანის ჩრდ.-დას-ით, მეფუტკრეობის სადგურთან, ფაქტიურად წარმოადგენს საზღვარს ოქროყანასა და წავკისს შორის.

**ქვაკალო** — ადგ. საგურამო-იალნოს ქედზე.

**ქვაჯვარი** — ადგ. მახათას ქედზე.

**ქვაჯვარი** — მთა სოფ. თელეთთან (მთას ჯერის ფორმა აქვს).

**ქვედაციხე** (სხვა სახელით — დაბალიციხე) — მტკვრის მარჯვ. მხარეზე, მეტეხის დასავლეთით.

**ქვემო ავჭალა** — დასახლ. უბ. თბილისის ჩრდ-ით (შეუერთდა თბილისს).

**ქვემო ბაზაზხანა** — ფართლეულით მოვაჭრეთა რიგი გორგასლის (თათრის) მოედანთან.

**ქვემო ბაზარი** — ქვემომოედანი (ნ.), ამჟამად გორგასლის მოედნის ნაწილია.

**ქვემო ვეძისი** — წინათ სოფ., მტკვრის მარჯვ. მხარეზე, საქართველოს სამხედრო გზის მარცხ. მხარეზე, თბილისთან, დაახლოებით თანამედროვე საბურთალოს ბაზრისა და კანდელაკის ქუჩის ტერიტორიაზე (ამჟამად თბილისის გარეუბანია).

**ქვემო თელეთი** — სოფ. თელეთის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**ქვემოკარი ან წყლისკარი** — ახლანდელი ჩახრუხაძისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარზე, აღნიშნულია 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე.

**ქვემო ლისი** — სოფ. ლისის სას. საბჭოში, ლისის ტბის ჩრდ-ით (მცხეთის რაიონი), 730 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან (გუფთასა და საკენჭაოს ქედებს შორის).

**ქვემომოედანი** — თათრის მოედანი (ნ.).

**ქვემოუბანი** — კალას ნაწილი ზემოუბანთან (ნ.) ერთად, სიონის ქუჩის სამხრ. ნაწილში, ქალაქის გალავნის სამხრ.-დას-ით. ქვემოუბნის ცენტრად ითვლებოდა ქვემობაზარი (ნ.).

**ქვემოუბანი** — სხვა სახელით **წვერწვერა** — უბ. სოფ. დიღომში.

**ქვიშიანი ადგილი** — საძ. ბანკის ტყესთან (ნ.)

**ქობა** (სხვაგვარად: **ქობანი**) — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის მარცხ. მხარეზე.

**ქობა** — ხევი და ტყე სოფ. ლილოს ჩრდ.-დასავლეთით.

**ქობატბირი** — სახნ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ქობისსერი** — მთა, ტყე მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ქობისხევი** (სხვა სახელით ბრილები, ნ.) — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**ქორქილები** — ადგ. დიღმის მასივში.

**ქოშიგორა** — უბ. სოფ. დიღომში (ქოშის ფორმის გამო).

**ქურახანა** ან **ქუზხანა** — თიხის გამოსაწვავი სახელოსნო, მექურჭლეთა სახელოსნოების რიგი გარეთუბანში (ნ.), შუაკართან (ნ.).

**ქურდსოფელი** — კლდ. მინდ. სოფ. კოჯრის აღმ-ით (წინათ სახიზნავი ადგილი ყოფილა).

**ქურთთა დასახლება** — ლოტკინის გორის ტერიტორიაზე, წინათ ძირითადად დასახლებული იყო ქურთებით.

**ქურქჩიხანა** — ჭონხანა (ნ.).

**ლამბარაანთქარვასლა** — გარეთუბანში (ნ.), თანამედროვე მეტროს სადგურ „ლენინის მოედანთან“.

**ლარათხევი** — მდ. (მშრალხევი), დიღმისწყლის მარჯვ. შენაკადი.

**ლარიბიწყლისხეობა** — (სხვა სახელით — **ლარიბწყარო**) — მდ. (წყარო), მიედინება ნასოფლ. ვეჯინის თავზე, დიდველის მთის ძირში, წყალი მეტად ცივია, მაგრამ ცოტა (აქედან შეარქვეს სახელიც). უერთდება მდ. ჯოხტანისხევს სოფ. გლდანში.

**ლელისსერი** — სადღაც ავლაბარში უნდა იყოს (ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**ლელისთავისგორა** — ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

**ლვევი** — ნასოფლ. ბეთანიასთან, მდ. ვერეს ზემო წელში.

**ლვევისუბანი** — ვარკეთილში (ნ.). მოსახლეობა აქ ლვევიდან (ნ.) ჩამოსახლებულა (ამჟამად ლვევი ნასოფლარია).

**ღვთისმშობლის ტყე** — მშრალხევის დას-ით, სოფ. გლდანის მახლობლად.

**ღვიასსერი** — სერი სოფ. გლდანის ჩრდ-ით (ღვიის ბუჩქის სიუხვის გამო).

**ღვინიანთუბანი** — უბ. სოფ. დიღომში.

**ღვინის აღმართი** — აერთებდა ავლაბარს მეტეხთან, უწინ სირაჯხანის (ნ.) აღმართი ერქვა.

**ღია ბაზარი** — დიდი ჩორსუ (ნ.).

**ღომელაური** — ადგ. სამგორში (თბილისის გარეუბანი). მუშა-პოეტის შაქრო ნავთლუღელის აზრით „ღომელაური" თითქოს „ღომის"-აგან წარმოსდგება, კ. ხარაძის აზრით, ღომელაური შეიცვალა სამგორით (მისი „ერთი ქართული ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის" (საქ. გეოგრ. საზ. შრ., ტ. XII, გვ. 287).

**ღორღიანი აღმართი,** ანუ გზა — მიდიოდა თბილისიდან დიღმის ხეობაზე.

**ღრმაღელე** — დიდი უბ. თბილისის დასავლეთით (დიდუბის ტერიტორიაზე).

**ღუნიბის მოედანი** — დასახლ. უბ. დღევანდელი მთავრობის სასახლისა და პირველი საშ. სკოლის ტერიტორიაზე. აღნიშნულია თბილისის 1896 წლის გეგმაზე. სახელწოდება თითქოს ღუნიბის ძლევას უნდა უკავშირდებოდეს.

**ყაბახი** („ასპარეზი", „სალაღობო", „ალექსანდრეს ბაღი")—დიდი მოედანი სამხედრო ვარჯიშობებისათვის. პლ. იოსელიანის ცნობით, მოედანი ყოფილა ქალაქის კედლის ჩრდ-ით, მეფე იესეს სასახლის პირდაპირ, აქვე თამაშობდნენ ბურთს, იმართებოდა მარულა, სამხედრო პარადი, ყაბახი, ქორწილები, დღესასწაულები. აქვე იყო სასეირნო ადგილი, სალაღობო და სხვ. მშენებლობის დაწყების შემდეგ მთავარმართებელ ა. ბარიატინსკის განკარგულებით, მოედნის ნაწილი ბაღად გადაკეთდა, ბაღი წყლით მარაგდებოდა მტკვრიდან (ამჟამად აქ კომუნარების სახელობის ბაღია).

**ყაზაზხანა** — ადგ. სადღაც ხარაზხანასთან (ნ.). მოხსენიებულია 1752 წ. წყალობის წიგნში.

**ყაზარმები** — ჯარის სადგომი ადგ. ბარათაშვილის აღმართის თავზე. ამჟამად მოზრდილი დასახლებული უბ. 5 დეკემბრის ქუჩაზე. ეს ნაგებობანი ერთ დროს საპატიმროდაც იყო გამოყენებული; აქ

ინდიდნენ სასჯელს 1832 წ. შეთქმულების მონაწილე მწერლები დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალ. ორბელიანი და სხვ.

**ყაზარმებისგორა** — მთის სახელწოდება გმირთა მოედანთან. მასზე განლაგებულია სახელმწიფო ცირკი, აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; მასზე გაჭრილია გზა, რომელმაც შეაერთა ვარაზისხევი სადგურის მოედანთან.

**ყაზარმებისუბანი** — ჯარის საბანაკო ადგ. ავლაბარში (ახლანდელი რესპუბლიკური ავტოინსპექციის შენობის მიდამოებში).

**ყაიბულას ბაღები** — მტკვრის მარჯვ. მხარეზე, ქაშვეთის სამხრ.-ალმ-ით (დღევანდელი 26 კომისრის სახ. ბაღის გასწვრივ).

**ყალუანთუბანი** — სადღაც ზემოუბანში, ორბელიანის სასახლესთან. ვინმე ყალუაშვილებისაგან ეს მიწა უყიდია მეფე თეიმურაზ II-ს 1745 წ., მოხსენიებულია 1711 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 17, საბ. № 681). ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

**ყარაია** — ძველად გაჩიანი, ამჟამად გარდაბანი (ნ.).

**ყარათაღლა** — სოფ. ალთაღლის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**ყარაჯალარი** — სოფ. ალთაღლის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**ყასაბხანა** — ძველად ხორცის გამყიდველთა რიგი თათრის (გორგასლის) მოედანზე, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე.

**ყეენისგორა** — მთა (630 მ) და ადგ. თბილისის ჩრდ.-ალმ-ით. ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. მის მიდამოებში იმართებოდა ძველი ქართული სახიობა — ყეენობა.

**ყომარბაზების ბაღი** — მდებარეობდა ავლაბარში წინანდლის ქუჩაზე.

**ყორღანაანთუბანი** — ადგ. კალაში, ქვემოუბანი (ნ.). მოხსენიებულია XVIII ს. პირველი ნახევრის უცნობი ქართველი მღვდლის სამწყსოს ნუსხაში (საქ. ხ. ი., Hd, საბ. 13000).

**ყორჩა-კალა** — თაბორისციხე (ნ.).

**ყოჩინაანთწყალი** — ზევითწყალი (ნ.).

**ყოჯოგლისწყალი** — ადგ. კრწანისის დასავლეთით.

**ყუზახანა** — ქესახანა (ნ.).

ყურყუთა — ამჟამად ფონიჭალა (ნ.), 1973 წ. შევიდა თბილისის საქარხნო რაიონის შემადგენლობაში. 1976 წლიდან ყურყუთა კვლავ მიეკუთვნა გარდაბნის რაიონს (მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში". II, 48). თავდაპირველად ყოფილა ჭალა მტკვრის კლდეზე.

**შადინოვისქარვასლა** — სავაჭრო ადგ. და საქონლის საწყობი ბამბის რიგის (ნ.) მახლობლად.

**შავნაბადა** — მთა, მდ. (მშრალხევი), წყარო, ჩამქრალი ვულკანი და ეკლესია თბილისის სამხრ.-ალმ-ით, თელეთის ქედზე.

**შავნაბადას მონასტერი** — (825 მ. ზღვ. დონიდან), სხვა სახელით სახატე, სოფ. ქვ. თელეთთან, თელეთის ქედზე.

**შავსოფელი** — წინათ დასახლებული უბ. გოგირდის აბანოების ალმ-ით, ამჟამად ძირითადად იალბუზის ქუჩაა (წინათ აქ სოფელი იყო). 1896 წლის თბილისის გეგმაზე ძაღლისსოფლად (ნ.) იწოდება. 1896 წ. თბილისის გეგმის მიხედვით მდებარეობდა ავლაბრის ტერიტორიაზე, ორთაჭალასა და ავლაბარს შორის.

**შავტუხისწყალი** — ადგ. სადღაც ძველი დიდუბის ტერიტორიაზე (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**შავფერდა** — მინდ. სოფ. ქვ. ლისის ალმ-ით და სოფ. დიღომთან.

**შავშავა** — წყარო ვერის ხეობაში, დაბა წყნეთში.

**შავშავები** — ადგ. ძლევის ქედის დას. ფერდობზე, მდ. ვერეს მარცხ. ნაპირზე, დაბა წყნეთის ჩრდილოეთით.

**შაისტახტი (შაჰტახტი)** — ნარიყალას ციხის კოშკი (დას. მხარეზე), კომკავშირის ხეივანში, შურისციხის წინა კოშკი. იგი მართკუთხაა და ყველაზე მაღალია ნარიყალას დაცვის სისტემაში. გადმოცემით, აქ თითქოს არაბებს ჰქონიათ ობსერვატორია, ერთხანს შიგ ყოფილა მეფის სასახლეც. 1836 წ. აქ მოეწყო თბილისის მეტეოროლოგიური და მაგნიტური ობსერვატორია; დაინგრა 1927 წ. დიდი მიწისძვრის გამო.

**შარაგზა** — სხვა სახელით დიდი სირაჯხანა (ნ.), აერთებდა „თათრის მოედანს" ავლაბართან.

**შაუმიანის მოედანი** — ყოფ. კახეთის მოედანი (ნ.) ავლაბარში.

**შაქარქედი (საქარო ქედი)** — ტერიტორია სოფ. დიღმის ჩრდილოეთით.

**შაქრის მთა** (601 მ) — მახათას მთასთან მეტრომშენის დასახლებასთან.

**შეითანბაზარი** — საბაზრო ადგ. (თურქულად „ეშმაკის ბაზარი"), ახლა გორგასლის მოედანი (ნ.).

**შერგილაანთუბანი** — ადგ. კალაში, ქვემოუბანში (ნ.).

**შინდისი** (უწინ შვინდისი) — სოფ. ტაბახმელას სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი). წინათ კოჯორსა და ტაბახმელასთან ერთად ცნობილი იყო აგარანის (ნ.) სახელწოდებით.

**შინდისის ქედი** — 800-900 მ სიმაღლის ქედი ოქროყანის სამხრ.-დას-ით.

**შინდური** — სახნ. ფართობი კიკეთთან.

**შიოს ტბა** — ან ალიმბარაანთმიწები (ნ.).

**შიხლოსუბანი** — ავლაბარში (შიხლო საკუთარი სახელია), მდებარეობს ძირითადად გუმბრის ქუჩის ტერიტორიაზე.

**შოლტები** — უბ. სოფ. წყნეთის ცენტრში (წინათ სახნ. და სათესი ადგილი).

**შრომისუბანი** — სვანეთის უბნის (ნ.) ძველი სახელწოდება.

**შტაბის მოედანი** — ახლანდელი ლენინის მოედნის (ნ.) ერთ-ერთი ძველი სახელწოდება.

**შუაბაზარი** — სხვა სახელებია: სომხის ბაზარი (ნ.), ძველი ბაზარი (ნ.), სავაჭრო რიგი, ეს უბანი ძირითადად მოიცავს ლესელიძის ქუჩის მიდამოებს (67-ე საშ. სკოლის უბანი).

**შუაველის ფერდობი** — ადგ. შუბლასმთასთან, სოფ. ბაგების სამხრ-ით.

**შუაკარი** — ადგ. გარეთუბანში (ნ.), თანამედროვე პუშკინის ქუჩის ბოლოში, ხელოვნების მუზეუმთან.

**შუაკარი** — სხვა სახელით დილმისკარი (ნ.), მდებარეობდა ქვემოკარსა (ნ.) და მალალკარს (ნ.) შორის, საიდანაც წარმოსდგა სახელწოდებაც (თანამედროვე პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარზე).

**შუა ტბის გზა** — იწყებოდა ავლაბარში და მტკვრის მარჯვ. მხარეზე მისგან გამოიყოფოდა „ლილოს გზა". აღნიშნულია 1735 წ. თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე.

**შუაუბანი** — შემოკლებით უბანი (ნ.) — უბ. სოფ. დილომში.

**შუაქედი** — ადგ. სოფ. დიღმის ჩრდილოეთით.

**შუბლასმთა** — ადგ. სოფ. ბაგების სამხრ-ით, თრიალეთის ქედის კალთებზე.

**შურისციხე** ან ნარიყალა (ნ.) — ციხე კალაში — „ვარაზბაკურის ქამსა შინა აღაშენა **შურის ციხე**" (ქ. ცხ., IV, 334).

**შტაფისგუბე** — წყარო კოჯორთან, წინათ აქ ყოფილა სამხედრო შტაბი (საიდანაც წარმოსდგა მისი სახელწოდებაც).

**ჩადივარი** — მინდ. სამგორის დასავლეთით „სამგორს აქუს დასავლით ველი და **ჩადივარი**" (ვახუშტი, „აღწერა".... გვ. 95). ვახუშტის მიხედვით ჩადივარი ითვლებოდა კახეთის საზღვრად, არის ჩადივარის გორებიც, რომელიც სანადირო ადგილად ითვლებოდა („არჩილიანი", 101), ან „განელის სამგორსა და ჩადივარს შუა" (ქ. ცხ., IV, 333).

**ჩათმა** — მინდ., სოფ. ახალი სამგორის ჩრდილოეთით.

**ჩაიწყარო** — წყარო სამადლოს სამხრეთით.

**ჩალიანი** — ხევი სოფ. კიკეთთან.

**ჩალიბოლიგორები** — მთები დიღმის მასივთან (შედის თრიალეთის ქედის სისტემაში).

**ჩალისთავი** — ადგ. ქეთევან ქაიხოსროს ასულის ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში (სადაც მოჰყავდათ თამბაქო).

**ჩალისპირები** — ჩალიან-ჭალიანი ადგ. სოფ. დიღმის აღმ-ით (ამჟამად დასახლებული უბანია).

**ჩალუანთუბანი** — ადგ. კალაში, ქვემოუბანში (ნ.), თანამედროვე ლესელიძის ქუჩის ტერიტორიაზე, მოხსენიებულია XVIII ს. პირველი ნახევრის სამწყსოს ნუსხაში უცნობი ქართველი მღვდელისა.

**ჩამონათალი ბაზარი** — ასე ეწოდებოდა იმ ახალ ბაზარს, რომელიც გაშენებული იყო ახლანდელი პუშკინის ბაღთან მას შემდეგ, რაც ერევნის მოედანზე ქარვასლა აშენდა, აქვე იყო ხალხის გასართობი ბალაგანებიც. ამ ბაზარმა იარსება 1885 წლამდე და შემდეგ კი ვერაზე (თანამედროვე კიროვის ბაღის ტერიტორიაზე) გადაიტანეს.

**ჩარგალეთი** — უბ. სოფ. დიღმის ტერიტორიაზე.

**ჩარხისაბანო** — მდებარეობდა მტკვრის პირას, ბატონის მოედანზე, აქ იყო მეფის აბანო და მტკვრიდან ჩარხებით ამოჰქონდათ წყალი, მოხსენიებულია 1759 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ.

1450, დავთ. 8, საბ. 239). დაინგრა 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

**ჩაჩნისწყარო** — სხვა სახელით ბოთოზაანთწყარო (ნ.).

**ჩახრიელა** — მდ. და ხევი სოფ. ოქროყანის სამხრ.-დასავლეთით.

**ჩემიწყარო** — პატარა წყარო სოფ. კიკეთთან.

**ჩერნომორსკისუბანი** — ავლაბარში ამავე სახელწოდების ქუჩაზე.

**ჩითახანა** — ფოსტლებისრიგი (ნ.).

**ჩითახაანთუბანი** — ადგ. კალაში, ქეემოუბანში.

**ჩირდილები** — ტყის ნაკვეთი მშრალხევთან, გლდანის დას-ით (დაბურული ტყეა).

**ჩიხლაძეების ცირკი** — ერთ-ერთი საჭიდაო ადგ. ძვ. თბილისში (დიდუბე).

**ჩოდრიშვილის ბაღი** — ახლა ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი (ნ.).

**ჩორდისუბანი** — ადგ. ვარკეთილში (აქ ჩამოსახლდნენ სოფ. ჩორდიდან, ამბროლაურის რაიონი).

**ჩორსუ** — სხვა სახელებით: როსტაბაზარი (ნ.). მდებარეობდა ბაზაზხანასა (ნ.) და ჰონხანის (ნ.) გადაკვეთის ადგილას („ჩორსუ" სპარსულად ნიშნავს „ოთხკუთხედს"). არსებობდა დიდი ჩორსუ (ნ.) და პატარა ჩორსუ (ნ.). ჩორსუბაზარი მოხსენიებულია 1664 წ. შეწირულობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 47).

**ჩრდილიანი** — ტყის ნაკვეთი სოფ. კიკეთთან.

**ჩუღურეთი** — უბ. ავლაბრის ჩრდილო-დასავლეთით, ადრე სოფელი, ეკავა მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირი, დღევანდელი ბარათაშვილისა და მარქსის ხიდებს შუა. ჩრდ-ით მას ეკვროდა კუკია და ვრცელდებოდა დაახლოებით თანამედროვე „ფოსტამტის" შენობამდე (პლეხანოვის გამზირი). შეუერთდა თბილისს 1824 წ. პირველად მოხსენიებულია ვახუშტის თბილისის გეგმაზე (1735 წ.). „ჩუღურეთი" (ჩუღურ-ჩუგური) თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს ფოსოს, ღრმულს (თ. ბერიძე, „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან". ჩუღურეთი. „მნათობი", 6, 1968). ჩუღურეთის მთავარი ღერძია ყოფ. ჩუღურეთის ქუჩა (ამჟამად ბუხაიძის სახ. ქუჩა). 1896 წლის გეგმის მიხედვით მდებარეობდა მტკვრის მარცხ. მხარეზე კუკიასა და ავლაბარს შორის და წარმოადგენდა ცალკე უბანს (VIII). (ტერ-

მინი ჩუღურეთზე ვრცლად იხ. თ. ბერიძის ...„და აღმოცენდა თბილისი," 1977 წ., გვ. 145-174).

**ცელეურები** — მინდ. გლდანის ჩრდ.-დასავლეთით.

**ცენტროლიტი** — უბ. ცენტროლიტის ქარხნ. გარშემო, ზაჰესთან, თბილისის ჩრდ-ით. ძველად ამ ადგილს ხოდაბუნები ეწოდებოდა (ნ.).

**ცერაგზა** — ტყიანი და დაქანებული ადგ. მშრალხევთან (გლდანის დასავლეთით).

**ცივიხევი** — მდ. ერთვის წყალთამეურნეობის სარწყავ არხს სოფ. ფონიჭალასთან, სიგრძე 9,3 კმ, სათავე — 568 მ, შესართავი—358 მ სიმაღლეზე ზღვ. დ-დან.

**ცივი წყარო** — წყარო ოქროყანასთან.

**ცინცაძეების ცირკი** — მდებარეობდა გრიშუას ბაღში (ნ.), საჭიდაო ადგ. ძვ. თბილისში.

**ცინცილაანთხიდი** — სოფ. დიღომში (ცინცილა მამუჩაშვილების წინაპრის სახელია).

**ციხედიდი** — სხვა სახელით ბერძენხანა (ნ.) — ადგ. და ეკლესია კალაში, ქვემო უბანი (ნ.), თათრის მოედნის სამხრ.-დასავლეთით.

**ციხე** — სხვა სახელით ციხისუბანი (ნ.) — თათრის მოედანთან.

**ციხეწვერისა** — ნასოფლ. მდ. ვერეს ხეობაში, ნასოფლ. ვანეთთან (ნ.).

**ციციანოვის აღმართი** — ახლა ბარათაშვილის აღმართი. ზოგიერთი ამ სახელწოდებას კავკასიის პირველ მთავარმართებელს (პ. ციციანოვი) მიაწერდა. სინამდვილეში კი იგი მემამულე ფარსადან ციციშვილის სახელს უკავშირდება. ეს ადგილი ეკუთვნოდა მას, რომელმაც პირველმა გაიყვანა აქ ჯერ ბილიკი, ხოლო შემდეგ გზაც.

**ციხექალაქი** — სხვა სახელით სატუსაღო (ნ.), ტუსაღხანა, სადილეგო, მეტეხი (ნ.).

**ციხითკარა** — მთა დაბა წყნეთის მახლობლად.

**ციხის ბაღი** — (Крепостной сад) ბოტანიკური ბაღის (ნ.) ერთ-ერთი ძველი სახელწოდება.

**ციხისკარი** — სხვაგვარად რაბათისკარი (ნ.). თბილისის მთავარი კარი (შ. მესხია, საქ. ეკონომიური ისტ. მასალები. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1945, გვ. 77).

**ციხის მოედანი** — ახლა გორგასლის მოედანი (ნ.).

**ციხისუბანი** — სხვა სახელით სასახლისუბანი — მდებარეობდა კალაში (ნ.), კლდისუბნის სამხრეთით (ნ.).

**ციხისუბანი** — შემოკლებით უბანი — ადგ. სოფ. დიღომში.

**ცოდვიანიხევი** — ხევი და წყარო თბილისის აღმ. ნაწილში, III მასივთან (გადმოცემით დიდთოვლიანობის დროს აქ ბევრი ხალხი და პირუტყვი დაღუპულა).

**ცორცორები** (სხვაგვარად სორსორები) — ტყე, ხევი, წყარო ოქროყანის აღმოსავლეთით.

**ცოცხალაანთუბანი** — ადგ. შ. დადიანისა და პირველი მაისის ქუჩების ტერიტორიაზე, კალაში. ესაზღვრება ქალაქის გალავანში ჩატანებულ ბურჯს, რომელიც ცოცხალაანთბურჯის სახელწოდებით იყო ცნობილი (ალბათ ცოცხალაშვილებისა). მოხსენიებულია 1733 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 226, საბ. 182).

**ცხენისზურგი** — ადგ. შავშავებთან (ნ.).

**ცხენისზურგი** — ადგ. სოფ. ახალდაბასთან, მდ. ვერეს მარჯვ. მხარეზე.

**ცხენისტერფი** — დიდუბის (ნ.) ძველი სახელწოდება (ვახუშტი, „აღწერა...", გვ. 54).

**ცხენიჭამიახევი** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი, სოფ. ბაგების ჩრდ.-დასავლეთით.

**ცხრაბიჭიანთუბანი** — უბ. ვერაზე (ამჟამად კობის ქუჩა).

**ცხრაპურიანთუბანი** — გარეთუბანში (გადადის ქალაქის გალავანში).

**ძაგავა** — ნასოფლ. და ტყის მასივი სოფ. დიდი ლილოს ჩრდ.-დასავლეთით.

**ძალაანთგორა** — მთა (1281 მ) დიღმისწყლის მარცხ. მხარეზე.

**ძალათუბანი**—(Нахальный поселок)—სამგორში, ზანდუკელის, ხარაბაძის, I, IV, V. VI, VII, VIII ქუჩები. ამ ტერიტორიაზე ძალად დასახლდნენ 1953 წ. (შდრ. ნახალოვკა-ნაძალადევი).

**ძალანთხევი** — სოფ. ლისის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**ძაღლაანთხევი** — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი ნასოფლარ მაჩხაანთან.

**ძაღლაანი** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში (შდრ. საძაღლია გურიაში).

**ძაღლისსოფელი** — შავსოფლის (ნ.) მეორე სახელწოდება.

**ძაღლისუბანი** — ავლაბარში (თელავის, წუწუნავასა და ახმეტის ქუჩების ტერიტორია). უბანს უწინ ვარდისუბანი ეწოდებოდა.

**ძერების ბუდე** — კლდე სოფ. კოჯრის მახლობლად.

**ძეძვი** — მთა (632 მ) — თბილისის ჩრდ.-აღმოსავლეთით.

**ძეძვი — მახათას ქედი** — თბილისის ჩრდილოეთით.

**ძეძვნარიანი ან ძეძვნარიანი ღელისგორა** — ადგ. სადღაც ძველი დიდუბის ტერიტორიაზე (ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ).

**ძველი ბაზარი** — სხვა სახელებით — შუაბაზარი (ნ.), სომხის ბაზარი (ნ.).

**ძველი ვეძისი** — სოფ. დიღმის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**ძველი ნაძალადევი** — უბ., ახალი ნაძალადევის (ნ.) სამხრ., აღნიშნულია თბილისის 1910 წ. გეგმაზე.

**ძველი ქალაქი** — სხვა სახელით აბანოსუბანი (ნ.).

**ძლევის ქედი** — დაბა წყნეთის ჩრდ-ით, თრიალეთის ქედზე.

**წავკისი** — სოფ. კოჯრის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**წავკისისკარი** — იყო ქალაქის დას. კედელში. ვახუშტი მას კოჯრისკარს (ნ.) უწოდებს. ზოგიერთი ისტორიული წყარო იხსენიებს როგორც მაღლაკარს (ნ.). ამ კარით შემოდიოდა გზა მცხეთიდან და იყო დაახლოებით იქ, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ლენინის მოედანს უერთდება.

**წავკისის ტბა** — სხვა სახელწოდებით საირმე (მშრალი ტბა), თრიალეთის ქედზე, შუბლასმთასთან (ნ.), სოფ. ბაგების მახლობლად.

**წავკისისწყალი** — დაბაღხანა (ნ.).

**წალასყური** — მდ., ერთვის წყალთა მეურნეობის არხს (თბილისის აღმოსავლეთით).

**წალასყური** — სოფ., თელეთის სას. საბჭოში (გარდაბნის რაიონი).

**წამალაანთმიწები** — მინდ. სოფ. გლდანის აღმ-ით (წამალაძე გვარია).

**წვრილახევი** — მდ. (მშრალხევი), ერთვის მდ. ლოჭინს მარჯვ. მხრიდან.

**წვერი** — ნასოფლ., ღელელისსერსა და ალოტისსერს შუა, თბილისის დასავლეთით.

**წვერწვერა**, სხვა სახელით ქვემოუბანი — უბ. სოფ. დიღომში.

**წითელი აღმართი** — ადგ. წოდორეთიდან დიღმისხევისაკენ მიმავალ გზაზე.

**წითელი კლდე** (ანუ საყარაული) — კლდეები და საძ. სოფ. დიღმის სამხრ.-დასავლეთით (კლდის წითელი ფერის გამო).

**წითელი სახლი** — ადგ. კომკავშირის ხეივანში (ბოტანიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე).

**წითელუბანი** — სოფ. გლდანში (მცხეთის რაიონი), „თბილისის ზღვის" ჩრდ.-დასავლეთით. სოფ. ოლგინსკოესთან ერთად ამჟამად ეწოდება ლენინისი (ნ).

**წითლოვანი** (მეორე სახელი — წითელაანთუბანი) — ადგ. ვერაზე (უკავშირდება წითლანაძეების გვარს).

**წინანაური** — ადგ. და მონასტერი კრწანისის ბაღებთან.

**წინუბანი** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში (იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში").

**წინქალაქი** — სხვა სახელით — გარეთუბანი (ნ.).

**წისქვილხევი** — ხევი და წყარო სოფ. ოქროყანის სამხრეთით.

**წისქვილხევი** — ხევი და წყარო სოფ. კოჯრის აღმოსავლეთით.

**წიფლისხევი** — მდ., წყარო და ხევი სოფ. ოქროყანის დასავლეთით.

**წმინდაგიორგი** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის სათავეში.

**წმინდაგიორგი** — ადგ. (აღმართი), სერი (ნიში-სალოცავი) — სოფ. დიდი ლილოს ჩრდილოეთით.

**წმინდანისწყალი** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი.

**წმინდანისწყლის მიწები** — ადგ. მდ. ვერეს მარცხ. მხარეზე, დიდნატბეურას (ნ.) დასავლეთით (მწირი მიწებია).

**წმინდანისწყლისხევი** — მდ. დიღმისწყლის მარჯვ. შენაკადი.

**წოდორეთი** — სოფ. ლისის სას. საბჭოში (მცხეთის რაიონი).

**წოდორეთის ტბა** — მცირე ტბა სოფ. წოდორეთის დასავლეთით.

**წოდორეთისხევი** — მდ. დიღმისწყლის მარჯვ. შენაკადი.

**წოსწორახევი** — მდ. დიღმისწყლის მარცხ. შენაკადი.

**წოწოლაგორა** — სხვა სახელით „პატარა წყარო" (ნ.).

**წოწოლაქვა** — კლდის სახელწოდება თელეთის ქედზე (აყუდებული სვეტია).

**წრუწუნახევი** ან ტრუტუნახევი (ნ.).

**წულაურები** — უბ. დიღომში.

**წულახანა** — ჩითაზხანა („ფოსტლებისრიგი“, ნ.), „მეწულეთა-რიგი“, ადგ. რიყეში, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე.

**წყალაყინი** — კოშკი თაბორის ციხესთან. ბაგრატ „ალილო ციხე ქალაქისა დარიჯელი ორნივე კოშკნი წყალყისანი და თაბორი“ (ქ. ცხ., I, 299).

**წყაროსუბანი** — ადგ. მთაწმინდაზე (ცხენის, ბორბალოსა და არ-სენას ქუჩების ტერიტორია).

**წყაროსუბანი** — ადგ. ავლაბარში (ახლანდელი ბუხაიძის, კუმი-სისა და ურიცკის ქუჩების ტერიტორიაზე).

**წყაროსუბანი** — ახლანდელი სამრეცხაოსა და ტარიელის ქუჩე-ბის ზემოთ, ჩუღურეთის ტერიტორიაზე.

**წყაროტყის მიწა**—ადგ. ბაგების სატყეოს შესავალში, მდ. ვერეს მარჯვ. ნაპირზე.

**წყლისკარი** — სხვა სახელებით დაბლაკარი (ნ.), ქვემოკარი (ნ.), თბილისის კარებს შორის ყველაზე დაბლა და ჩრდილოეთით მდება-რეობდა (დაახლოებით თანამედროვე შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩის კუთხეში). მასში გზა ავანაანთხევის (ნ.) ხიდით შედიოდა, ამი-ტომ წყლისკარსაც უწოდებდნენ. აღნიშნულია თბილისის 1735 წ. ვახუშტისეულ გეგმაზე. მისი გაგრძელება იყო ანჩისხატის ქუჩა. წყლისკართან ყოფილა მუხრანბატონის სასახლე (ნ.).

**წყნეთი** — დაბა-აგარაკი თბილისის დასავლეთით, დაახლ. 1000 მ სიმაღლეზე ზღვ. დონიდან, მდ. ვერეს მარჯვ. მხარეზე. სახელწოდება უკავშირდება მუხის ძველქართულ სახელს — „წყან“ (შდრ. მეგრ. „ჭყონი“, არნ. ჩიქობავა).

**წყნეთის სატყეოს უბნებია:** მდ. ვერესხევი, ჯოხონასხევი, უძოს-წყალი, ხიზანზალისხევი, მიხასწყარო, წყარო სრიალა (სანკა), პატა-რა ვანი, შავწყალა, თეთრმინდვრისველი, ლეკასფერდა, მშრალი ტბა და სხვ.

**წყნეთის ტბა** — დაბა წყნეთისა და სოფ. ახალდაბის საზღვარზე. მეორენაირად ახალდაბის ტბა (ნ.).

**წყრულეთი (ქვემო)** — ნასოფლ. ვერეს მარცხ. მხარეზე (ვახუშტი უწოდებს წყლულეთს).

**ჭალა** — ადგ. ორთაჭალასთან, ფონიჭალის (ყურყუთას) მახლობ-ლად.

**ჭერმიანთხევი** — ადგ. ვიწროებისფერდობის (ნ.) მახლობლად.

**ჭილაანთკარის გზა** — მიდის მშრალხევიდან (სოფ. გლდანის დასავლეთით) ჩრდილოეთის მიმართულებით.

**ჭილი** — ტბა სოფ. დიღომში, ზაფხულობით შრება, ტბაში ბევრია ჩალა-ლერწამი, რომლისგანაც წინათ ჭილს (ჭილოფს) ამზადებდნენ (აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდებაც).

**ჭიქნასერი** — ტყიანი სერი კოჯრისციხესთან (ნ.).

**ჭიჭიასგორა** — მთა ვარკეთილის ტერიტორიაზე, „თბილისის ზღვასთან", ეწოდა მეტყევე ჭიჭიკო ნადირაძის სახელი, რომელმაც ჩვენს დროში შიშველ გორაზე ტყე გააშენა (არის ჭიჭიასწყაროც).

**ჭონხანა** („მექუდეთა რიგი") — ქურქებისა და ქუდების მკერავთა და გამყიდველთა რიგი გორგასლის მოედანზე, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, როსტაბაზართან. ძირითადად მოიცავს თანამედროვე შარდენის ქუჩის ტერიტორიას. მოხსენიებულია 1733 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. Hd, საბ. 13120).

**ჭუჭყიანი გასასვლელი** — ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

**ხათაწყარო** — წყარო ბეთანიის თავზე (გზაბოძალში).

**ხალანხანა** — ადგ. 300 არაგველის ბაღთან (ნ.).

**ხარაზხანა** — ხარაზების (ფეხსაცმლის მკერავთა) უბანი (რიგი), მდებარეობდა როსტაბაზრის (იგივე ჩორსუ) აღმ. მხარეზე, თანამედროვე ლესელიძის ქუჩის ტერიტორიაზე (ნ.). არსებობდა მცირე (ან პატარა) ხარაზხანა (ნ.) და დიდი ხარაზხანა (ნ.).

**ხარფუხი, ანუ სეიდაბადი** (ნ.) — დასახლ. უბ. ძვ. თბილისში, მდებარეობდა მტკვრის მარჯვ. მხარეზე. რიყესა და ორთაჭალას შუა. ადმინისტრაციულად წარმოადგენდა ცალკე უბანს (VI).

**ხატამიწები** — საძ. ქვ. ავჭალის აღმოსავლეთით.

**ხევისწყალა** — მდ. და წყარო დაბა წყნეთის ჩრდ.-დასავლეთით.

**ხევძმარა** — მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი, უერთდება ქვ. ავჭალასთან. სიგრძე 17,4 კმ, სათავე მდებარეობს 853 მ და შესართავი 408 მ სიმაღლეზე (სახელი უწოდეს ტუტე-მარილიანი მიწების გამო). ვახუშტის მიხედვით, ხევძმარა არის ავჭალის ბოლოს („აღწერა"... გვ. 94). ხევძმარა მოხსენიებულია აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში" (II, 348).

**ხიზანზალა** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი.

**ხილიანი** — წინათ უბანს ერქვა, ამჟამად ჩიქოვანის (ყოფ. ხილი-

ანის) ქუჩა თბილისში (ზოოპარკის ზემოთ). ძველად ცნობილი იყო ხეხილის საუკეთესო ბაღებით.

**ხოდაბუნები** — ცენტროლიტის ქარხნის დასახლების ძველი სახელწოდება.

**ხოსროს ტბა** — სოფ. დიღომში (ზაფხულობით შრება).

**ხოტისსერი** — მთა (1201 მ) მდ. ვერეს ზემო წელში.

**ხოშაჭალა** — ციხე მდ. წავკისის მარჯვ. მხარეზე, მთაზე.

**ხოჯევანქი** — ადგ. და სასაფლაო ახლანდელი გუმრისა და მარტყოფის ქუჩებს შორის (ავლაბარში). ეკუთვნოდა ვინმე ხოჯა მეჭმუდს, რომელმაც ააშენა საყდარი, გააშენა ბაღი და გამოიყვანა სარწყავი წყალი. თბილისის 1896 წ. გეგმით მდებარეობდა ჩუღურეთსა და ავლაბარს შორის.

**ხუდადოვის ტყე** — 1893 წ. ქალაქის საკრებულოს („დუმის") ექიმის ნიკოლოზ ალექსის ძე ხუდადოვის ინიციატივით აუთვისებელ სახაზინო მიწაზე (ნაძალადევი, ნ.) გაშენდა ტყის ახალი მასივი, რომელსაც შემდეგში „ხუდადოვის ტყე" ეწოდა. 1905 წ. ამ ტყეში მოეწყო რევოლუციური გამოსვლები; აქვეა რევოლუციის მსხვერპლთა სასაფლაო და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებულია ობელისკი.

**ხუტურებისუბანი** — ვერის ძველი სასაფლაოს ტერიტორია.

**ჯამისწყარო** — სოფ. დიღომთან.

**ჯაჭვისხევი** — მდ. გლდანისხევის მარცხ. შენაკადი.

**ჯეირანისველი** — სამგორისველის ნაწილი, თბილისის აღმოსავლეთით.

**ჯვრისმამა** — ადგ. და ეკლესია კალაში, ქვემოუბანში (ნ.).

**ჯიგრაშენი** — ადგ. შუაბაზარსა (ნ.) და პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე კათოლიკების ეკლესიას შორის, ქვემოუბანში. მოხსენიებულია 1780 წ. წყალობის წიგნში (საქ. ხ. ი., ფ. AH, საბ. 1003).

**ჯიგრაშენი** — სატყეოს უბანი კოჯრის ტერიტორიაზე.

**ჯიხურები** — ნასოფლ. მდ. დიღმისწყლის ხეობაში.

**ჯოიანი** — ნასოფლ. და ტყის მასივი დიღმის დას-ით, მდ. მაქოიანისხევზე.

**ჯოხანხევი** — მდ. ვერეს მარცხ. შენაკადი.

**ჯოხანისწყარო** — ხევი და წყარო სოფ. ახალდაბასთან.

**ჯოხტანი** — (**ჯოხთანი**) — მდ. (მშრალხევი), უერთდება მდ. გლდანისწყალს სოფ. გლდანის ტერიტორიაზე (მარჯვენა მხრიდან).

**ჯოხტანი (II ჯოხთანი)** — უბ. სოფ. გლდანში, შემაღლებულ ადგილას. ხშირად ამ უბანს ვეჯინისუბანსაც უწოდებენ, რადგანაც სოფელში (ამჟამად ნასოფლარი) უკანასკნელად ვეჯინიდან ლეკიანობის დროს ჩამოსახლებულებს უცხოვრიათ.

**ჯუჯიანთკალო** — ნაკალოარის (ნ.) მახლობლად, სოფ. დიდი ლილოს სამხრ.-დასავლეთით (ჯუჯიანი საგვარეულო სახელია).

**ჯღანაანთუბანი** — სამგორში. სახელწოდება უკავშირდება გვარსახელს — ჯღანაშვილებს (III მასივთან).

**ჰავლაბარი** — (ნ. ავლაბარი).

**ჰაუზხანა** — ადგ. კალაში. 1708 წ. გასაყარის საბუთების მიხედვით მდებარეობდა სადღაც ჩორსუ-ბაზართან (საქ. ც. ა., ფ. 1450, საბ. 20, დავთ. 8).

**ჰაშტარხანა** — ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ. მოხსენიებულია 1768 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა., ფ. 1450, დავთ. 13, საბ. 20).

## ძირითადად გამოყენებული ლიტერატურა

ვ. ბერიძე — XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, „ანალები", I, თბ., 1947.

თ. ბერიძე — ვახუშტის „იმიტუტრუქის" ადგილის მისანიშნებლად, „მაცნე", 5, 1970.

თ. ბერიძე — ....და აღმოცენდა თბილისი, 1977.

ნ. ბერძენიშვილი — ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი), „მიმომხილველი", II, 1951,

მ. ბერძნიშვილი — თბილისის გარეგნული სახე XVIII საუკუნეში (ქართული დოკუმენტური მასალების მიხედვით), თბ., 1965, მისივე — ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. მასალები საქ. და ა/კ ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960.

ვ. გაბაშვილი — თბილისის მმართველობა X—XI სს, თსუ შრომები, ტ. 108, მისივე — ქ. თბილისის სოციალური ისტორიიდან (ქამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, I, თბ., 1966.

მ. გაბაშვილი — თბილისი 1082-1122 წლებში. ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973.

ნ. გვათუა — ძველი თბილისის გოგირდის აბანოების ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1966.

დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია — თბილისის ისტორია, თბ., 1952.

ი. გრიშაშვილი — ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927.

დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წ. I, შეარჩიეს და გამოსცეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1962.

დ. დონდუა — საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, 1923.

რ. კიკნაძე — არაბული და სპარსული წყაროები XI—XII სს თბილისის შესახებ, „ცისკარი", 10, 1953; მისივე — XI—XII სს თბილისის ისტორიიდან, ისტორ. ინსტ. შრ., ტ. V (ნაკვ. 1), 1960.

ლ. მელიქსეთ-ბეგი — ვახუშტისეული „იმიტუტრუქისათვის" (ძველი-ტფილისის გარშემო), „საისტორიო მოამბე", 1924.

შ. მესხია და სხვები — თბილისის ისტორია, თბ., 1958.

ვ. ფუთურიძე — არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. VIII, 1942; მისივე — ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ, კრებ. „თბილისი 1500", თბ., 1958.

„ქართლის ცხოვრება", ტ. I, II, IV (ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა).

ალ. ღლონტი — ტოპონიმი და ტოპონიმია, „ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში", 4, 1967.

არნ. ჩიქობავა — ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.

ზ. ჭუმბურიძე — რა გქვია შენ? თბ., 1971.

Бадриашвили Н. — Тбилиси, 1957.
Бакрадзе Д., Бердзенов Н. — Тифлис в историческом и в этнографическом отношении, 1870.
Бежанишвили Г. — Тбилиси, 1963.
Иоселиани П. — Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1886.
Кишмишев И. — Тбилиси 40-х годов. 1894, «Прилож. к газ. «Кавказ», № 52, 60, 64.
План г. Тбилиси 1875 г.
План г. Тифлиса с окрестностями 1867, 1893, 1896, 1898, 1925 гг.
Полиэвктов М., Натадзе Г., — Старый Тифлис, 1929 г.
Экскурсии в Грузии. Экскурсии по Тифлису и его окрестностям. Составил Г. Мефферт. Тифл., 1920.

**Зардалишвили Григорий Иванович**

**ТОПОНИМИА г. ТБИЛИСИ И ЕГО ОКРЕСТНОСТЕЙ**

**(на грузинском языке)**

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1978

რედაქტორი პროფ. ი. სიხარულიძე

გამომცემლობის რედაქტორი რ. ჩირგაძე
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ნ. ქანთარია

გადაეცა წარმოებას 24.04.78
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.78
ქაღალდის ფორმატი 60×84
ნაბეჭდი თაბახი 5,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,33

შეკვეთა 602 უე 12655 ტირაჟი 5000

ფასი 16 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ., 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ., 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.